საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი, 26 თებერვალი, 2009 №9 (3502) | ფასი 1 ლარი

## ყაზახეთი — საქართველო ჩაწყობილი იყო?!

### რუსებმა ამ „ჟანრში“ რუსეთიც ახსენეს



წუხელ კომენტარისთვის ამაოდ ვურეკავდით საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებს. მათი ტელეფონები ან გათიშული იყო, ან არ პასუხობდნენ. უახლოეს ნომერში ვეცდებით, მათი კომენტარი შემოგთავაზოთ...

## ამისულაშვილმა საქართველოს ეროვნული გუნდი დუბაიში დასვენებაზე გაცვალა?!



### ნოდარ ახალკაცი: კუპერმა ნაკრებში კი გამოიძახა, მაგრამ არ თუ ვერ მოვიდა...

## საფრანგეთიდან ესპანეთისთვის



დღეს საქართველოს მორაგბეთა ნაკრები საფრანგეთში შეკრებას ამთავრებს და მადრიდში მიემგზავრება. ტიმ ლეინის 24-კაციანი რაზმი 28 თებერვალს ესპანეთთან გასამართ ერთა თასის მატჩისთვის ხუთი დღე „კანის“ ბაზაზე ვარჯიშობდა. საესპანეთოდ გამოძახებული შემადგენლობიდან ნაკრებს არავინ გამოჰკლებია.

ბიჭები ჯანზე არიან და „ლომებთან“ მეცხრე დაპირისპირებისთვის ემზადებიან. თამაში კი ძალიან სერიოზული იქნება — რვა მატჩიდან ესპანელებმა ორჯერ მოგვიგეს და ერთი ფრე დაგვტყუეს.

პირინეელები „ლელოებისთვის“ უხერხულ მეტოქედ ითვლებიან — ესპანელებმა განსაკუთრებით ბოლო წლებში გვანერვიულეს.

შეხვედრა თბილისის დროით 19 საათზე დაიწყება და მას პირველი არხი აჩვენებს.

*საქართველოს ნაკრები: შველიძე, ხინჩაგაშვილი, ქუბრიაშვილი, ა. გიორგაძე, ნატრიაშვილი, ზედგინიძე, დათუნაშვილი, უჩავა, გორგოძე, ურუშაძე, ჩხაიძე, ბასილაია, ლაბაძე, აბუსერიძე (კაპ), ხამხარაძე, მალაღურაძე, თოდუა, ფეიქრიშვილი, ზიბზიბაძე, ჩხიკვაძე, კაჭარავა, ბარკალაია, შკინინი, მაჩხანელი.*

# ზესტაფონი ჭანტურიას 20 მარტამდე იტყვის



სარბიელის არქივიდან

**გრიგოლ ჭანტურიას** და მის ყოფილ კლუბ „ზესტაფონს“ კარგა ხანია, დავა აქვთ, რაც „სარბიელის“ მკითხველს კარგად ეცოდინება.

შეგახსენებთ, რომ იანვარში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სატრანსფერო კომიტეტმა ფეხბურთელის სასარგებლოდ გადაწყვიტა საქმე და იმერულ კლუბს 14,5 თვის ხელფასის გადახდა დააკისრა.

„ზესტაფონი“ კი ამ გადაწყვეტილებას არ დაემორჩილა და გასაჩივრება გადაწყვიტა.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ბოლო, ორშაბათის აღმასკომის სხდომამ ამ საკითხზე იმსჯელა და „ზესტაფონს“ 20 მარტამდე მიეცა გასაჩივრების უფლება.

ვნახოთ, რა მოხდება მომავალში...

**ნუკრი ლოლაძე**

# დვალიშვილი უგოლოდ არ გამოდის



**რიგის** „სკონტომ“ თურქმენეთში მიმდინარე ტურნირზე ირანის „პემატს“ 6:0 მოუგო და ქართველმა მეგოლე ლადო დვალიშვილმა დუბლი მიითვალა. ჩვენიანმა ერთი ბურთი პენალტით შეაგდო, ერთი თერთმეტმეტრიანი კი გააცუდა.

აქამდე ლადომ ლამის ყველა ტესტ-მატჩში გაიტანა გოლები.

ერთიც: ირანელებთან შეხვედრაში დავით გამეზარდაშვილმაც ითამაშა.

**ილია ნანობაშვილი**

# არჩვაძემ ბოლოს ატირაუ ნახა

**36 წლის** ფეხბურთელი სუსტი გუნდიდან შედარებით ძლიერში გადაიყვანეს, მართლაც იშვიათი შემთხვევაა. აი, ზურაბ არჩვაძე გახლავთ იშვიათთაგანი, ვინაც კარგა ხანია, ყაზახეთში თამაშობს.

არჩვაძე „ეკიბასტუზეციდან“ „ატირაუში“ გადავიდა.

ასაკოვან ფეხბურთელს საქართველოში „კრწანისში“, „იმედში“, „აზოტში“, თბილისის „დინამოში“, „ბათუმში“, „ლოკომოტივში“ და „მერანში“ უთამაშია. ყაზახეთში გადასვლამდე კი ჩიტის „ლოკომოტივშიც“ იყო.

**ილია ნანობაშვილი**

# მუმუმ ლაციო მიანგრია



**მოსკოვის** „ლოკომოტივმა“ ამხანაგურ მატჩში 3:1 დაამარცხა რომის „ლაციო“ და ორი გოლი ქართველმა ნახევარმცველმა დავით მუჯირმა გაიტანა.

საერთოდაც, ამ ბოლოს მუჯირი მშვენიერ ფორმაშია და გოლებიც ხშირად გააქვს, რაც „ლაციოსთან“ მატჩშიც დაამტკიცა.

„მუმუმ“ 34-ე და 50-ე წუთებზე გამოიჩინა თავი.

ქართველი ფეხბურთელი მწვრთნელმა 57-ე წუთზე შეცვალა.

**კახა შალამბერიძე**

# ბენდელა



საქართველოს გმირები არასდროს აკლდა და მათი ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანს.

დღეს ერთ ჩვეულებრივ, ქართველ ვაჟკაცს გავიხსენებთ, რომელსაც აფხაზეთის ხსენებაზე ფერი ეცვლებოდა, გული უჩქარდებოდა და სისხლი უდუღდა.

ზაზა ბენდელიანი სიმართლის, სიყვარულის და სიხარულის გმირი იყო. განუყრელი მეგობრები ჰყავდა გაგრაში და თბილისშიც. ორივე განუყოფლად უყვარდა, ვერც კი გაარკვევდით, რომელი მეტად.

ვინც ზაზას იცნობდა, მისი ღიმილიანი სახე არასდროს დაავიწყდება. ვისაც მისი ესმოდა, საქართველოსაც შეიგრძნობდა. გაგრის დაცემის შემდეგ მისი სიხარულით სავსე თვალები სევდამ შეიპყრო, იმ დროს გაღიმებულსაც იშვიათად ნახავდით.

...მეგობრებს აცილებდა აფხაზეთის ომში... აეროპორტში გულმა არ მოუთმინა, ძმები განსაცდელში არ მიატოვა და უცბად თავი ამოჰყო მიწაზე, რომელსაც ბავშვობიდანვე ეთაყვანებოდა.

...გაჩაღებული ომია, ქართველთა შენაერთი მტრის შეტევას უძლიანდება. წინ ორი გზაგასაყარია — ერთი შტო დანაღმულია, მეორე თავისუფალი. ვერავინ ბედავს უხიფათო გზის არჩევას. ყველა თავს იკავებს, არადა, იციან, სიკვდილი ახლოსაა. ზაზა ბენდელიანს არ უყოყმანია, ადგა და ერთ გზას დაადგა. გაიქცა, როგორც ოდესღაც მარცხენა ფრთაზე დანავარდობდა საფეხბურთო მოედნებზე. არავის დამშვიდობებია... მისი გზა დანაღმული აღმოჩნდა, მას ეყო ვაჟკაცობა, თავისი სიცოცხლის ფასად სხვები გადაერჩინა.

17 წელიწადი გავიდა, 17-ჯერ მოვიგონეთ ძმაკაცებმა, კლასელებმა, ოჯახის წევრებმა... ყველამ, მისმა ახლობლებმა გავიხსენეთ გუშინ კიდევ ერთი ქართველი ვაჟკაცი. გმირი, ვინაც საქართველოს თავი შესწირა. და ესეთები არ ილევიან, სულ რამდენიმე თვის წინ, აგვისტოს ომისას დაიბადნენ კიდეც ახალი გმირები — დაუფიქრებლად სამშობლოსთვის!

...მე ყოველდღე, დილით და საღამოს, ორჯერ ვხვდები ზაზა ბენდელიანს. დოლიძის ქუჩის დასაწყისში მდებარე სკოლა მისი სახელობისაა. ამ ქუჩაზე ვცხოვრობ და მეამაყება, რომ მისი მეგობარი ვიყავი. საქართველოვ, თბილისო, აფხაზეთო, არ დაივიწყოთ, ალალი, მართალი და სიყვარულით თვალანთებული ბიჭები!

**მამუკა კვანტალიანი**

# მაისურაძე ვიტებსკელია



**ირაკლი მაისურაძემ** კონტრაქტი გააფორმა ბელარუსულ „ვიტებსკთან“ და ამიერიდან ამ გუნდში ითამაშებს.

20 წლის ქართველი ფეხბურთელის საკითხი მოგილიოვის „დნეპრთან“ 5:1 მოგებულ მატჩში (იხილეთ მე-7 გვერდი) გადაწყდა.

შეგახსენებთ, რომ მაისურაძე გასულ სეზონში მინსკის „მტზ-რიპოში“ ირიცხებოდა, თუმცა ძირითად შემადგენლობაში მოხვედრას ვერ ახერხებდა.

# ლაშა ჯაკობიამ თურქეთი დაასრულა

**კიევის** „არსენალმა“ თურქული შეკრება ყაზახურ „ატირაუსთან“ მატჩით დაასრულა.

უკრაინელებმა 3:1 იმარჯვეს.

ამ მატჩში მეორე ტაიმი ითამაშა „არსენალის“ ახალწვეულმა ლაშა ჯაკობიამ, რომელმაც კიეველებს ხარკოვის „მეტალისტიდან“ მიაკითხა.

# მათე ღვინიანიძე ოპერაციას გადაურჩა



**გერმანული** „მიუნხენ 1860“-ის ქართველი მცველი მათე ღვინიანიძე მძიმე ტრავმას გადაურჩა.

ღვინიანიძე „დუისბარგთან“ (1:4) მატჩის პირველივე წუთებზე დაშავდა და შესაცვლელი შეიქნა — მას კოჭის მყესი აქვს დაჭიმული.

გერმანელი ექიმების დიაგნოზით, ღვინიანიძეს სამკვირიანი მკურნალობა მოუწევს.

19 წლის ქართველი ფეხბურთელი ოპერაციას გადაურჩა, თუმც ახლა ფეხი თაბაშირში აქვს.

**კახა შალამბერიძე**

# ბაია აქაც ამხანაგობს

**თურქული** შეკრებიდან დაბრუნებულმა ზუგდიდის „ბაიამ“ თანალიგელ ფოთის „კოლხეთთან“ გამართა ამხანაგური მატჩი და 3:0 იმარჯვა.

გოლები ეხვაიამ, ქვანიამ და სიხარულიამ გაიტანეს.

„ბაიამ“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *ზარქუა, სვირავა, ქვანია, პაჭკორია, ქვარცხავა (სიხარულია 46), ექონია, ქირია (კ. შონია 75), ნ. შონია, წურწუმია, გუგუჩია, ეხვაია.*

პირველი ლიგის განახლებამდე „ბაია“ კიდევ ერთ ტესტ-მატჩს გამართავს — 27 თებერვალს ზღვისპირეთში შეკრებაზე მყოფ სომხურ „ულისეს“ გაეჯიბრება.

# ხიზანიშვილი გავარდა



**ინგლისურმა** „ბლექბერნმა“ ასოციაციის თასის მეხუთე ეტაპის გადასათამაშებელი მატჩი 0:1 წააგო „ქოვენთრისთან“ და ტურნირს გამოეთიშა.

ზურაბ ხიზანიშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 81-ე წუთზე შეცვალეს.

**ოთარ მხეიძე**

# რანი ვიყავით, რანი ვართ

## გურამ რუხაძე: ჩემთვის ფეხბურთი მომგებიანია

„დღეს „ვიტ ჯორჯია“ არის ბრენდი, 1997 წელს კი ეს კლუბი უმაღლეს ლიგაში მონაწილე „კოდაკო-მორკინალისგან“ ვიყიდეთ. სწორმა მიდგომამ, სტაბილურმა ფინანსურმა და სპორტულმა პოლიტიკამ მოგვიტანა ის, რომ დღეს საქართველოში ყველას სურს „ვიტ ჯორჯიაში“ მოხვედრა“ — ეს საქართველოს ჩემპიონატის ლიდერკლუბის პრეზიდენტ გურამ რუხაძის სიტყვებია, რომელსაც გუშინ „ვიტ ჯორჯიას“ ოფისში ვესტუმრეთ...

ბევრისგან გაიგონებთ, რუხაძე სამაგალითო მმართველია ქართულ საკლუბო ფეხბურთშიო — მართლაც, „ვიტ ჯორჯიას“ მკაფიოდ გამოხატული გზა აქვს და იცის, რა უნდა, რისკენ მიისწრაფვის. ამერიკული ვეტერინარული კორპორაცია „ვიტ-ინკი“ ქართული საზომებით სერიოზული კლუბის სპონსორია.

... მაგრამ სათქმელად იოლია, რეალობაში კი საქართველოში საფეხბურთო კლუბის შექმნა და მისი წარმატებით გაქანება სიძნელეებს მოიცავს.

ფული და ფულის სწორად ხარჯვის მექანიზმები — სწორედ ამაზე ვესაუბრეთ რუხაძეს. უფრო გარკვევით რომ ვთქვათ, სალაპარაკო თემა არა გუნდი „ვიტ ჯორჯია“, არამედ კლუბი „ვიტ ჯორჯია“ იყო...


სარბიელის არქივიდან

— საქართველოში საფეხბურთო კლუბის ყოლა წამგებიანია — ეს ბევრი კლუბის პრეზიდენტს უთქვამს...

— დავიწყოთ იქიდან, რომ ფეხბურთი ფანატიკურად მიყვარს, საყვარელ საქმეს ვემსახურები და აქედან გამომდინარე, ყველა მხრიდან მოგებული ვარ. მაგრამ წმინდა ბუღალტრული თვალსაზრისით თუ ვილაპარაკებთ, მაშინ შემოსულმა თანხებმა უნდა დააბალანსოს ხარჯები. ჩვენ გვაქვს შემოსავლის რამდენიმე წყარო. ჩვენი ბიუჯეტი დივერსიცირებულია.

1. სპონსორული შემოსავლები; 2. ევროთასებზე თამაშისას უეფადან შემოსული თანხა; 3. ევროთასების მატჩების სატელევიზიო უფლებების გაყიდვით შემოსული თანხა და საკონტრაქტო ბონუსები; 4. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან და პროფლიგიდან მოსული თანხა; 5. ფეხბურთელთა ტრანსფერებიდან შემოსული თანხა.

...მაგრამ თუ სხვა კუთხით მივუდგებით, არა მგონია, უახლოეს 3-4 წელიწადში საქართველოში საფეხბურთო ბიზნესი მომგებიანი გახდეს. გეკითხებით, საიდან უნდა მივიღოთ შემოსავალი?! მაისურების, მატჩზე დასასწრები ბილეთებით, ეროვნული ჩემპიონატის მატჩების უფლებების გაყიდვით თუ?! ამიტომაც რჩებიან ქართულ ფეხბურთში ერთეულები, რომლებსაც კლუბის შენახვა შეუძლიათ. მე რა ხუთი წყაროც ჩამოვთვალე, იმას „ვიტ ჯორჯია“ ასრულებს და ამიტომაც არ არის კლუბი წამგებიანი.

**— ევროთასების მატჩებიდან შემოსული თანხა ახსენეთ და იქნებ გვითხრათ, ახლა რამდენია შემოსავალი ერთი ეტაპის გავლაზე — როგორც უეფას თასზე, ასევე ჩემპიონთა ლიგაში. რამდენადაც ვიცით, ეს თანხა იცვლება ხოლმე წლების განმავლობაში...**

— ადრე უეფას თასზე ერთი ეტაპის გავლით 50 ათას ევროს იღებდა კლუბი, ახლა კი 70 ათასი გავხადეთ. დიახ, ეს ჩვენი დამსახურებაა. აგიხსნით, როგორ გავზარდეთ. „ვიტ ჯორჯია“ უეფას საკლუბო ფორუმში მონაწილეობდა, სადაც ევროპის 102 კლუბია და ჩვენ მოვითხოვეთ, რომ ეს თანხა 50 ათასიდან 70 ათასამდე გაზრდილიყო...

ასევე, ადრე იყო ასეთი პუნქტი: კლუბი თუ უეფას თასზე სამ საკვალიფიკაციო ეტაპს გაივლიდა და ჯგუფში შევიდოდა, 210 ათას ევროს (სამჯერ 70 ათასი) ვეღარ იღებდა. ჩვენ კი ფორუმზე გავიტანეთ საკითხი, რომ ეს თანხაც მიეღოთ გუნდებს. აი, 2004 წელს თბილისის „დინამომ“ ზუსტად ასე გაიარა სამი საკვალიფიკაციო ეტაპი, თუმც 210 ათასი ვერ მიიღო. მაშინ არ იყო პუნქტი შემუშავებული...

სხვათა შორის, ამ საკლუბო ფორუმში ამჯერად აღარ ვართ, ჩვენს ნაცვლად „დინამოა“ — ეს რეიტინგის მიხედვით ხდება, თუმც, შესაძლოა, რეიტინგი ისევ შეიცვალოს და ჩვენ დავბრუნდეთ. გააჩნია, წლეულს რა შედეგები გვექნება...

...რაც შეეხება ჩემპიონთა ლიგას, იქ ერთი საკვალიფიკაციო ეტაპის გასვლაზე 100 ათასი ევროა ბონუსი, თუმც ჩემპიონი ცალკე 160 ათას ევროს იღებს — თუნდაც ეტაპი ვერ გადალახოს.

**— ასევე თქვით, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან და პროფლიგიდან შემოსულ თანხებზე. ეს რამდენად სოლიდური შემოსავალია?**

— გეცოდინებათ იმ ფულზე, რომელიც უეფადან გადაერიცხა ფედერაციას და ამჟამად რომ კლუბებს უნდა გადაეცეთ სტადიონების კეთილმოსაწყობად. ამ სამეულში პირველი „ვიტ ჯორჯიაა“. ასე რომ, ფედერაცია მყარად გვიდგას გვერდში.

**— სტადიონი მართლაც მტკივნეული თემაა „ვიტ ჯორჯიასთვის“...**

— მცხეთის „არმაზზე“ ხელოვნური საფარის დაგება უკვე იწყება, პლუს, მიმდებარე ტერიტორიაზეც გვექნება მოედნები. თანამედროვე ფეხბურთში მიღებულია ხელოვნურსაფარზე თამაში, ასე რომ „არმაზზე“ დაიწყება გასახდელების შეკეთება და სხვადასხვა სამუშაოებიც.

**— ფეხბურთელთა ტრანსფერები: „ვიტ ჯორჯიას“ ბევრი ლიდერი გაუყიდია სხვადასხვა კლუბში. დღესდღეობით რამდენად დიდი მოთხოვნაა თქვენი კლუბის ფეხბურთელებზე, ხომ არ შემცირდა წინა წლებთან შედარებით? საუბარია ნორმალურ საფეხბურთო დონის ჩემპიონატებზე და არა ვთქვათ, ყაზახეთზე ან სომხეთზე...**

— ჩვენ შეხება არ გვაქვს ყაზახურ და აზერბაიჯანულ საკლუბო ბაზართან. დავით იმედაშვილი და ოთარ მარცვალაძე კიევის „დინამოში“ გავყიდეთ, გიორგი დეკანოსიძე სულაც გერმანულ „ფიურტში“. ამას დაუმატეთ შიდატრანსფერები — რამდენჯერ ქართულ კლუბს უყიდია ჩვენგან ძლიერი ფეხბურთელი... სულ რამდენიმე კვირის წინ ალექსანდრე კვახაძეს ჰქონდა მიწვევა ავსტრიული „ალტახიდან“, თუმც ეს ის მომენტია, როცა გადავწყვიტეთ, ფეხბურთელი დაგვეტოვებინა კლუბში. ბიუჯეტს რაღაც დავაკელით, სამაგიეროდ, კაპიტნის შენარჩუნება სპორტული თვალსაზრისით იყო გამართლებული.

**— „ვიტ ჯორჯიას“ ასე თუ ისე სახელიანი ფეხბურთელი სხვა კლუბიდან არასოდეს გადაუყვანია. არც აპირებთ?**

— არა. ჩვენ გვაქვს მკაფიოდ გამოხატული წერტილოვანი სელექცია. ხმაურიანი ტრანსფერები გეგმაში არ გვაქვს. ამ ზამთარს, როცა კვახაძის „ალტახში“ გადასვლის საკითხი განიხილებოდა და პლუს, შესაძლო იყო, დავით ლომაიაც წასულიყო „ზარიაში“, ჩვენ ერთი კარგი ტრანსფერი მაინც განვახორციელეთ: „გაგრადან“ ნიკა მგელაძე ავიყვანეთ. ახლა შეხედეთ, ზაფხულში კვახაძის წასვლის შემთხვევაში ხუთი ცენტრალური მცველი მაინც გვრჩება: ლომაია, ამირან ყველაშვილი, მგელაძე და „ვიტ ჯორჯია 2“-ის საკმაოდ პერსპექტიული ფეხბურთელები, ადამაძე და კასრაძე.

...ფარმ-კლუბს და ჭაბუკთა ლიგის გუნდს დიდ ყურადღებას ვაქცევთ — ზოგადად, ისეთივეს, როგორც „ვიტ ჯორჯიას“ მთავარ გუნდს. როცა ძირითადები უცხოურ შეკრებაზე მიდიან, მათთან ერთად არიან ფარმ-კლუბის გამორჩეული მოთამაშეებიც. ფარმ-კლუბები ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული სეგმენტია.

**— ცალკე გკითხავთ „ვიტ ჯორჯიას“ ფეხბურთელთა კვებაზე, ალმდგენ პრეპარატებზე. ეს ეტყობათ ფეხბურთელებს — ფიზიკურად ძალიან კარგად არიან მომზადებულნი...**

— ეს არის აღმდგენი საშუალებები. ჩვენ წარმოვადგენთ იტალიურ კომპანია „ენერვიტს“, რომელიც გვაწვდის სპეციალურ შოკოლადებს, სუპებს, ჟელე-ხსნარებს, პროტეინებს, სპეც-ვიტამინებს.

**— „ვიტ ჯორჯიას“ ფან-კლუბზეც გვითხარით. როგორც ვიცით, ორი გოგონაა, რომლებიც ორგანიზატორებენ ამ საქმეს. ეს თქვენი ინიციატივა იყო თუ გოგონების?**

— არა, თვითონ გოგონების ინიციატივაა და მიხარია, რომ ძალიან სერიოზულად მუშაობენ. ავტობუსებიც აქვთ გამოყოფილი, რომლითაც ფანებს შეეძლებათ თამაშებზე გორში წამოსვლა.

**— დაგვეთანხმებით, როცა „ვიტ ჯორჯია“ შეიქმნა, მაშინ უფრო ძლიერი იყო ქართული საკლუბო ფეხბურთი და გარემოც უკეთესი იყო. დღევანდელ ვითარებაში თუ შექმნიდით საფეხბურთო კლუბს?**

— ულაპარაკოდ. ფეხბურთის გარეშე ცხოვრება ვერც წარმომიდგენია. სანამ კლუბის შენახვის საშუალება მაქვს და საბედნიეროდ, მომავალიც ცუდს არაფერს მიჩვენებს, ფეხბურთში ვიქნები. 1997 წელს ჩვენ „კოდაკო-მორკინალის“ სახელით ვიყავით უმაღლეს ლიგაში. რა იყო მაშინ „ვიტ ჯორჯია“, რას წარმოადგენდა? ინფრასტრუქტურა არ გვქონდა, ახლა კი გვაქვს სტადიონი, რომელიც ჩვენი საკუთრებაა. გვაქვს ფეშენებელური ოფისი. არადა, ადრე ოფისი ერთ-ერთ ზოომალაზიაში გვქონდა...

გვყავს სპორტული ინვენტარის სხვადასხვა საჭირო ნაწარმის მომწოდებლები, გვაქვს ხანგრძლივი და მყარი კონტრაქტები სპონსორებთან. ეს ყველაფერი შევქმენით ნულიდან, დღეს კი წინსვლა ისეთი შესამჩნევია, შედარება არც შეიძლება. ამ ყველაფერს დაუმატეთ ტალანტები, რომლითაც მდიდრები ვართ...

**— სამწუხაროდ, ქართულ ფეხბურთში ერთ-ორწლიანი კლუბები ხშირი შემთხვევაა. რატომ?**

— მთავარი: არ აქვთ გათვლილი სტრატეგიული გეგმა. ერთწლიანი კლუბები — ესენი თითქმის ყველანი ბიუჯეტზე იყვნენ მორგებულნი, ამ დროს კი რა ხდება? რაიონის პირველკაცს უყვარს ფეხბურთი და კლუბს ინახავს, მაგრამ მის ნაცვლად შეიძლება მოვიდეს სხვა, რომელსაც ფეხბურთისკენ გახედვა არ სურს. ისე კი, დღევანდელი ფინანსური კრიზისის პირობებში არავინ არის დაზღვეული ფეხბურთის კლუბის დაცემისგან. უამრავი ტრანსკომპანია გაკოტრდა.

**— დაბოლოს, ვთქვათ პიროვნებას აქვს ფული და სურს საფეხბურთო კლუბის შექმნა. როგორ დაიწყოს?**

— ფულის ოდენობაზეა დამოკიდებული. თუ დიდი ფული აქვს, სჯობს, პირდაპირ წარმატებული, მზა-მზარეული კლუბი შეიძინოს, მაგრამ თუ არ აქვს იმდენი, მაშინ ჭაბუკთა ლიგიდან. მაგრამ კიდევ ვიმეორებ, დაწყება არ არის მთავარი — სტრატეგიული გეგმაა საჭირო, მომავალზე გათვლილი. თითოეულ თეთრს მნიშვნელობა აქვს, უნდა იცოდე, სად ხარჯავ, რაში ხარჯავ...

**ილია ნანობაშვილი**

## საქართველოს 20 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
II წრე. 20 ტური

# დინამომ ზესტაფონს ვიტ ჯორჯია მოუგო



25 თებერვალი. 14 საათი
**დინამო თბილისი – სკ ზესტაფონი 2:0**
თბილისი. "ეროვნული". 600 მაყურებელი

1:0, 2:0 სპასოევიჩი (69, 82)

დინამო: ოვონო, კაკუბავა, გ. კაშია, ნერგაძე, ჩარასი, შ. კაშია (ტომიჩი 77), ხმალაძე, დილმელაშვილი, კოშკაძე (გველესიანი 66), გ. მერებაშვილი, ვაწაძე (სპასოევიჩი 46)

*სათადარიგონი:* ლორია, გეთიაშვილი, ლომია, ჯიუსი

მწვრთნელი: რაინერ ცობელი

ზესტაფონი: რ.კვასხვაძე, უ. ლობჟანიძე, ს. თოდუა, მაკარიანი, ბენაშვილი, გორგიაშვილი (გ. ნუგ. ქელიძე 60), დაუშვილი, ძარია, ნ. კვასხვაძე (ლ. მელქაძე 70), იონანიძე (შ. გრიგალაშვილი 46), გელაშვილი

*სათადარიგონი:* ძაძამია, კაკალაძე, კაჭკაჭიშვილი, ბერუაშვილი

მწვრთნელი: გია გეგუჩაძე

გაფრთხილება: იონანიძე 20), ბენაშვილი (43), ჩარასი (70), გელაშვილი (76), კაკუბავა (80, 88)

გაძევება: კაკუბავა (88)

მსაჯები: მ. ურუშაძე, მ. ელიკაშვილი, გ. ჩიგოგიძე, გ. ვადაჭკორია

დამკვირვებელი: ა. შალამბერიძე; დელეგატი: შ. ბაქრაძე

25 თებერვალი. 14 საათი
**სკ ბორჯომი – სპარტაკი ცხინვალი 1:3**
ბორჯომი. "ჯ. ზეინკლიშვილი". 300 მაყურებელი

1:0 პაელიაშვილი (19), 1:1, 1:2 სირბილაძე (20, 47), 1:3 თურმანიძე (58)

ბორჯომი: შეყრილაძე, ი. ლომიძე (ხაჩიძე 5), ლაცაბიძე, მენთესაშვილი, ხითარიშვილი, ლობჟანიძე, დათუნაშვილი, დევიძე (ლაბაძე 71), გოგიჩაიშვილი (ქათამაძე 75), ბაქრაძე, პაელიაშვილი

*სათადარიგონი:* ოქრომელიძე; ნ. ლომიძე, ტუხაშვილი, გოგსაძე

მწვრთნელი: ჯუნგლი ქართველიშვილი

სპარტაკი: გ. იაშვილი, ქურასბედიანი, გ. კვახაძე, ქორიძე, ჯანგიძე, თურმანიძე, თ. შონია (მაისურაძე 35), სახოკია, მეტრეველი, ჩიგაძე (გ. გაბელაია 87), სირბილაძე (ოქროპირიძე 68)

*სათადარიგონი:* კოდალაევი, ავალიანი, ხაჭაპერაძე, მგალობლიშვილი

მწვრთნელი: სერგო გაბელაია

გაფრთხილება: ჯანგიძე (69), ქათამაძე (84), მენთესაშვილი (90)

მსაჯები: ლ. სილაგავა, დ. კვეტენაძე, ა. გუნთაძე, ი. ურუშაძე

**გეხსომებათ,** ეს მატჩი შარშან უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ დიდთოვლობის გამო საქართველოს პროფესიულ ფეხბურთის ლიგას გადადება მოუხდა.

„დინამოც" და „ზესტაფონიც" დანაკლისით შეხვდნენ გუშინდელ შეხვედრას. დინამოელებს დისკვალიფიკაციის გამო ორი მცველი, მილოშ კრშკო და გულივერდ თომაშვილი ვერ დაეხმარნენ, „ზესტაფონს" კი მაღალსიცხიანი მეკარე ზურაბ მამალაძე არ ჰყავდა.

მეტოქის კართან პირველი ხიფათი იმერლებმა განახორციელეს. „ზესტაფონმა" კუთხურის უფლება მოიპოვა, რომლის შემდეგაც დინამოელებმა ბურთი საჯარიმოდან გამოიტანეს, გიორგი მაკარიანმა კი მძლავრად ამოსცხო ბურთს, თუმც კარს ოდნავ ააცილა.

მასპინძლებმა მალევე უპასუხეს: ალექსანდრე კოშკაძემ მათე ვაწაძეს უპასა, მან არგენტინელი მარკოს ჩარასი მოძებნა, ვისაც დარტყმა არ გამოუვიდა.

ამის შემდეგ ვაწაძე ორჯერ დაემუქრა როინ კვასხვაძის კარს, თუმცა ორივეჯერ არაზუსტად.

25-ე წუთზე კი „დინამოს" დაწინაურება შეეძლო: კოშკაძემ საჯარიმოში კარგად გადააწოდა გიორგი მერებაშვილს, რომელიც მეკარესთვის პირისპირ აღმოჩნდა. „მერებამ" თითქოს კარგადაც დაარტყა, მაგრამ კვასხვაძე ბურთს მისწვდა და კუთხურზე მოიგერია.

37-ე წუთზე მერებაშვილი ისევ ახლოს იყო გოლის გატანასთან — საჯარიმოს ხაზთან ვაწაძის წაქცევისთვის დანიშნული საჯარიმო მერებაშვილმა დაარტყა და ბურთი ხარიხას მოხვდა. გადმოვარდნილს ლევან კაკუბავამ დაამატა, თუმც კარს ვერ დაუმიზნა.

მწვრთნელებმა მეორე ნახევრიდან თითო ახალი ფეხბურთელი ჩართეს თამაშში: რაინელ ცობელმა ჩერნოგორიელი ილია სპასოევიჩი შეიყვანა, გია გეგუჩაძემ კი ყოფილი დინამოელი შოთა გრიგალაშვილი.

52-ე წუთზე ირაკლი ძარიას კარგი გადაცემის შემდეგ ნიკა გელაშვილს მიეცა გოლის გატანის რეალური შანსი, მაგრამ სუსტად დაარტყა და დიდიე ოვონოს ბურთის აღება არ გასჭირვებია. მალევე ძარიამაც სცადა გაბონელი მეკარისთვის გატანა, მაგრამ მასაც სუსტი გამოუვიდა დარტყმა.

მერე თბილისელების ჯერიც დადგა. 65-ე წუთზე მარჯვენა ფრთიდან საჯარიმოში ჩააწოდა შოთა კაშიამ და კოშკაძემ ძალა ველარ მისცა ბურთს.

რამდენიმე წუთში კი მასპინძლებმა როინ კვასხვაძის უხეში შეცდომით ისარგებლეს და დაწინაურდნენ კიდეც. ლევან ხმალაძემ საკმაოდ შორი მანძილიდან დაარტყა კარისკენ, ეროვნული ნაკრების ახალგაზრდა მეკარემ ბურთი ძალიან უხერხულად მოიგერია და სპასოევიჩმაც ეს აღარ აპატია — 1:0.

შეტევის გასაძლიერებლად გეგუჩაძემ კიდევ ერთ ყოფილ დინამოელს, თავდამსხმელ ლევან მელქაძეს უხმო.

74-ე წუთზე გელაშვილს კიდევ მიეცა გოლის გატანის შანსი, მაგრამ ისევ ოვონომ ითამაშა კარგად და ბურთი ფეხით მოიგერია კუთხურზე.

ამასობაში ცობელმა ახალგაზრდა ჩერნოგორიელი დანილო ტომიჩი ჩართო საქმეში და ამანაც გაუმართლა. მეორე გოლი წმინდა ჩერნოგორიული გამოვიდა — ტომიჩის პასი და სპასოევიჩის გოლი — 2:0.

და ერთიც: მატჩის მიწურულს მეორე ყვითელი ბარათი მიიღო კაკუბავამ, დროზე ადრე მოედანიც დატოვა.

**პრესკონფერენცია:**

გია გეგუჩაძე: „მარცხს არ ვიმსახურებდით. ჩემი აზრით, არცერთი ბურთი არ იყო გასაშვები. მიუხედავად ამისა, ბიჭები მადლობას იმსახურებენ".

რაინერ ცობელი: „მოხარული ვარ, რომ მოვიგეთ. შეიძლებოდა, მატჩი ფრედ დამთავრებულიყო. პირველ ნახევარში ცოტა გაგვიჭირდა, ორი ახალი მცველი გვყავდა. „ზესტაფონმა" კარგი ბრძოლა გაგვიმართა, ის კარგი გუნდია. პირველი გოლზე გაგვიმართლა. კმაყოფილი ვარ შეცვლაზე შესული ფეხბურთელების — ისინი ძალიან კარგად ჩაერთვნენ თამაშში".

**ნუკრი ლოლაძე**

# გუშინ ბორჯომი ფსკერზე დაილია

**რასაც** ველოდით, მოხდა: ცხინვალის „სპარტაკმა" „ბორჯომს" მოუგო და ცხრილის ფსკერზე ადგილი გაუცვალა, თავად კი ბოლოსწინა ადგილზე გადახტა — ეს პირველად ამ სეზონში.

ახლა კი, თუ რატომ ველოდით: რატომ და, „ბორჯომს" ახლა აღარც მეგოლე ირაკლი კიკნაძე ჰყავს, აღარც პირველ წრეში მოთამაშე სხვა ასე თუ ისე ძლიერი ფეხბურთელები. შეიძლება ითქვას, სამცხელები უკვე შეეჩვივნენ უმაღლესი ლიგიდან ჩაქვეითებას.

„სპარტაკი" უსიკვდილოდ სამი ქულის ასაღებად ჩავიდა კურორტზე და მართალია, პირველი გოლი გაუშვა, მაგრამ ერთ წუთში გაათანაბრა, მეორე ტაიმის მეთხუთმეტე წუთისთვის კი უკვე ორბურთიანი ფორით იგებდა.

„სპარტაკი" პოტენციურად ერთი ქულითღა ჩამორჩება „გაგრას", რომელიც მეორე წრეში აშკარად ვერაა თამაშის იმტაზე და ამდენად, ცხრილის ბოლოში ბრძოლა უფრო გამძაფრდება.

**ილია ნანობაშვილი**


სერგო გაბელაია

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ვიტ ჯორჯია | 18 | 12 | 5 | 1 | 31:11 | 20 | 41 | 9 | 6 | 2 | 1 | 17:6 | 11 | 20 | 9 | 6 | 3 | 0 | 14:5 | 9 | 21 |
| 2 დინამო | 18 | 12 | 2 | 4 | 39:14 | 25 | 38 | 9 | 8 | 1 | 0 | 28:6 | 22 | 25 | 9 | 4 | 1 | 4 | 11:8 | 3 | 13 |
| 3 ზესტაფონი | 18 | 10 | 3 | 5 | 20:12 | 8 | 33 | 9 | 6 | 0 | 3 | 11:5 | 6 | 18 | 9 | 4 | 3 | 2 | 9:7 | 2 | 15 |
| 4 ოლიმპი | 18 | 8 | 8 | 2 | 22:11 | 11 | 32 | 9 | 5 | 4 | 0 | 12:2 | 10 | 19 | 9 | 3 | 4 | 2 | 10:9 | 1 | 13 |
| 5 სიონი | 18 | 7 | 7 | 4 | 21:15 | 6 | 28 | 9 | 3 | 4 | 2 | 12:9 | 3 | 13 | 9 | 4 | 3 | 2 | 9:6 | 3 | 15 |
| 6 ლოკომოტივი | 18 | 8 | 2 | 8 | 23:19 | 4 | 26 | 9 | 5 | 0 | 4 | 11:6 | 5 | 15 | 9 | 3 | 2 | 4 | 12:13 | -1 | 11 |
| 7 მგლები | 18 | 5 | 4 | 9 | 16:23 | -7 | 19 | 9 | 4 | 1 | 4 | 10:7 | 3 | 13 | 9 | 1 | 3 | 5 | 6:16 | -10 | 6 |
| 8 მესხეთი | 18 | 4 | 6 | 8 | 12:24 | -12 | 18 | 9 | 3 | 3 | 3 | 8:10 | -2 | 10 | 9 | 2 | 2 | 5 | 4:14 | -10 | 8 |
| 9 გაგრა | 19 | 4 | 4 | 11 | 14:32 | -18 | 16 | 10 | 4 | 3 | 3 | 11:12 | -1 | 15 | 9 | 0 | 1 | 8 | 3:20 | -17 | 1 |
| 10 სპარტაკი | 18 | 3 | 3 | 12 | 16:40 | -14 | 12 | 9 | 1 | 2 | 6 | 9:17 | -8 | 5 | 9 | 2 | 1 | 6 | 7:13 | -6 | 7 |
| 11 ბორჯომი | 19 | 2 | 6 | 11 | 16:39 | -23 | 12 | 9 | 1 | 4 | 4 | 8:13 | -5 | 7 | 10 | 1 | 2 | 7 | 8:26 | -18 | 5 |

## ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| 10 — | გიორგი მერებაშვილი | დინამო |
| 9 — | ნიკა გელაშვილი | ზესტაფონი |
| | ილია სპასოევიჩი | დინამო |
| 8 — | მათე ვაწაძე | დინამო |
| | ვახტანგ კვარაცხელია | ვიტ ჯორჯია |
| 7 — | ირაკლი კიკნაძე | ბორჯომი |
| | ლევან ციტიშვილი | ლოკომოტივი |

# ყაზახეთ — საქართველო ჩაწყობილი იყო?!



ვერ გეტყვით, საიდან ამოქექა და რას ეძახის რუსული ვებგვერდი CENTRASIA.RU გარიგებულ თამაშებს, მაგრამ აგერ, 2005 წლის 25 აგვისტოს გამოქვეყნებული მასალა, სადაც შავით თეთრზე წერია სათაური: ყაზახეთ — საქართველო ჩაწყობილი იყო?

„ამგვარი რამ ხშირად გვესმის. მაგალითად, რუსების მატჩი საქართველოსთან და სულაც ამასწინათ, როცა ყაზახეთის ნაკრებმა შინ საკმაოდ გასაკვირ სიტუაციაში წააგო საქართველოსთან. სხვათა შორის, რუსეთის ნაკრების გარშემო ხშირია ამგვარი ეჭვები, მათ ადანაშაულებდნენ ალბანელების მოსყიდვაში და კიდევ, შვეიცარიასთან მოგებული მატჩის (4:1) წინ მსაჯ დაუდენ იბანიესის მოქრთამვაში. კერძოდ, თამაშის შემდეგ გაჩნდა ინფორმაცია, იბანიესს რუსეთის საფეხბურთო კავშირმა ფული მისცაო“.

ყაზახეთი — საქართველო 2005 წლის 16 აგვიტოს გაიმართა, ეს იყო მუნდიალ 2006-ის შესარჩევი შეხვედრა, სადაც ჩვენებს გასვლის შანსი უკვე დაკარგული ჰქონდათ. ყაზახებს კი იმ დროისთვის შვიდიდან შვიდი მატჩი ჰქონდათ წაგებული.

ვისაც არ ახსოვს, იმ შეხვედრაში ყაზახებმა პირველი ტაიმი 1:0 მოიგეს, მეორეში კი გიორგი დემეტრაძემ ორი გოლი გაიტანა და 2:1 ვიმარჯვეთ.

და მარტო ეს?! რუსი ჟურნალისტი საქართველო — რუსეთის შეხვედრასაც (ოღონდ, რომელს, ვერ გეტყვით) ეჭვის თვალით უყურებს.

**ილია ნანობაშვილი**

# ამისულაშვილი ზაფხულამდე ნალჩიკელია



**ალეკო ამისულაშვილს** რომ გროზნოს „ტერეკი“ იწვევდა, ახალი ამბავი არ არის. როგორც ჩანს, თვითონ ფეხბურთელსაც სურდა კლუბის გამოცვლა, თუმც გადაწყდა, რომ ზაფხულამდე ნალჩიკის „სპარტაკში“ დარჩება.

„თუ ზაფხულში ამისულაშვილზე ხელსაყრელი წინადადებით მოგვმართავენ, ანუ თუ ჩვენც თანახმანი ვიქნებით მის გაყიდვაზე, მაშინ ხელი არ შეეშლება ტრანსფერს. ზაფხულამდე კი ის ჩვენთან დარჩება“ — თქვა ნალჩიკელთა თავკაცმა იური კრასნოჟანმა.

გროზნოს „ტერეკი“ საკმაოდ ჩაფულიანდა და დიდ მიზნებსაც ისახავს, ნალჩიკის „სპარტაკს“ კი პრემიერლიგაში ყველაზე ნაკლები ბიუჯეტი აქვს და უნდა არ უნდა, წამყვანი ფეხბურთელების შენარჩუნება უჭირს.

**ილია ნანობაშვილი**

# გვაზავა ტრავმას იშუშებს



**გროზნოს** „ტერეკმა“ თურქულ შეკრებაზე ზედიზედ სამი მატჩი გამართა, თუმცა ქართველ ახალწვეულ ლევან გვაზავას ტრავმის გამო არცერთში უთამაშია.

როგორც შევიტყვეთ, ტრავმა საშიში არ არის და გვაზავაც მალე სრული დატვირთვით დაიწყებს ვარჯიშს.

უმისოდ კი „ტერეკმა“ ყაზახურ „ტობოლს“ 2:1 მოუგო, უზბეკურ „ლოკომოტივთან“ 1:1 ითამაშა, ხოლო ბელარუსული „მტზ-რიპო“ 2:0 დაამარცხა.

აქვე გეტყვით, რომ „მტზ-რიპოში“ სრულად ითამაშა გივი კვარაცხელიამ. ხოლო გასინჯვაზე მყოფი არჩილ ფარტენაძე 65-ე წუთზე შევიდა მოედანზე.

**კახა შალამბერიძე**

# რას ეტყვიან მკვენწლავ ომარს?

„ზესტაფონს“ დაუბრუნდა გერმანიის მოქალაქე, ომარ ელ-ზეინი, ვინც ორიოდ კვირის წინაც ისინჯებოდა იმერულ კლუბში, მერე კი შინ დაბრუნდა.

ელ-ზეინი წარმოშობით ლიბანელია და სახელი ფუტსალის თამაშით გაითქვა. ბურთის კეწვლის განსაკუთრებული ნიჭის გამო კი მეტსახელად ომარდინიო შეარქვეს.

როგორც შევიტყვეთ, ელ-ზეინმა ზესტაფონელი გულშემატკივრის სიმპათია უკვე მოიპოვა, როცა ორმხრივ მატჩს საკმაოდ მრავლად დაესწრო გულშემატკივარი და ოვაციებიც არ დააკლო ახალწვეულს.

ვნახოთ, რას გადაწყვეტს მწვრთნელი გია გეგუჩაძე.

**კახა შალამბერიძე**



## სალუქვაძე და კვირკველია [illegible] ნორვეგიასთან

**ყაზანის** „რუბინმა“ კიდევ ერთ ნორვეგიულ გუნდთან გამართა ამხანაგური მატჩი.

რუსეთის ჩემპიონი ამჯერად „ვოლერენგას“ შეხვდა და 3:1 დაამარცხა.

ლაშა სალუქვაძემ და დავით კვირკველიამ 90-90 წუთი ითამაშეს, მეკარე ნუკრი რევიშვილი კი სათადარიგო იყო.

## კვარაცხელია კი, ფარტენაძე არა

**ბელარუსულმა** „მტზ-რიპომ“ რუსულ „ხიმკისთან“ ამხანაგური მატჩით დაასრულა თურქული შეკრება.

მინსკელებმა მეტოქეს 3:1 სძლიეს, რაშიც გივი კვარაცხელიამ 90-წუთიანი წვლილი შეიტანა. გასინჯვაზე მყოფი არჩილ ფარტენაძე კი არ გამოჩენილა.

## გოგინაშვილი ისევ ბრესტშია

**ბელარუსულმა** ბრესტის „დინამომ“ ამხანაგურ მატჩში 0:0 ითამაშა „გრანიტთან“.

სოლიგორსკის „შახტიორიდან“ ბრესტულ კლუბში დაბრუნებულმა რომან გოგინაშვილმა ამ მატჩში პირველი ტაიმი ჩაატარა.

## მენთეშაშვილის 90 წუთი

**ლატვიურმა** „ვენტსპილსმა“ ამხანაგური მატჩი გამართა ბელარუსულ „შახტიორთან“.

„ვენტსპილსმა“ 0:1 წააგო და ამ მატჩში საქართველოს ნაკრების ნახევარმცველმა ზურაბ მენთეშაშვილმა 90 წუთი ითამაშა.

## ტატანას დუბლი

**დიმიტრი** ტატანაშვილმა ჩეხური „პლზენის“ სარეზერვო გუნდში ითამაშა და „მოსტის“ ფარმკლუბს ორი გოლი გაუტანა.

პლზენელებმა 8:1 მოიგეს, ქართველმა თავდამსხმელმა კი 55-ე და 79-ე წუთებზე გამოიჩინა თავი.

# ქართული ფუტსალი ელიტ-რაუნდშია

საქართველოს ფუტსალის ნაკრებმა მალტაში გამართულ 2010 ნლის ევროჩემპიონატის პირველ საკვალიფიკაციო რაუნდში, ოთხგუნდა ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავა, რამაც ჩვენები ელიტ-რაუნდში გაიყვანა.

ავთანდილ ასათიანის გაწვრთნილმა საქართველომ ჯგუფის გამარჯვებულ საბერძნეთთან 0:5 კი დათმო, მაგრამ მალტას 3:1, ალბანეთს კი 3:0 სძლია.

ჩვენები საუკეთესო მეორე ადგილით გავიდნენ ელიტ-რაუნდში, რომელიც 19-22 მარტს კაუნასში გაიმართება. ფინალურ ეტაპზე მხოლოდ გამარჯვებული გაალწევს.

ცნობისთვის, განვლილ პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე 16 ნაკრები ოთხ ჯგუფში იყო განაწილებული და 6 გუნდი გადიოდა.

საქართველო — მალტა 3:1 (სოზაშვილი, ბობოხიძე, დარჩია)

საქართველო — საბერძნეთი 0:5

საქართველო — ალბანეთი 3:0 (შელეგია, ბობოხიძე, თოთაძე).

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ფუტსალის ფედერაციის პრეზიდენტმა კახა დევდარიანმა და ნაკრების მოთამაშე-მწვრთნელმა ავთანდილ ასათიანმა პრესკონფერენცია გამართეს...

ავთანდილ იოსელიანი: „სამივე თამაშში ძალიან მძიმე ბრძოლები გადავიტანეთ. ბიჭებმა თითქმის შეუძლებელი შეძლეს და მოხარული ვარ, რომ მომდევნო ეტაპზე გავედით. თითოეულ ფეხბურთელს დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ასეთი თავდადებისთვის. მომავალი ეტაპი 19-22 მარტს ლიტვაში ჩატარდება. ჩვენი მეტოქეები არიან იტალია, ბელარუსი და ლიტვა. იტალია, რა თქმა უნდა, ფავორიტია — ევროპის საუკეთესო ოთხეულში შედის. ბელარუსსაც საკმაოდ ძლიერი ნაკრები ჰყავს. ამ ნაკრების თითქმის ყველა ფეხბურთელი რუსეთის ჩემპიონატში გამოდის, რომელიც ევროპაში საუკეთესო ლიგად ითვლება. ამ ორ მეტოქეს ვერც შევადარებთ ლიტვას, მაგრამ ისინიც იბრძოლებენ. ჩვენ უკან დასახევი გზა არ გვაქვს, ბოლომდე უნდა ვითამაშოთ და ვნახოთ, რა გამოგვივა. ხუთ დღეში საქართველოს ჩემპიონატი განახლდება, ორი ტურის შემდეგ ალბათ პაუზას ავიღებთ და ნაკრებიც შეუდგება შესარჩევი ეტაპისთვის მზადებას სპორტკომპლექს „ქარიშხალაში“.

კახა დევდარიანი: „სპორტკომპლექსი „ქარიშხალა“ ილია ჭავჭავაძის სახელობის ინსტიტუტს გადაეცა. ადრე ეს კომპლექსი ჩვენ გვეკუთვნოდა, ახლა კი რამდენიმე საათით ხათრით გვთხოვნიან და, რა თქმა უნდა, ამისთვის მათ დიდი მადლობა. 17 წელია, საქართველოში არსებობს ფუტსალი, მაგრამ სამწუხაროდ, ვერ შევძელით ამ სახეობის პოპულარიზაცია. საქართველოს ჩემპიონატში ძალიან ცოტა, ექვსი გუნდი გამოდის, სამწუხაროდ, რაიონებში ძალიან რთული მდგომარეობაა. საერთოდაც, მხოლოდ ერთი პროფესიონალური გუნდი გვყავს — ჩემპიონი „იბერია 2003“. საქართველოს ნაკრების ყველა მოთამაშე ეროვნულ ჩემპიონატში თამაშობს და მინდა გითხრათ, რომ ეს ბიჭები გმირები არიან. მათ ამ პირობებში სასწაულს მიაღწიეს და მადლობა მინდა ვუთხრა. არც მე და არც რომელიმე ფეხბურთელს ხელფასი არ გვაქვს. ბიჭებს ვარჯიშებზე მოსასვლელი ფული არ აქვთ, ფაქტობრივად, მოყვარულები ვართ. სახელმწიფოს მხრიდან ფუტსალს დახმარება ესაჭიროება“.

**ნუკრი ლოლაძე**

# ნოდარ ახალკაცი: აფხაზებს და რუსებს სანქციები არ ასცდებათ!

ფეხბურთზე სალაპარაკო თემებს რა გამოლევს. ბუნებრივია, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტთანაც ყოველთვის გვექნება კითხვები. ნოდარ ახალკაცთან არატრადიციული ინტერვიუ გამოგვივიდა. ფედერაციის პრეზიდენტი „სარბიელში" თავად გვესტუმრა და მის „დაკითხვას" ერთდროულად რამდენიმე ჟურნალისტი აწარმოებდა. საუბარი ხანგრძლივი გამოგვივიდა და ამიტომაც ამ „სარბიელში" მხოლოდ ნახევარს შემოგთავაზებთ, დასასრული კი ორშაბათის გაზეთში შეგეძლებათ წაიკითხოთ...



**ილია ნანობაშვილი**: ყველას აინტერესებს, როგორი ფინანსური მდგომარეობაა ამჟამად საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში. ვიცი, რომ შემცირდა ბიუჯეტი. ქმნის თუ არა შემცირებული ბიუჯეტი ხელფასების გადახდის პრობლემას და დაგეგმილი პროექტების განხორციელებას ხომ არ შეუშლის ხელს?

**ნოდარ ახალკაცი**: ალბათ, ცოტა შორიდან უნდა დავიწყოთ... პირველი ის, რომ ფეხბურთის განვითარებისთვის ფინანსების არსებობა ძალიან მნიშვნელოვანია, ზოგადადაც ასეა და ფეხბურთშიც. თქვენ პროექტები ახსენეთ და ყველა დამატებითი პროექტის განხორციელება დაფინანსებასთანაა დაკავშირებული. თუ არის ნაკლები დაფინანსება, ნაკლები პროექტი განხორციელდება, შესაბამისად, მეტი დაფინანსების შემთხვევაში მეტი პროექტი ხორციელდება...

აქ უკვე აუცილებელია პრიორიტეტების განსაზღვრა. ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ 2006 წლამდე სახელმწიფოსგან დაფინანსება არ გვქონდა და ძალიან მოხარულები ვართ, რომ ჩვენი მუშაობის სისწორეში სახელმწიფოს დარწმუნება შევძელით. დავარწმუნეთ, რომ სახელმწიფოსვე დაუბრუნდება ფეხბურთში ინვესტირებული თითოეული თეთრი. ფეხბურთი არის ძალიან მნიშვნელოვანი და განსაკუთრებული სპორტის სახეობა საქართველოსთვის. ასე ვთქვათ, სახეობა, რომელზეც გარკვეულ იმედებს ამყარებს გულშემატკივარი. ყოველ შემთხვევაში, მოლოდინი ასეთია.

**გიორგი დარჯანია**: სახელმწიფოს დახმარება მიზნობრივია თუ თქვენ განსაზღვრავთ, როგორ გამოიყენოთ?

**ნოდარ ახალკაცი**: მიზნობრივია. ჩვენ სპორტის დეპარტამენტთან ერთობლივად განვსაზღვრავთ დაფინანსების დანიშნულებას. სახელმწიფო ბიუჯეტი მუშაობს ისეთნაირად, რომ რასაც წარადგენ, იმაში უნდა დახარჯო ფული, რა თქმა უნდა, ხარჯვის დამადასტურებელი საბუთებიც უნდა წარმოადგინო, ასე ვთქვათ, თანხა უნდა დაიხურო. წინაამდეგ შემთხვევაში, შენ ვერ მიიღებ ახალ თანხას. როგორც კი არამიზნობრივად გამოიყენებ დაფინანსებას, შენ აღარ გაქვს არანაირი იმედი, რომ მომავალ თვეში ფულს ისევ მიიღებ.

-დაფინანსება უმნიშვნელოვანესი საკითხია, ეროვნულმა ნაკრებმა შეუფერხებლად რომ მიიღოს მონაწილეობა ევროპის თუ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირებსა და სხვადასხვა შეჯიბრებში. დაფინანსება გვჭირდება სხვადასხვა პროგრამების განსახორციელებლად, გნებავთ, ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად, ელემენტარულად, კვალიფიკაციის ასამაღლებლად, მწვრთნელთა განათლების, ლიცენზირების პრობლემების მოსაგვარებლად. ყველა ამ ღონისძიების, იგივე ტალანტების აღმოჩენის განვითარების სისტემის სრულყოფა, ასე ვთქვათ, ყოველწლიური საქმიანობაა. შარშან სამი ათასზე მეტი ბავშვი ვნახეთ საქმეში. წლეულსაც იგივეს ვაპირებთ. ეს პროექტი სამი წლის წინ დავიწყეთ და ყოველწლიურად უნდა გაგრძელდეს. ეს იმისთვის კეთდება, რომ აღარ გვქონდეს ისეთი პრობლემა, როგორც სამი წლის წინ გვქონდა. შეგახსენებთ, დაახლოებით შეიდწლიანი ჩავარდნა იყო თაობებში. ამ სამ წელიწადში ბევრი კარგი ფეხბურთელი გამოჩნდა, რომლებსაც დღეს უკვე ასაკოვან ფეხბურთელებთან თამაში უწევთ. ეს იმის ბრალია, რომ წინა თაობები დაიკარგა.

თქვენს რედაქციაში ჰკიდია „ამერის" პლაკატი, რომელზეც 1988 წლს დაბადებული ბევრი ფეხბურთელია. ეს არის ის თაობა, რომელიც ჩვენ სამწელიწადნახევრის წინ ხუთი წლით დიდებში დავაწინაურეთ — 21-წლამდელთა ნაკრებში. ხან წარმატებით, ხან წარუმატებლად, მაგრამ ითამაშეს ამ ბიჭებმა და წელს რომ იწყება 21-წლამდელთა შესარჩევი ტურნირი, ეს უკვე მათი ასაკია. ამ დროს კი მათ უკვე საკმაო გამოცდილება აქვთ მიღებული.

**გიორგი დარჯანია**: 1988 წელს დაბადებულები ახსენეთ. იმ თაობაში ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეული გიორგი განუგრავაა, რომელიც ამ წუთისთვის, ფაქტობრივად, დაკარგულია...

— ამ წუთისთვის მართლაც ასეთი პირი უჩანს, რადგან უკლუბოდაა. მაგრამ ყოველ შემთხვევაში, ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელებს არანაირად არ ჰყავთ ეს ბიჭი ჩამოწერილი. ალბათ, სადღაც ამოირჩევს გუნდს, სადაც ექნება განვითარების საშუალება როგორც ფეხბურთელს. თუმცა მე ვხვდები, რატომ შეეხეთ ამ თემას, მას მართლაც შეეძლო, უფრო მეტად წარმატებული კარიერა ჰქონოდა, ვიდრე ეს მოხდა.

**გიორგი დარჯანია**: ჩემი აზრით, ის ამ თაობაში ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი იყო და ძალიან გულდასაწყვეტია, რომ კარიერა ჯერაც ვერააწყო...

**ნოდარ ახალკაცი**: მე ნამდვილად ვერ დავეთანხმები მათ, ვინც ამბობს, რომ ეროვნულ ნაკრებში ნაადრევმა თამაშმა განუგრავას კარიერა გაუფუჭა. ნაკრებში თამაშობს ლევან ყენია და ლევან მჭედლიძეც.

**გიორგი დარჯანია**: მაგალითად, ბექა გოცირიძემაც თითქმის იგივე გზა გაიარა, თუმცა ამ მომენტისთვის მკვეთრად იყოფა მათი გზები...

**ნოდარ ახალკაცი**: ამ თაობას საკმაოდ კარგი საერთაშორისო გამოცდილება დაუგროვდა. ბევრ მათგანს 40-ზე მეტი თამაში აქვს გამართული საერთაშორისო დონეზე. თუმცა ილუზია იმისა, რომ ან ბექა გოცირიძე ან ლევან მჭედლიძე და ლევან ყენია ახალგაზრდულ ნაკრებს დაეხმარებიან, არ უნდა გვქონდეს. ღმერთმა ქნას, ფინალურ ეტაპზე გავიდეთ. მაშინ შესაძლებელია, მაგრამ შესარჩევ ტურნირში მათი გამოყენების შანსი ნაკლებია. დაფინანსება რომ არ ყოფილიყო, ამხელა გამოცდილება ვერ დაუგროვდებოდათ ასაკობრივ ნაკრებში მოთამაშე ფეხბურთელებს. ყველას აქვს საშუალება, შეკრება გაიაროს, ტესტ-მატჩები ითამაშოს, ტურნირებში მიიღოს მონაწილეობა. 17-წლამდელთა ნაკრებს რომ 35-მდე თამაში ექნება ჩატარებული, შემდეგ 19-წლამდელებშიც იმდენივეს ითამაშებს, ახალგაზრდულში უკვე დიდი გამოცდილებით მივა და აღარ აქვს მოწინააღმდეგის შიში. ამით ვარსკვლავთან შეხვედრის პრობლემა აღარ დადგება...

ფედერაციის მთელი ეს მუშაობა აბსოლუტურად პირდაპირ პროპორციულია იმისა, თუ როგორ გაქვს ამის დაფინანსების საშუალება. ჩვენ ვიცით, რა არის ჩვენი დაფინანსება და ვცდილობთ, მის ჩარჩოებში ჩავეტიოთ. ეს არ ნიშნავს, რომ სასიცოცხლო მნიშვნელობის რაღაცებზე უარს ვამბობთ. აუცილებელია, სანამ შესარჩევი ციკლი დაიწყება, სხვადასხვა ასაკობრივმა ნაკრებმა გაიაროს, ვთქვათ, ოთხი უცხოური შეკრება და ითამაშოს 12 თამაში. ეს არის მინიმუმი, რომელიც გარანტირებული აქვთ ამ ნაკრებებს.

ჩემი აზრით, იმ ჩემპიონთა ლიგაში შეღწევაც შესაძლებელია, ისე, როგორც „ანორთოსისმა", „კლუჟმა" თუ ბატე-მ შეაღწიეს...საერთო ჯამში განსხვავება გრანდებსა და პატარა კლუბებს შორის მცირდება.

**გიორგი დარჯანია**: ეგ მართალია, მაგრამ ქართულ კლუბებს რამდენად ეხებათ, ისაა მთავარი...

**ნოდარ ახალკაცი**: სწორი მუშაობის ფონზე ქართულ კლუბსაც შეუძლია ასეთი წარმატების მიღწევა... თუმცა, როცა მეზობლად რუსეთი გყავს... რა თქმა უნდა, აგვისტოს მოვლენებისას ფეხბურთი მეორეხარისხოვანი იყო, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ გუნდებმა ივლისში დაიწყეს მოსამზადებელი პერიოდი, აგვისტო კი ჩაუვარდათ. კიდევ ვამბობ, რა დროს ამაზე ლაპარაკია — როცა ომი იყო, მაგრამ წარმოუდგენელია, ლიგაში მონაწილე რომელიმე კლუბს წარმატებისთვის მიეღწია იმ პერიოდში, რაც ჩვენთან იყო. თუმცა გახსოვთ, ჩვენი ნაკრები იმ ურთულეს პერიოდში მაინც ჩავიდა უელსში და დღესაც ზღაპრად მეჩვენება, როგორ მოვახერხეთ ეს.

**გიორგი დარჯანია**: ისევ ფინანსებზე გკითხავთ. სპონსორული ურთიერთობები შენარჩუნებული გაქვთ? იმიტომ გეკითხებით, რომ მაგალითად, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო რაგბის კავშირს სპონსორების შენარჩუნება გაუჭირდა...

**ნოდარ ახალკაცი**: ის, რომ დღეს ისე ცხადად ვერ გააკეთებ ფინანსურ გათვლებს, როგორც თუნდაც ორი წლის წინ, თქმა არ უნდა. გერმანიაშიც კი აცახცახებთ, „ოპელს" დახურავს თუ არა „ჯენერალ მოტორსი" და ასე რომ მოხდეს, რამდენიმე ათასი თანამშრომელი რჩება უმუშევრად. ამიტომ, როცა ჩვენ ვგეგმავთ ღონისძიებებს, ვგეგმავთ ისეთებს, რომელსაც დაფინანსების პრობლემა არ შეექმნება. ჩვენთვის ასევე მნიშვნელოვანი დაფინანსების წყაროა ფიფა და უეფაც, რაც მიზნობრივი დახმარებებია.

# რატომ ამჯობინა ამისულაშვილმა კუპერის სამშაბათობას დასვენება?!



ნუგზარ ხუციშვილის ფოტო

**გიორგი დარჯანია:** რუსეთი და აგვისტო ვახსენეთ და, აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების ფეხბურთის ფედერაციას სურს, რუსეთის ჩემპიონატში მიიღოს მონაწილეობა, თუმცა, რამდენადაც ვიცით, ფიფა ამას კრძალავს. რისი იმედი აქვთ?

**ნოდარ ახალკაცი:** მოსალოდნელიც იყო, რომ სურვილი ექნებოდათ. ალბათ, რუსეთიდან ინიცირებულია ეს საკითხი და, რაც შეიძლება, სწრაფად უნდათ ამის გაკეთება. გარკვეულ წრეებს მისწრაფება რომ ექნებოდათ, ეს ბუნებრივია. საბედნიეროდ, ფიფას და უეფას მკაცრ იურიდიულ ჩარჩოებში აქვთ ჩასმული მსგავსი ამბები. ისიც აღარ არის ძველებურად, ადრე რომელი ქვეყნის ნაკრებშიც გინდოდა, იქ რომ ითამაშებდი. სხვათა შორის, ბევრმა ორგანიზაციამ ფიფასა და უეფას მაგალითზე დაიწყო თავისი სტანდარტების ამუშავება — ხელბურთმა, კალათბურთმა, რაგბიმ. ყველაფერი იქით მიდის, რომ ყველა სახეობა ერთ იურიდიულ ჩარჩოში მოექცევა.

ცხადია, თუ აფხაზეთის კლუბი ან ნაკრები დაუშვეს რუსეთში, ეს სერიოზულ სანქციებს გამოიწვევს ფიფასგან და არა მხოლოდ აფხაზებს, რუსეთის ფეხბურთის კავშირსაც მოეთხოვება პასუხი.

**გიორგი დარჯანია:** აქამდე დიდ ფეხბურთზე ვლაპარაკობდით. ცალკე ვთქვათ ფუტსალზე და ქალთა ფეხბურთზეც, რომლებიც სფფ-ის დაქვემდებარებაში არიან. ფუტსალის ნაკრებს საკმაო რაოდენობის მატჩები აქვს ჩატარებული, თუმც ჩემპიონატი, ფაქტობრივად, ძლივს ტარდება...

**ნოდარ ახალკაცი:** პირველ რიგში, მივულოცავ ჩვენს ფუტსალის ნაკრებს მალტურ წარმატებას. ახლა ელიტ-რაუნდში ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო ნაკრებს, იტალიას დაუპირისპირდებიან. ევროპის 28 საუკეთესო გუნდს შორის მოვხვდით, ეს რეიტინგში აგვწევს და ამხანაგურ მატჩებსაც უფრო იოლად გავჭარხავთ. აქამდე თუ არაფრად მიაჩნდათ საქართველო, ამის შემდეგ მოინდომებენ ჩვენთან თამაშს. თან, იცით, მინი-ფეხბურთი სისხლში გვაქვს ქართველებს და მართალია, ფუტსალი განსხვავებულია მისგან, მაგრამ გარკვეულწილად შეიძლება მინი-ფეხბურთიდან რაღაც-რაღაცების „გადმოტანა". ცხადია, ამას მეტნაკლებად მდგრადი ფინანსური პირობები სჭირდება.

**გიორგი დარჯანია:** მეჩვენება, რომ უფრო კარგი ჩემპიონატის ჩატარება შეიძლება ფუტსალში. ხალხს ეს აინტერესებს — ბევრგან მიდიან, ფულს იხდიან დარბაზებში და თამაშობენ...

**ნოდარ ახალკაცი:** დღეს გვაქვს ამის ფუფუნება. სხვადასხვა რაიონში აშენდა სპორტული დარბაზები, სადაც შეიძლება მატჩების გამართვა. ადრე იყო მხოლოდ „ქარიშხალას" სპორტკომპლექსი. ახლა კი თუნდაც ოზურგეთის დარბაზი ავიღოთ. ამასწინათ ვიყავი და ძალიან მომეწონა. ნაკრებმაც კი ითამაშა იქ — ხან სომხები ჩამოდიან, ხან აზერბაიჯანელები.

ვფიქრობ, ნაკრების შედეგმა კარგი ბიძგი უნდა მისცეს მინი-ფეხბურთის მოთამაშეებს, რათა სერიოზულად დაინტერესდნენ ფუტსალით. კი განსხვავება არის, ფუტსალში ბურთი ქვასავითაა, მაგრამ მაინც...

**გიორგი დარჯანია:** ქალთა ფეხბურთი კი ასე არ არის. ასე მგონია, ქალთა ფეხბურთი, სავალდებულოა, არსებობდეს და მეტი არაფერი...

**ნოდარ ახალკაცი:** მოდით, ვთქვათ, რომ ეს ფიფა-უეფას განკარგულებაა — განსაზღვრული თანხა უნდა დახარჯო ქალთა ფეხბურთში. რა თქმა უნდა, საქართველოში ქალთა ფეხბურთის განვითარების პერსპექტივა ისეთი არ არის, როგორც გერმანიაში. ამ მხრივ შედარებაც არ შეიძლება და ძალიან რთულია, ტოლ-სწორად ეთამაშო ძლიერ ქვეყნებს. პარალელს გავავლებდი რაგბისთან. როგორც იქაა: სამი ერის და ევროპის ექვსი ერის ქვეყნები როგორ მაღლა დგანან სხვებზე და მათ, ფაქტობრივად, ვერავინ უგებს, ასეთი განსხვავებაა ქალთა ფეხბურთშიც. ასე ვთქვათ, იერარქიაა. კი, რაგბიში ცოტა დაგვაკლდა ირლანდიის დასამარცხებლად, მაგრამ ერთხელ და ორჯერ მართლაც შეიძლება გაგიმართლოს. ილუზია ნაღდად არ უნდა გვქონდეს, რომ ქალებში დიდ წარმატებას მივაღწევთ. პერსპექტივა ქალთა ფეხბურთს ნაკლებად აქვს, რაც ქართულ სულთანაა დაკავშირებული. შესაძლოა, გავიდეს ათწლეულები და სიტუაცია ისე შეიცვალოს, რომ დღევანდელ საუბარზე გაგვეცინოს.

**ილია ნანობაშვილი:** დავუბრუნდეთ ეროვნულ ნაკრებს. ბევრს აინტერესებს, რა მოხდა 2007 წლის ზაფხულში ლუქსემბურგში, როცა 0:0 ვითამაშეთ. შედეგზე კი არ არის საუბარი, უბრალოდ, მას შემდეგ ნაკრებში აღარ გამოჩენილან ალეკო ამისულაშვილი, ლადო ბურდული...

**ნოდარ ახალკაცი:** ამ თემაზე იმდენჯერ ვისაუბრეთ, რომ ამოწურულად წარმომიდგენია. მოხდა ის, რომ წარმატებას ვერ მივაღწიეთ იმ მატჩში. იმდროინდელმა მწვრთნელმა ცალკეულ ფეხბურთელებზე წარმოდგენა შეიქმნა და გადაწყვიტა, ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის გაეხსნა გზა — ლევან ყენიასთვის, ლევან მჭედლიძისთვის... ასევე ამბობდნენ გოგიტა გოგუაზეც, თუმცა კუპერმა ის გამოიძახა და ჰყავდა კიდეც ვარჯიშებზე, დააკვირდა, გააკეთა თავისი დასკვნა. ზოგ ფეხბურთელს „სამშაბათობაზე" აკვირდებოდა. ეს ისეთი რამეა, ჩემს კომპეტენციაში არ შედის. ჩვენ გარკვევით გვაქვს ჩამოყალიბებული: კუპერმა უნდა გამოიძახოს ფეხბურთელები.

**გიორგი დარჯანია:** აქ სხვა რამესთან გვაქვს საქმე. იყო ლაპარაკი, რომ ლუქსემბურგთან თამაში წმინდა სპორტული სახისა არ იყო, თითქოს ზოგიერთმა ფეხბურთელმა არ იბრძოლა. იყო ასეთი ეჭვები და ამაზე ლაპარაკობდნენ...

**ნოდარ ახალკაცი:** ეჭვი გაჩნდება, როცა ლუქსემბურგს ვერ დაამარცხებ. იქ რაზეც იყო საუბარი და რაზეც აღვშფოთდი, ეს ზოგიერთი ფეხბურთელის ცოტა არასათანადო დამოკიდებულება იყო მატჩისადმი. ცუდია, რომ ფირი არ გინახავთ; შეგიძლიათ, ნახოთ, რათა ეს გაუგებრობა დამთავრდეს.

მე მინდა, ორი რამ გავმიჯნო: მაშინ კლაუს ტოპმიოლერმა თავისით გამოიტანა დასკვნები, რადგან ყველაზე მეტად ის იყო აღშფოთებული ზოგიერთი ფეხბურთელის არასათანადო შემართებით. მახსოვს, იყო ლაპარაკი, ზოგი ფეხბურთელი ნაკლებად პატრიოტიაო. მგონი, არასწორია ამის ერთმანეთში არევა.

**გიორგი დარჯანია:** ცხადია, პატრიოტიზმი აქ არაფერ შუაშია, პროფესიონალიზმში არ უნდა ავურიოთ...

**ნოდარ ახალკაცი:** იმ მატჩში იყო ლაპარაკი დავით მუჯირზეც, რომელსაც დიდი ხანია, ვიცნობ, გადასარევი პიროვნებაა, მაგრამ ერთია პიროვნება და მეორეა, როგორ წარმოუდგენია ის კუპერს თავის მონახაზში. კუპერმა გამოიძახა კიდეც მუჯირი. ასე რომ, ლუქსემბურგის მატჩის შემდგომ მოვლენებს ნამდვილად არ გადავაბამდი ერთმანეთს. ყველას მიეცა თავის გამოჩენის საშუალება. ხშირად იწერებოდა, ლევან ცქიტიშვილი სანაკრებოდ საჭირო ფეხბურთელიაო, მაგრამ თვითონ ლევანიც არ მალავდა, რომ ოპტიმალურ ფიზიკურ კონდიციებში არ იყო, კუპერი კი ნახევარდაცვაში ამჯობინებს დიდი სამუშაოს შემძლე ფეხბურთელებს. ეს მის მონახაზშია. გამიხარდა, ცქიტიშვილი გერმანულ კლუბში რომ გადავიდა: მას ახლა ნაკრებში თამაშის მეტი შანსი აქვს.

**ილია ნანობაშვილი:** ამისულაშვილზე კიდევ გკითხავთ: ფაქტია, იგი ლუქსემბურგთან თამაშის მერე უფრო წარმატებული ფეხბურთელი გახდა საკლუბო დონეზე და მაინც ნაკრებს მიღმაა. რამე ისეთი ხომ არ ხდება, რაც სპორტულ ფარგლებს სცდება? ანუ, სურს თვითონ ამისულაშვილს ნაკრებში თამაში?

**ნოდარ ახალკაცი:** ამაზე მე ვერ გიპასუხებთ. ჩემთვის ეს არაა ცნობილი, სურს თუ არა მას საქართველოს ნაკრებში თამაში. ვიცი, რომ „სამშაბათობაზე" კუპერმა დეკემბერში ლეგიონერები მოიწვია, მათ შორის, ამისულაშვილიც, მაგრამ არ თუ ვერ მოვიდა.

*როდესაც ამისულაშვილზე კიდევ დავეკითხეთ, ნოდარ ახალკაცმა ნაკრების მენეჯერ თამაზ ბოკერიას დაურეკა, რათა დეტალები დაეზუსტებინა — იყო თუ არა გამოძახებული ამისულაშვილი დეკემბერში „სამშაბათობაზე" და თუ იყო, რატომ არ მოვიდა...*

**თამაზ ბოკერია:** ამისულაშვილი დავით სირაძესთან ერთად ჩამოფრინდა რუსეთიდან, ეს იყო დაახლოებით 10 დეკემბერს, როცა რუსეთში სეზონი დასრულდა. ჩვენი წარმომადგენელი გია ხუციშვილი დახვდა მათ და უთხრა, რომ კუპერი სამშაბათს იბარებდა ვარჯიშზე. კეთილი, აუცილებლად მოვალო. მერე, როცა დავუკავშირდით ამისულაშვილს, ტელეფონი გათიშული ჰქონდა. ისევ სირაძეს დავურეკეთ და მან გვითხრა, ამისულაშვილი დუბაიში წავიდა დასასვენებლადო.

**გიორგი დარჯანია:** ამაზეც გკითხავთ: თამაზ კოსტავას მანქანას რა ბედი ეწია, ხომ არ იცით?

**ნოდარ ახალკაცი:** სიმართლე გითხრათ, არა. ჩვენ გული შეგვეტკივა ამაზე, მაგრამ სანამ გამოძიება მიმდინარეობს, თავი უნდა შევიკავოთ ამაზე ლაპარაკისგან. რადგან ასე გულღიად ვსაუბრობთ, იმასაც გეტყვით, რომ ჯერჯერობით კულუარულადაც არ გამიგია რაიმე ინფორმაცია...

*გაგრძელება მომდევნო „სარბიელში"*

# ასათიანი გუშინ და დღეს

**მოსკოვის „ლოკომოტივის“ მწვრთნელმა რაშიდ რახიმოვმა მიკიბვ-მოკიბვის გარეშე გააგებინა ყველას, რომ მალხაზ ასათიანი არ სჭირდება და ქართველი ფეხბურთელიც შემოდგომამდე იჯარით კიევის „დინამოში“ გაუშვეს. რა არის ეს, ასათიანის მოსკოვური კარიერის დასასრული თუ დროებით უკან დახევა, ახლა ძნელი სათქმელია და პასუხს მხოლოდ დრო გაგვცემს. აი, მისი კარიერის დასაწყისსა და აქამდე გავლილ გზას კი შეგვიძლია, თვალი გადავავლოთ. მით უმეტეს, ექვსი წლის წინ სწორედ ამ დღეს, 26 თებერვალს გააფორმა ასათიანმა კონტრაქტი „ლოკომოტივთან“...**



## აივნის ფეხბურთი

მალხაზ ასათიანი 1981 წლის 4 აგვისტოს დაიბადა ერთ ჩვეულებრივ ქუთაისურ ოჯახში. მამა — ინჟინერი, დედა — სატელეფონო სადგურის თანამშრომელი. მოკრძალებულად ცხოვრობდნენ. მალხაზს ბურთს, როგორც წესი, ნათესავი ჩუქნიდა, რომელიც თბილისში ცხოვრობდა და ისიც ოსტატობას აივანზე ხვეწდა...

„ჩვენს სახლში გრძელი, საერთო აივანი იყო და სათამაშო ადგილადაც ის აივანი მქონდა“.

ფეხბურთით ასათიანი 8 წლისა დაკავდა. თავდაპირველად „ტორპედოს“ ბავშვთა სკოლაში ვარჯიშობდა. მერე „ტორპედო 2“-ში თამაშობდა და ბოლოს, 1999-2000 წლების სეზონში მთავარ გუნდშიც მოხვდა.

## ტორპედო და თანამეგობრობა

სადებიუტო სეზონში მეტწილად შეცვლაზე შედიოდა და ჯამში 13 მატჩი და 3 გოლი მოაგროვა. სამაგიეროდ, გუნდმა იყოჩაღა და „დინამოს“ ათწლიანი ჰეგემონია დაარღვია — საქართველოს ჩემპიონი გახდა.

მომდევნო სეზონში ასათიანი უკვე ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი იყო და შემტევი ნახევარმცველის პოზიციაზე ათამაშებდნენ. ხანდახან — უკანდაწეულ ფორვარდადაც.

2001 წლის იანვარში კი ასათიანმა მოსკოვში, „თანამეგობრობის თასზე“ ითამაშა. იმ თასზე, რომელმაც მისი შემდგომი კარიერა განსაზღვრა კიდეც. იმ ტურნირზე მალხაზმა ერთი გოლი გაიტანა.

ჩემპიონატში „ტორპედო“ დამაჯერებლად მიდიოდა მიჯრით მეორე ტიტულამდე, 19 წლის ასათიანი კი ამ გუნდის ლიდერთაგანი გახლდათ. კლუბმა დუბლი შეასრულა, თასიც მოიგო და მეორედ გაემგზავრა „თანამეგობრობის თასზე“.

ამჯერად ასათიანმა აშკარად მოაწონა თავი რუს და უკრაინელ სკაუტებს. განსაკუთრებით კი „სპარტაკთან“ მატჩისას, რომელშიც მის ბრწყინვალე სოლორეიდს მეკარესთან პირისპირ გასვლა და პენალტის მოპოვება მოჰყვა.

ტექნიკურ ნახევარმცველს ყურადღება მოსკოვის „სპარტაკის“ და კიევის „დინამოს“ გზირებმა მიაპყრეს. კიეველებმა შეკრებაზეც მიიწვიეს, სადაც მალხაზმა მეორე გუნდის შემადგენლობაში 6 მატჩიც ჩაატარა.

თუმცა მაშინ „დინამომ“ ასათიანი არ დაიტოვა, „სპარტაკის“ ყურადღება კი ყურადღებადვე დარჩა.

## მესამე ცდა

„თანამეგობრობის თასზე“ მესამედ ჩასულ ასათიანს კი უკვე ნამდვილად გაუმართლა. „ტორპედო“ ჯგუფში „ლოკომოტივთან“ ერთად მოხვდა და ქართველმა ფეხბურთელმა მთლიანად ტურნირზეც და რკინიგზელებთან იმ კონკრეტულ მატჩშიც (2:2) ძალიან კარგად ითამაშა.

იური სიომინს „თანამეგობრობის თასზე“ მეორე გუნდი ჰყავდა მივლინებული და მოგვიანებით, მატჩების ჩანაწერებს რომ უყურებდა, ასათიანი თვალში მოხვდა. ამის მერე შეკრებაზეც მიიწვია და 2003 წლის 26 თებერვალს კონტრაქტიც გაუფორმა. 3,5 წლით დაიტოვეს და 30-ნომრიანი მაისურა მისცეს.

არადა, იყო შანსი, რომ იმ სეზონში ასათიანი თბილისის „დინამოში“ ამოჩენილიყო — ტრანსფერი თითქმის შეთანხმებული გახლდათ. მაგრამ „ტორპედოს“ პრეზიდენტი ზურაბ ხინიკაძე „ლოკოს“ პრეზიდენტ ვალერი ფილატოვთან მეგობრობდა და იოლად მოელაპარაკა.

ასათიანს რუსული დებიუტი ჩემპიონატის მეხუთე ტურში ჰქონდა, „ალანიასთან“. სასტარტოში იყო და მარცხენა ინსაიდის პოზიციაზე მარატ იზმაილოვის ადგილას ათამაშეს.

მოედანზე მხოლოდ 30 წუთი იყო და ერთ საგოლე კომბინაციაში მიიღო მონაწილეობა.

ამასობაში 30 აპრილი მოახლოვდა — დღე, როდესაც ევრო 2004-ის შესარჩევ ეტაპზე, საქართველო — რუსეთის უპრინციპულეს მატჩში ასათიანმა გამარჯვების გოლი გაიტანა.

ის მატჩი იყო და, მოსკოვში დაბრუნებული ასათიანი სიომინმა ცსკა-სთან სასტარტოში... თავდამსხმელად ათამაშა. „ლოკომოტივმა“ ის თამაში ნომინალური ფორვარდის გარეშე ჩაატარა და ასათიანს შეტევაში უკრეს თავი. აქედან განსაკუთრებული არაფერი გამოვიდა. ნამატჩევს ასათიანმაც თქვა, ცხოვრებაში პირველად ვითამაშე თავდამსხმელადო.

იმ საზონში ასათიანმა კიდევ რამდენიმე მატჩში მიიღო მონაწილეობა. ორი საგოლე პასი გააკეთა და ერთი გოლიც შეაგდო. სასტარტოში რომ ვერ მოიკიდა ფეხი, გასაკვირი არც იყო: გუნდში მამინოვი, ხოხლოვი, იზმაილოვი, ლოსკოვი იყვნენ.

ერთი სიტყვით, იმ პირველ რუსულ სეზონში მოედანზე 10-ჯერ გავიდა, ამათგან სასტარტოში ხუთჯერ და 90 წუთი თამაში მხოლოდ ერთხელ მოუწია.

მალხაზს გუნდიდან წასვლაც უნდოდა, იჯარით გაშვება ითხოვა, მაგრამ სიომინმა დაიყოლია.

## გარდასახვა

ახალი სეზონის წინ „ლოკომოტივმა“ სერიოზული დანაკლისი განიცადა — მცველი სერგეი იგნაშევიჩი წავიდა. არადა, ჩემპიონთა ლიგაში „მონაკოსთან“ მატჩი ახლოვდებოდა და სიომინის თანაშემწე ვლადიმირ ეშტრეკოვმა უფროსს ასათიანის კანდიდატურა შესთავაზა იგნაშევიჩის შემცვლელად.

„ვარჯიშზე იგნაშევიჩის ადგილას, დაცვაში დამაყენეს. იქამდე ამ პოზიციაზე არასოდეს მეთამაშა. მნახეს, მოვეწონე. თავადაც არ ველოდი, ასე კარგად თუ გამომივიდოდა. ადრე ვერც წარმოვიდგენდი, მცველობა თუ მომიწევდა. თუმცა ოღონდ მეთამაშა და კარში ჩადგომაზეც თანახმა ვიყავი“.

ექსპერიმენტმა გაამართლა. ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში ასათიანმა ფეხი არ გაანძრევინა ფერნანდო მორიენტესს. კარგად კითხულობდა თამაშს, ჩინებულად იბრძოდა მეორე სართულზე, ხოლო პასების სწორად განაწილების უნარი — ნახევარმცველობის დროიდან რომ გამოჰყვა — მისწრება იყო ცენტრალური მცველისთვის.

ჩემპიონატში პირველივე მატჩში დაშავდა. „შინიკთან“ კუნთი დაიზიანა და ერთი თვე დაისვენა. მომჯობინებული კი შეუცვლელი ფეხბურთელი გახდა და სეზონში სულ რამდენიმე თამაშილა გამოტოვა — მცირე ტრავმების და ერთიც დისკვალიფიკაციის გამო.

ხოლო საქართველოს ნაკრების მაშინდელმა მწვრთნელმა ალენ ჟირესმა დანიასთან მატჩის მერე მალხაზი ზიდანს შეადარა. გეხსომებათ, იმ მატჩში ასათიანმა გამთამაშებლად ითამაშა და გოლი და საგოლე პასი მიითვალა.

ჯერჯერობით, ის 2004 წელი საუკეთესოდ შეგვიძლია მივიჩნიოთ ასათიანის კარიერაში: რუსეთის ჩემპიონის ტიტულის გარდა, სეზონის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა და ჩემპიონატის საუკეთესო ცენტრალურ მცველადაც აღიარეს.

## მეორე: უფრო რთული?

ამბობენ, მწვერვალზე ასვლა უფრო იოლია, ვიდრე იქ ადგილის შენარჩუნებაო. ამის ბევრი მაგალითიც არსებობს, თუმცა მალხაზს ეს არ შეხებია. ახალი სეზონის პირველ წრეში „ლოკომოტივმა“ მხოლოდ 4 გოლი გაუშვა. მათგან ერთი — „ზენიტთან“, რომელშიც ასათიანს არ უთამაშია.

მეტიც, პირველი წრის მერე „სპორტ-ექსპრესმა“ ასათიანი საუკეთესო ფეხბურთელად, მცველად და ლეგიონერად ერთდროულად დაასახელა. „ლოკომოტივი“ კი დამაჯერებლად ლიდერობდა ჩემპიონატს.

მაგრამ მეორე წრეში რაღაც მოხდა. რაღაც კი არა, გუნდი ფაქტობრივად დაიშალა. სანაქებო დაცვამ კატასტროფულად დაიწყო გოლების გაშვება და ჩემპიონობას ვინ ჩივის, ის მეორე ადგილიც დაკარგა, რომელიც ჩემპიონთა ლიგაში თამაშის საშუალებას იძლეოდა. ცხადია, ასათიანსაც აღარავინ დაასახელებდა საუკეთესოდ. მეორე მხრივ კი, იმ სეზონში მალხაზი ყველაზე მეტჯერ (11) მოხვდა ტურის სიმბოლურ ნაკრებში.

## ახალი იმედი, ახალი ტრავმა

შეუცვლელ ფეხბურთელად ქცეულმა ასათიანმა ახალი სეზონისთვის მზადება დაიწყო. „ლოკომოტივში“ ახალი მთავარი მწვრთნელი სლავოლიუბ მუსლინი მივიდა, რომელსაც მალხაზის მცველობა სავსებით აკმაყოფილებდა და ნახევარდაცვაში მისი დაბრუნება საჭიროდ არ ჩათვალა.

სეზონი კი უსიამოვნებით დაიწყო. უეფას თასზე „სევილიასთან“ მატჩის წინ, ვარჯიშზე, ასათიანმა ლავიწი გაიტეხა და საქმეს ორი თვით ჩამოშორდა. მის არყოფნაში კი „ლოკომოტივმა“ ჩემპიონატის საწყის ექვს ტურში ოდენ 5 ქულა მოაგროვა და 13 გოლი გაუშვა. ამდენი გაშვებული გოლი ასათიანის გარდა მეორე წამყვანი მცველის, დმიტრი სენნიკოვის ტრავმამაც განაპირობა.

მალხაზის დაბრუნება ტრიუმფალური თუ არა, დროული და საჭირო ნამდვილად იყო. პირველივე მატჩში საუკეთესოდ აღიარეს, თუმცაღა საუკეთესო ფორმაში არ იყო. მუსლინმაც თქვა, ასათიანის დაბრუნებამ დაცვის ხაზი დაგვილაგაო. ეგ იყო და, მომდევნო 14 მატჩში გუნდმა მხოლოდ 7 გოლი გაუშვა.

მომდევნო მატჩი ცსკა-სთან იყო, რომელიც ასათიანისთვის საბედისწერო გამოდგა. მე-8 წუთზე არმიელმა ივიცა ოლიჩმა მუხლის უმძიმესი ტრავმა მიაყენა. როგორც ამბობენ, ჩარტყმის ხმამ ტრიბუნებზეც კი აღწია. თავდაპირველად ექიმებს იმედი ჰქონდათ, რომ ტრავმა სერიოზული არ იქნებოდა, მაგრამ მალხაზს ჯვარედინა მყესები აღმოაჩნდა გაწყვეტილი, ოპერაცია დასჭირდა და ფეხბურთს მთელი 9 თვით ჩამოშორდა.

მიუხედავად ამისა:

„ოლიჩზე ნაწყენი არ ვარ. კარგად მესმის, რომ ტრავმა ჩვეულებრივ სათამაშო ეპიზოდში მომაყენა და განზრახ არ გაუკეთებია. ასეთი რამეები ხდება“.

იქამდე ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო მცველი „სპორტ-ექსპრესის“ გამოკითხვაშიც ველარ მოხვდა, რაკი წესია: წარჩინებულებს მატჩების ნახევარი მაინც უნდა ჰქონდეთ ჩატარებული, ასათიანს კი მხოლოდ 14 თამაში მოუგროვდა.

სანამ ქართველი ფეხბურთელი ტრავმას იშუშებდა, მუსლინი მოხსნეს, „ლოკომოტივმა“ კი სეზონის ფინიში ისევ ჩააგდო.

## დაბრუნება

ასათიანი ფეხბურთს მომდევნო სეზონის მე-11 ტურში დაუბრუნდა, ოღონდ აღმოჩნდა, რომ მისი ადგილი დაკავებული იყო. კარგად თამაშობდა სპახიჩი, გაიხსნა ახალგაზრდა ეფიმოვი, კიევის „დინამოდან“ როდოლფო იყიდეს. თანაც თითქმის ერთწლიანი უქმობის მერე ასათიანის ფორმაც მთლად საუკეთესო არ იყო. ამიტომაც მას იშვიათად უწევდა თამაში.

თუმცა იმ სეზონში იყო ერთი მატჩი, რომელიც ხალხს დიდხანს ემახსოვრება: მატჩი „სპარტაკთან“, რომელშიც ასათიანმა გამარჯვების გოლი 94-ე წუთზე გაიტანა.

...„სპარტაკის“ კარისკენ ჯარიმა დაინიშნა. მამინოვი მოემზადა. ასათიანმა ხელით ანიშნა. წამზომი 93:59-ს აჩვენებს. მამინოვი აწვდის, ასათიანი ბურთისკენ გარბის, ხტება და — 4:3!

სხვათა შორის, იმ სეზონში „ლოკომოტივი“ და „სპარტაკი“ ოთხჯერ შეხვდნენ (ორჯერ თასზე) და „ლოკომოტივმა“ ოთხივე თამაში მოიგო. თუმცა ის სეზონი გუნდმა კვლავ ჩააგდო.

## ბოლო სეზონი?

მიჯრით მესამე სეზონი „ლოკომოტივმა“ ახალი მწვრთნელით, ასათიანმა კი ტრავმით დაიწყო. ლატვიასთან სანაკრებო მატჩში მას კოჭი დაუშავეს, რამაც სეზონისწინა შეკრების ნაწილი გააცდენინა. ვარჯიშის განახლების მერე კი ზურგი იტკინა და ჩემპიონატის სტარტი გამოტოვა. პირველ წრეში მხოლოდ ორ მატჩში მიიღო მონაწილეობა.

მეორე წრეშიც ორი მატჩი ჩაატარა. „ამკართან“ „ლოკომ“ მისი შეცდომით გაშვებული გოლით წააგო; მერე „დინამოსთან“ 4 გოლი გაუშვეს და ასათიანისთვის ის ამ დროისთვის ბოლო მოსკოვური მატჩია. მიუხედავად იმისა, რომ „დინამოსთან“ მატჩი მთლიანად გუნდმა ჩააგდო, რახიმოვისთვის მთავარი დამნაშავე, ჩანს, ქართველი ლეგიონერი იყო.

მალევე მალხაზი კიევის „დინამოში“ გაუშვეს. იჯარის ვადის გასვლის მერე ასათიანი მოსკოვში დაბრუნდა, მაგრამ რახიმოვი მას კვლავ არ ენდობოდა და უკან, კიევში დააბრუნეს, სადაც მწვრთნელად იური სიომინი მუშაობს.

„ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იყო „ლოკომოტივში“ თამაში. მისვლისთანავე გამოვნახე ბიჭებთან საერთო ენა. იური სიომინიც კარგად ხედავდა ჩემს შესაძლებლობებს...“

**გიორგი დარჯანია**



სოხუმის ერთ-ერთი ქუჩა დღეს...



სოხუმის რესპუბლიკური სტადიონის აღდგენილი ტრიბუნა

# ჩვენ გვძულს ისინი!

## პირველივე შესაძლებლობისას მეგრელი აფხაზს ზურგში ესვრის, აფხაზი კი მეგრელს ყელს გამოღადრავს

**რუსეთი საბრძოლო ფრონტს აფართოვებს. კრემლის პოლიტიკურ თუ საბრძოლო აგრესიაზე აქ სიტყვას არ გავაგრძელებთ და ფეხბურთზე მოგახსენებთ. ბოლო დროს რუსულ პრესაში არაერთი სტატია გამოქვეყნდა დამოუკიდებელი აფხაზური ფეხბურთის შესახებ. ახლახანს „ფუტბოლნი კლუბის" კორესპონდენტი მიხაილ მოსაკოვსკი მორიგი „შედევრის" დასაწერად სოხუმს ეწვია და აფხაზეთის ჩემპიონატზე წერილიც გამოაქვეყნა. ამ წერილს ქვემოთ შემოგთავაზებთ, იქამდე კი მოგახსენებთ, რომ წერილი სიცრუის დიდი დოზით არის გაჟღენთილი, თუმცა თქმაც რად უნდა — წაიკითხავთ და თავადაც მიხვდებით, რას ცრუობს და რას მართალს ამბობს რუსი კორესპონდენტი...**

ეშერისკენ მიმავალ გზაზე პირდაპირ კლდეშია გამოჭრილი ობელისკები. ოცი დავითვალე. თითოეულ მათგანს ერთიდაიგივე წარწერა ამშვენებს: „13 ოქტომბერი, 1992 წელი. გმირულად დაიღუპნენ აფხაზეთის თავისუფლებისთვის".

აფხაზეთში ქართველების შეჭრის მერე 16 წელი გავიდა, მაგრამ ომის კვალს დღესაც ყოველ ნაბიჯზე წააწყდებით. სუხუმში (აფხაზურად ქალაქის სახელი ასე გამოითქმის) ორ ათეულ შენობასაც ვერ ნახავთ, ნატყვიარები რომ არ ემჩნეოდეს. რესტავრაციას აქამდე აზრი არ ჰქონდა, რადგან აფხაზები არ იყვნენ დარწმუნებულები, რომ ომი ისევ არ მოხდებოდა. ახლა, როცა რუსეთმა აფხაზეთის დამოუკიდებლობა სცნო, სუხუმში ამტკიცებენ, რომ ერთ-ორ წელიწადში ქალაქი გარდაიქმნება.

ერთ-ერთი ობიექტი, რომლის რეკონსტრუქცია უკვე დაწყებულია, რესპუბლიკური სტადიონია. თუმცა ჯერჯერობით მხოლოდ ერთი ტრიბუნაა მოწესრიგებული, აფხაზეთის დროშის ფერებში ინდივიდუალური სკამებით რომ არის შევსებული. მოპირდაპირე ტრიბუნაზე კი სავალალო სურათია — რკინა-ბეტონის გროვები და საფუძვლიანად დაშლილი ტაბლო.

აი, ასეთი ანტურაჟით უმასპინძლა სტადიონმა აფხაზეთის ჩემპიონატის მატჩს სუხუმის „ნართსა" და გალის „სამურზაყანოს" შორის.

გალის რაიონი ერთადერთია აფხაზეთში, სადაც შემორჩენილია ქართული მოსახლეობა. „სამურზაყანოს" თითქმის ყველა ფეხბურთელი მეგრელია.

მეგრელები ქართველთა სისხლით მონათესავე ხალხია.

„ჩვენ გვძულს ისინი, მათ კი ჩვენ — ცივად, უემოციოდ მეუბნება „ნართის" ერთ-ერთი ხელმძღვანელი — პირველივე შესაძლებლობისას მეგრელი აფხაზს ზურგში ესვრის, აფხაზი კი მეგრელს ყელს გამოღადრავს. თითქმის ყველა მათგანს ქართული პასპორტი აქვს. აი, ნახავთ, მალე მათ ყველას გავყრით აფხაზეთიდან".

მიუხედავად ამისა, მოედანზე ეს სიტყვები არ დადასტურდა. ფეხბურთელები ერთმანეთს მიესალმნენ, გადაეხვივნენ, გადაკოცნეს. თამაშიც საკმაოდ კორექტული იყო. კორექტულები იყვნენ მაყურებლებიც, 60-70 კაცი — იქაური საზომებით ძალიან ბევრი.

ერთადერთი, რუსი ტურისტები აქტიურობდნენ, რომლებიც სტადიონზე არყის გვარიანი მარაგით იყვნენ მოსულები. მათ დაშოშმინებას თანამემამულე მსაჯი ცდილობდა, რომელიც კრასნოდარიდან იყო ჩამოსული. გულშემატკივრების „სუდია ნა მილოს" პასუხად არბიტრმა მაყურებელს მიაძახა, ამოვალ ახლა მანდ და საპონს გავაკეთებ თქვენგანო.

„ნახე, 9 ნომერი რა მაგარია! წინა თამაშში 6 გოლი გაიტანა".

ბურთის მიმწოდებელი ბავშვის ეს ფრაზა სავსებით ზუსტად ასახავს ძალთა თანაფარდობას აფხაზეთის ჩემპიონატში. არის „ნართი", „გაგრა" და ყველა დანარჩენი. აი, გალელთა გუნდთანაც სუხუმელებს ლოიალობა არ დაუწყიათ. 7:0 — ამ ანგარიშით დაამარცხეს აფხაზებმა მეგრელები.

გაგრა — უიშვიათესი ადგილი აფხაზეთში, სადაც თითქმის აღარაფერი მოგაგონებთ იმ ფაქტს, რომ 1992 წელს იქ ზღვიდან ქართული დესანტი შევიდა და, ფაქტობრივად, უბრძოლველად აიღო ქალაქი, რადგან იქაურები ამას არ ელოდნენ. ახლა გაგრა ისეთივეა, როგორც 30, 40 წლის წინ იყო. ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, რომ სწორედ ამ ქუჩებში, პლაჟზე და კაფეებში დადიოდნენ რეჟისორი იაკინი და შურიკას ცოლი ფილმიდან „ივან ვასილევიჩი პროფესიას იცვლის".

„გაგრა" მოსკოვის „დინამოს" ყოფილ ბაზაზე ვარჯიშობს. ქალაქში ამბობენ, დინამოელები სერიოზულად ფიქრობენ ამ ბაზის დაბრუნებაზე. ახლა კი ბაზა „გაგრას" ეკუთვნის, რომელიც დამაჯერებლად ლიდერობს ჩემპიონატს.



რუს ჟურნალისტს სოხუმელების და გალელების ასეთი მისალმება უკვირს



სოხუმელებმა გალელებს შვიდჯერ დააწყებინეს ცენტრიდან თამაში

### ტატანას მაინც არ ენდნენ

**ჩეხური** „პლზენი" განახლებული ჩემპიონატის მე-17 ტურში სტუმრად 2:3 დამარცხდა „სლავიასთან".

დიმიტრი ტატანაშვილს არ უთამაშია, არადა, მოსამზადებელ ეტაპზე გოლებით გამოირჩა და ცოტა ძნელი მისახვედრია, რატომ არ ენდო მწვრთნელი ამჯერად.

„პლზენი" 22 ქულით მე-10 ადგილზეა სატურნირო ცხრილში.

### დეკანოსიძის ბატეური ტაიმი

**ბელარუსულმა** ბატე-მ „ბელშინას" ამხანაგურში 2:1 სძლია და ქართველმა ლაშა დეკანოსიძემ მეორე ტაიმი ითამაშა.

დეკანოსიძე შარშან ზაფხულს თბილისის „დინამო 2"-დან შეიძინა ბელარუსის საუკეთესო კლუბმა, თუმც ჩვენიანს ძირითად შემადგენლობაში ოფიციალურ მატჩში არ უთამაშია.

### თოთაძე კუნძულზე

**კიევის** „დინამო 2" კვიპროსულ შეკრებაზე გაემგზავრა და თან ლაშა თოთაძეც იახლა.

კიეველები კუნძულზე სამ ამხანაგურ მატჩს გამართავენ და შინ 7 მარტს დაბრუნდებიან.

გუნდთან ერთადაა უკრაინის მოქალაქე თემურ ფარცვანიაც.

### პერტიამ ქორთუა ათამაშა

**ლატვიურმა** „დინაბურგმა" ამხანაგური მატჩი გამართა რუსეთის პირველდივიზიონელ „ვიტიაზთან" — 1:1.

მწვრთნელმა თამაზ პერტიამ ქართველი ახალწვეული ირაკლი ქორთუა ძირითად შემადგენლობაში ათამაშა.

### დნიპრომ ორი გამოაჩინა

**თურქულ** შეკრებაზე მყოფმა დნეპროპეტროვსკის „დნიპრომ" რუსულ „ხიმკის" 3:2 მოუგო.

უკრაინული გუნდის ქართველი ლეგიონერები, ჯაბა კანკავა და სანდრო კობახიძე შესვენების შემდეგ გამოჩნდნენ მოედანზე. რაც შეეხება დნიპროელთა ახალწვეულ ბექა გოცირიძეს, ამჯერად არ უთამაშია.

### მაისურაძე სრულად გამოჩნდა

**ბელარუსულმა** „ვიტებსკმა" ამხანაგურ მატჩში 5:1 დაამარცხა მოგილიოვის „დნეპრი".

„ვიტებსკში" გასინჯვაზე მყოფმა ირაკლი მაისურაძემ 90 წუთი გაატარა მოედანზე, თუმცა მისი საკითხი ჯერაც არ გადაწყვეტილა.

# დედით ქართველი ბაიერნის შოკი:

## ფიქრია აფციაურმა ლუკას ჰუფნაგელი ნახევრადცარიელი თვითმფრინავით წაიყვანა, არადა...



მიუნხენის „ბაიერნის" 15-წლამდელთა გუნდი

**მიუნხენის „ბაიერნის" 15-წლამდელთა გუნდში დედით ქართველი და მამით გერმანელი ლუკას ჰუფნაგელი თამაშობს. ლუკასი გერმანიაში დაიბადა და თამაშიც იქვე დაიწყო. თავიდანვე „ბაიერნის" სკოლაში მიიყვანეს მშობლებმა და ისიც ჯერ 11, მერე 13, ახლა კი 15-წლამდელებში თამაშობს. 13-წლიანებში გერმანიის ტრადიციული მინი-ტურნირიც მოიგო. ლუკასის დედა ფიქრია აფციაური შვილებს გერმანიაში კი ზრდის, მაგრამ არც ქართულ ადათ-წესებს „უმალავს" და რამდენჯერმე საქართველოშიც ჰყავდა ჩამოყვანილი. ლუკას ჰუფნაგელზე მწირი ინფორმაციის გაგებისთანავე დავიწყეთ უფრო დეტალური ამბების მოძიება და გერმანულ „აბენდცაიტუნგში" მეტად საინტერესო ინტერვიუსაც წავაწყდით. როგორია, მიუნხენის „ბაიერნში" ქართველი ბავშვი თამაშობს, იცი, რომ დედა აფციაური ჰყავს და მორჩა — სხვა არაფერი ჩანს. თუმცა... ინტერნეტის ხანაში გაცილებით იოლი, უფრო სწორად, გაცილებით იოლად შესაძლებელია რაღაცების მოძიება თუ გადამოწმება და ჩვენც ამ გზას დავადექით. „აბენდცაიტუნგის" წერილამდე მოკლედ გეტყვით, რომ ამბავი რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის დროინდელია, როცა ფიქრია აფციაური შვილებთან ერთად კიკეთში ისვენებდა...**





მაშინ, როცა ფიქრია აფციაური და მისი ვაჟი ლუკას ჰუფნაგელი საქართველოში ისვენებდნენ, რუსები გორს ბომბავდნენ

საქართველოდან მიუნხენში დაბრუნებულ ფიქრია აფციაურს გერმანული გაზეთი „აბენდცაიტუნგი" გაესაუბრა და დაწვრილებით გამოკითხა, რაც გადახდათ თავს აგვისტოში თბილისში დასასვენებლად ჩასულთ. გერმანელი კრისტიან ჰუფნაგელის მეუღლე ძალიან ემოციურად იხსენებს ვაჟებთან, 14 წლის ლუკასთან და 16 წლის ალექსანდრესთან ერთად გადატანილ კოშმარს. ის დეტალურად ყვება, როგორ მოახერხა დასაბომბად განწირული ქალაქის დატოვება ბოლო მომენტში და როგორი პანიკა სუფევდა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში...

აფციაური იმასაც იხსენებს, რომ თავიდან სომხეთში უნდოდა გადასვლა — მის შვილებს ხომ გერმანიის მოქალაქეობის გამო უპრობლემოდ შეეძლოთ ამ სახელმწიფოში შესვლა, მაგრამ რადგან თვითონ საქართველოს მოქალაქეა, შეეშინდა, რომ სომხეთი უკან გააბრუნებდა. ცხადია, ასეთ მომენტში მისთვის შვილების მიტოვება წარმოუდგენელი გახლდათ და ამიტომაც გადაწყვიტა, მაინც თბილისიდან დაეტოვებინა სამშობლო.

აეროპორტში მისულებს სრული ქაოსი და განუკითხაობა დახვდათ. რეისებისა და ბილეთების უკმარისობა, ქვეყნის დატოვების უამრავი მსურველი და შეშინებული სახეები...

ლუკასის და ალექსანდრეს ქართველი დედა დღემდე უცნობ სამ მამაკაცს უმადლის იმ კოშმარიდან თავის დაღწევას. აეროპორტის კაფეში მჯდომმა სამეულმა მიაწოდა აფციაურს იდეა, ჯერ თურქეთში გადაფრენილიყო და იქიდან ჩაეღწია მიუნხენამდე. უცნობები იდეის რეალიზებაშიც დაეხმარნენ შეშინებულ დედას და თბილისი-ანთალიის რეისზე სამი ბილეთი შესთავაზეს — თითო 150 ეროდ. აფციაურს ყოყმანი არ დაუწყია და რამდენიმე საათში შვილებთან ერთად თვითმფრინავში აღმოჩნდა. ის დღემდე ვერ ივიწყებს სინანულს, რაც განიცადა სალონში ათამდე თავისუფალი ადგილის დანახვისას. არადა, აეროპორტში უამრავი ხალხი იყო და ყველა ბილეთს ეძებდა.

„ვერ წარმომედგინა, თუ თვითმფრინავი არ შეივსებოდა" — ამბობს ფიქრია აფციაური.

ანთალიიდან მიუნხენში ჩასული ძალიან წუხდა თბილისში დარჩენილი მისი ძმის ოჯახის გამო. ლამის შოკში ჩავარდნილა, როცა გაუგია, რომ მათი აფრენიდან ორი საათის შემდეგ თბილისის აეროპორტის მახლობლად რუსებს ბომბები ჩამოუყრიათ.

„ღმერთმა დაიფარა ჩემი ოჯახი და ღმერთი გადაარჩენს ჩემს სამშობლოს!" — ასეთი სიტყვებით ასრულებს ქალბატონი ფიქრია „აბენდცაიტუნგთან" ინტერვიუს.

18 წელია, რაც ლუკასის და ალექსანდრეს ქართველი დედა, ბავარიელი კრისტიან ჰუფნაგელის მეუღლე, მიუნხენში ცხოვრებს — ასე ამთავრებს წერილს გერმანელი ჟურნალისტი რაინჰარდ კეკი.

**ქახა შალამბერიძე**



ფიქრია აფციაური (მარჯვნიდან მეორე) ოჯახთან ერთად კიკეთში

ფარიკაობა



# ოდესმე მივალთ აქამდე?
## ლითონის ბილიკზე ელექტროდაშნით

**საქართველოში ფარიკაობა სპორტის იმ სახეობებში შედის, რომელთაც სახელოვანი წარსული აქვთ. ქართული სპორტის განვითარების საქმეში ზესტაფონს ყოველთვის შეჰქონდა მნიშვნელოვანი წვლილი. ამის მკაფიო მაგალითი ფარიკაობაში ლეგენდად ქცეული სიმონ საყვარელიძის სახელთანაა დაკავშირებული**

**ბოლო** წლებში ყველა დიდ სინანულს გამოთქვამს ქართული ფარიკაობის ტრადიციების დაკარგვის გამო, არადა, საბჭოთა კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა სიმონ საყვარელიძემ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 40-იან წლებში ჩამოაყალიბა ფარიკაობის ჯგუფები. პროფესიონალმა მწვრთნელმა მალევე მიაღწია წარმატებას — 1948 წელს ზესტაფონის მოფარიკავეთა გუნდმა საქართველოს ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიკავა. აქედან დაიწყო ზესტაფონში ფარიკობის აღმასვლა და 1949 წელს ჩემპიონები გახდნენ ჟუჟუნა დოლონაძე და ნათელა ლუღუნიშვილი, ხოლო მეორე-მესამე ადგილები დაიკავეს ეთერ მუმლაძემ და ჟენო ბუხნიკაშვილი.

1951 წელს ზესტაფონელი მოფარიკავეები საბჭოთა კავშირის ფარიკაობის ფედერაციის გადაწყვეტილებით, იუნიორთა საკავშირო პირველობაზე ცალკე გუნდად დაუშვეს, რაც უპრეცედენტო შემთხვევა იყო. ზესტაფონის გუნდმა თავი არ შეირცხვინა და მეორე ადგილი დაიკავა, ხოლო ცალკეულ სახეობებში ჩემპიონები გახდნენ ლიანა შეყრილაძე და ჯონდო მაჭავარიანი.

სიმონ საყვარელიძის საქმიანობა იმდენად წარმატებული იყო, რომ საბჭოთა კავშირის ფარიკაობის ფედერაციის გადაწყვეტილებით, მას ზესტაფონში სკოლამდელი ასაკის ექსპერიმენტალური ჯგუფის შექმნის უფლება დართეს, რაც იმ დროისთვის მხოლოდ მოსკოვში, ლენინგრადსა და კიევში ფუნქციონირებდა...

მაგრამ არის საკითხები, რაც განმარტებას საჭიროებს. პრობლემატიურ საკითხთა გადასაჭრელად აზრის გამოთქმა ვთხოვეთ სიმონ საყვარელიძის აღზრდილს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელ **ომარ აბაშიძეს**, რომელიც ამავდროულად ზესტაფონის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის დირექტორის მოადგილეა სასწავლო-აღმზრდელობით დარგში.

**— რამ განაპირობა ფარიკაობის გაქრობა ქართული სპორტიდან?**

— სიმონ საყვარელიძის აღზრდილებმა არანაკლებ წარმატებებს მიაღწიეს 70-80-იან წლებში. მაგალითისთვის მოვიყვან ჩვენი თანაქალაქელის, ავთანდილ კოკნაძის წარმატებებს — ის წლების განმავლობაში საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი იყო. 1982-83 წლებში პრესტიჟული საერთაშორისო ტურნირის, „მოსკოვის ხმლების“ გამარჯვებული გახდა, ხოლო 1978 წელს — ევროპის ჩემპიონი. რატომ მოხდა რაიონში ფარიკაობის მივიწყება? ამას სხვადასხვა მიზეზი აქვს. ფარიკობის განვითარება ზესტაფონში კი არა, სხვა ქალაქებშიც შეფერხდა. აღარ ფუნქციონირებს სპორტული მაღაზიები... საფარიკაო ინვენტარის და ფორმების შეძენა შეუძლებელი გახდა... აღარ ტარდება ჩემპიონატები და სხვადასხვა სახის ტურნირები... თან ეს გრძელდება წლების განმავლობაში. ბევრ ქალაქში ფარიკაობის ჯგუფები ან სულ დაიხურა, ანაც საგრძნობლად შემცირდა.

**—დასახმარებლად თუ მიგიმართავთ რაიონის ხელმძღვანელობისთვის?**

— მწვრთნელებმა ბევრჯერ დავაყენეთ საკითხი [illegible] ინდელ ხელმძღვანელობასთან, [illegible] გრამ უშედეგოდ. მხოლოდ სამი წლის წინ რაიონის მაშინდელმა დეპუტატმა თემურ ცერცვაძემ მიიტანა გულთან ჩვენი გაჭირვება და 1700 ლარი გამოგვიყო. ამით თბილისის სპორტული სკოლიდან შევიძინეთ იარაღი და ფორმები. ისიც მხოლოდ სავარჯიშო და არა საშეჯიბრო. თუმცა დღეს ეს ჯგუფიც აღარ არსებობს, რაც საშტატო ერთეულის შემცირებამ გამოიწვია.

**— რა უნდა გაკეთდეს ფარიკაობის ასაღორძინებლად, რაში ხედავთ გამოსავალს?**

— ფარიკაობით დაინტერესებულ პირთათვის მინდა განვმარტო, რომ ფარიკაობის სწავლა ძველი სტანდარტებით აღარ ხდება. გარდა ამისა, საბრძოლო იარაღები, რაპირა, დაშნა და ხმალი ელექტროფიცირებულია. საფარიკაო ბილიკი კი დაფარულია ლითონის ხალიჩით, მოდერნიზირებულია აღჭურვილობა... ყოველივე ამას უცხოეთში აწარმოებენ. ამის შედეგია, რომ ფარიკაობა დღეს ძვირადღირებული, მაგრამ პრესტიჟული სახეობაა. მიზანს აღწევს ის, ვისაც კარგი სპონსორი ჰყავს. ვფიქრობ, ქვეყანაში უნდა შეიქმნას ფარიკობის განვითარების ფონდი, რომელშიც შევლენ ვეტერანი სპორტსმენები და ბიზნესმენები. ყველა მოფარიკავის სახელით მინდა მივმართო ფარიკაობის ფედერაციას და სპორტის დეპარტამენტს — გაგვიწიონ დახმარება ტრადიციების აღსადგენად. გარწმუნებთ, რომ დახარჯული თანხა უნაყოფოდ არ ჩაივლის. ჩვენს რაიონს ჰყავს კვალიფიციური სპეციალისტები, რომლებსაც შესწევთ უნარი, სიმონ საყვარელიძის დაწყებული საქმე წარმატებით განაგრძონ.,

**ბექან ჩხეიძე ზესტაფონიდან**

ავტორბოლა

# ახალი, ამერიკული სიტყვა

„**ჰონდას**“ გადარჩენის შანსი დღითიდღე მცირდება, ფორმულა ერთის ფინანსურმა შეფმა ბერნი ეკლსტონმა ასეთი ვარიანტიც შესთავაზა საჯინიბოს — პირადად მე გამოვისყიდი თქვენი აქციების საკონტროლო პაკეტსო, მაგრამ ბოსები ამ წინადადებას არ დათანხმდნენ. თუ რამდენიმე კვირაში ციდან არ ჩამოუვარდა ახალი სპონსორი, „ჰონდა“ საბოლოოდ დატოვებს დიდ ცირკს და სამეფო ფორმულა მხოლოდ 9 გუნდის და 18 ბრძოლის ამარა დარჩება. სპონსორები კი ხელიდან თევზებივით სხლტებიან.

მაგრამ ფინანსურად ამ არასტაბილურ დროებაში მაინც გამოჩნდა საქმოსანთა ჯგუფი, რომელმაც ფორმულაში ახალი სიტყვის თქმა ისურვა. თითქმის გადაწყვეტილია, რომ 2010 წლიდან რბოლაში ჩაემბევა სრულად ახალი საჯინიბო — ამერიკული USF1.

ეს აბრევიატურული, სრულიად ბანალური სახელწოდება თითქოს სრულად მოკლებულია იდუმალებას, მაგრამ მისი შემქმნელები პირობას დებენ, ფორმულაში ახალ სიტყვად ვიქცევითო. ესენი არიან ცნობილი ავტოინჟინერი კენ ანდერსონი და პოპულარული ჟურნალისტი და კომენტატორი პიტერ უინძორი. მათ უკვე მიიღეს ეკლსტოუნისა და საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის შეფ მაქს მოსლის „კურთხევა“ და ახლა ხმაურიან განცხადებას აკეთებენ.

პიტერ უინძორი — „ფორმულა ერთში დღესაც მოქმედებს ძველი პრინციპი. ადამიანი, რომელმაც ააწყო სარბოლო მანქანა, ბედნიერი უნდა იყოს, თუ ვინმე მილიონერმა მისი მანქანა იყიდა და მას ამ ფირმაში სამუშაო უბოძა. მე და კენი კარგა ხანია ამ ბიზნესში ვტრიალებთ და გადაწყვეტილი გვაქვს, ჩვენი გზით ვიაროთ — თვითონვე ვიქნებით საჯინიბოს მფლობელებიც და მმართველებიც. აქციათა მხოლოდ მცირე ნაწილს გავყიდით. იდეა 2006 წელს გავაცანით ეკლსტოუნს და მან ჩვეული მანერით გვიპასუხა — „ძალიან კარგი, ააწყვეთ!“ და ჩვენც ვმუშაობთ. ბევრს გაუკვირდა ისიც, რომ საჯინიბო ბაზირებული იქნება არა ევროპაში, არამედ შეერთებულ შტატებში. გასაკვირი ნამდვილად არაფერია. ეტაპების ნახევარიც არ იმართება ევროპაში. ამასთან ფორმულა ერთში აქტიურად იყენებენ ამერიკაში შემუშავებულ ტექნოლოგიებს. დამიჯერეთ, ამერიკელებმა ვიცით ბიზნესის წარმოება.“

**ვანო კობიაშვილი**

**ბრიტანულმა ვებ-გვერდმა ევროსპორტმა საინტერესო გამოკითვა მოაწყო და ქომაგებს ყველა დროის უპოპულარულესი ავტომობოლი გამოავლენინა. გამოკითხვაში რვა ლეგენდა მონაწილეობდა, თუმც „ბრძოლა“ მიხაელ შუმახერსა და განსვენებულ აირტონ სენას შორის ორთაბრძოლად იქცა.**



აირტონ სენა
ბრაზილია
47 %



მიხაელ შუმახერი
გერმანია
37 %



ჯეკი სტიუარტი
ბრიტანეთი
5 %



ჯიმ კლარკი
ბრიტანეთი
4 %



ხუან მანუელ ფანხიო
არგენტინა
4 %



ალან პროსტი
საფრანგეთი
2 %




ნიკი ლაუდა
ავსტრია
1 %



ჯეკ ბრებემი
ბრიტანეთი
0 %

სროლა




მარცხნიდან ნინო სალუქვაძე

# ვერცხლი ჰოკეის მოედნიდან

## ნაკრებს მედლამდე ქულა დააკლდა

**პრაღაში** გამართულ ევროპის ჩემპიონატზე 10 მეტრიდან პნევმატური პისტოლეტით სროლაში ნინო სალუქვაძემ ვერცხლის მედალი მოიპოვა. გუნდურ ჩათვლაში კი საქართველოს ქალთა ნაკრები მეოთხე ადგილზე გავიდა. ქართველი მსროლელები თბილისში დაბრუნდნენ, გუშინ კი ნინო სალუქვაძის ტირში პრესკონფერენცია გაიმართა.

**ნინო სალუქვაძე:** „ევროპის ჩემპიონატის წინ ნაყოფიერი მოსამზადებელი ეტაპი გავიარეთ სომხეთში, წახკაძორის ბაზაზე. ეს შეკრება ძალიან წაგვადგა. ჩეხეთში მოპოვებული მედლით კმაყოფილი ვარ. ბულგარელმა იულია გროზდევამ ცოტათი გამასწრო. უნდა ვთქვათ, რომ ჩემპიონატი ცუდათ იყო ორგანიზებული. შეჯიბრს ჰოკეის დარბაზმა უმასპინძლა. პრაღაში მხოლოდ ქალთა გუნდით გამოვედით. ბიჭებიდან კი ლევან ქადაგიძე ისროდა. გუნდურ ჩათვლაში ქალებმა მეოთხე ადგილი დავიკავეთ. ბრინჯაოს მედლამდე ერთი ქულა დაგვაკლდა. მთლიანობაში ევროპის ჩემპიონატზე ნაჩვენები შედეგებით კმაყოფილი ვარ. საერთო ჩათვლაში ისეთ ქვეყნებს გავუსწარით როგორიც საფრანგეთი და პოლონეთია."

**ნიკა კობაძე**

ქალათბურთი

# ლეგენდაა, მაგრამ მაინც დასასჯელია




**ორი თვის წინ** საჭესთან ნასვამ მდგომარეობაში დაკავებული ჩარლს ბარკლის სასამართლომ ახლახან დაუდგინა სასჯელი. ბარკლი არიზონას შტატის ქალაქ სკოტსდეილის სამართალდამცავებმა 31 დეკემბერს დააკავეს. მაშინ მან ბევრი ბოდიშიც მოიხადა და ქალაქის პოლიციას თავაზიანობა უქო, მაგრამ განაჩენის გამოტანისას სასამართლო მაინც მკაცრი იყო — 45 წლის ლეგენდას მიესაჯა 5 დღით საკანში ჯდომა, ზედაც 2-ათასიანი ჯარიმა და ალკოჰოლიკების სამკურნალო ტესტებზე სავალდებულო დასწრება.

იმ ინციდენტის შემდეგ ბარკლი სამსახურშიც არ გამოჩენილა. მოგეხსენებათ, თიენთი-ს საკალათბურთო ანალიტიკოსი გახლავთ და დააკლდა ყველა ვარსკვლავის შოუსაც. ამ რამდენიმე დღის წინ „ხალხში გამოსულს" კი სასამართლომ აი ასეთი სიურპრიზი დაახვედრა.

ხუთ დღეს როგორ ვერ გაუძლებს. სამაგიეროდ ჭკუას ისწავლის და სმას გადაეჩვევა... ვითომ?

ველორბოლა

# ლევიმ გაამართლა

**14 თებერვალს** კალიფორნიის მთავარქალაქ საკრამენტოში დაიწყო და 22 თებერვალს ესკონდიდოში დასრულდა „ტურ ოფ კალიფორნია", რომელმაც წლეულს ბევრი ცნობილი მრბოლი შეკრიბა. მათ შორის გახლდათ ლეგენდარული ლენს არმსტრონგიც, რომელიც აქტიურ სპორტში დაბრუნების შემდეგ მეორე მრავალდღიან ველოტურში იღებდა მონაწილეობას — ავსტრალიური „ტურ დაუნ ანდერის" შემდეგ სამშობლოშიც „გაისეირნა" და, სხვათა შორის, არცთუ ურიგოდ. „ტურ დე ფრანსის" 7-გზის ჩემპიონმა კალიფორნიაში ყოჩაღად იარა და საერთო ჩათვლაში საპატიო მეშვიდე ადგილით დაასრულა გამოსვლა, ჩემპიონთან 1.46-წუთიანი ჩამორჩენით.



ჩემპიონი კი ზედიზედ მესამედ გახდა არმსტრონგის ასტანელი თანაგუნდელი, ასევე ამერიკელი ლევი ლეიფჰეიმერი, რომელიც საკმაოდ კარგ ველომრბოლად ითვლება, ორჯერ „ვუელტას" და ერთხელაც ტურის გენერალურ სამეულში მოხვედრილა, მაგრამ მშობლიურ კალიფორნიაში განსაკუთრებით უმძაფრდება გამარჯვებისკენ ლტოლვა.

ლეიფჰეიმერს არმსტრონგის გარდა კონკურირებდნენ დევიდ ზაბრისკი, მაიკლ როჯერსი, იენს ფოიტი, ძმები შლეკები, ოსკარ სევილია, ჯორჯ ჰინკეიპი, იაროსლავ პოპოვიჩი, სტიუარტ ოგრეიდი... არმსტრონგის სახელმა არაერთი ცნობილი ველომრბოლი მიიზიდა და მანამდე ლოკალური მნიშვნელობის ველოტური ღონიერ საერთაშორისო შეჯიბრად აქცია.

ჩემპიონობა კი მაინც ლეიფჰეიმერს შერჩა:

„ბედნიერი ვიყავი, აქ პირველად რომ ვიჩემპიონე. მერე მეორე გამარჯვებაც რომ მივაბი, ძალიან გამიკვირდა. ზედიზედ მესამე ჩემპიონობა კი ყველაზე ტკბილია, რადგან არაფერია ისე ძნელი, როგორც ადრე მოპოვებულის შენარჩუნება. აზრზე არა ვარ, როგორ მოიგო ლენსმა ზედიზედ შვიდჯერ „ტურ დე ფრანსი" — ყურებამდე ილიმებოდა ბედნიერი ლეიფჰეიმერი."

კალიფორნია სამხრეთის შტატია და პელოტონი ძირითადად ნახევარუდაბ ლანდშაფტში მოგორავდა, მაგრამ ლევის, ლენსს და კომპანიას ზამთარმა მაინც გაჰკრა კბილი. ციოდა, ხშირად წვიმდა და ათასკილომეტრიან გზას დამდგარი ქარავანი წვიმაგაუმტარ კურტაკებში იფუთნებოდა. ერთხელ ლეიფჰეიმერი არმსტრონგის უკანა ბორბალს გამოედო, წვიმისგან მოლიპულ გზაზე მოსხლტა და საშინელ ზედახორაში სულ ქვევით მოყვა. არმსტრონგმა კი ლამის გაიტანა გზად შემხვედრი ფოტოგრაფი, მაგრამ ორივე შემთხვევა უხიფათოდ დასრულდა.

მონაწილეთა შორის გამოჩნდა კიდევ ერთი ამერიკელის, ფლოიდ ლენდისის სკანდალური ფიგურაც. ეს ზუსტად ის ლენდისია, რომელმაც 2006 წელს ტურ დე ფრანსი მოიგო, მაგრამ დოპინგის ხმარება დაბრალდა, ტიტული ჩამოერთვა და ორი წლით იქნა დასჯილი. ლენდისის დისკვალიფიკაცია ამოწურულია და 34 წლის ამერიკელი ლეიფჰეიმერ-არმსტრონგის ქარავანს აეკიდა. საერთო ჩათვლაში მხოლოდ 22 ადგილი დაიჭირა, ლიდერთან 10-წუთიანი ჩამორჩენით, მაგრამ მაინც კარგ ხასიათზე იყო — მთავარია, რომ დავბრუნდით. ნიჭიერი მთიელია და „ტურ დე ფრანსის" ალმართებზე აუცილებლად ეცდება თავისას.

**ვანო კობიაშვილი**

კარატე

# პოლონური ოქროები

**პოლონეთში** კარატეს ღია ჩემპიონატი ჩატარდა. საქართველოს ნაკრებმა სამი ოქროს და ორი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ჩემპიონები ირაკლი და დავით ტყებუჩავები და ლევან გორელაშვილი გახდნენ. ბრინჯაოსნები კი გიორგი ლიპარტელიანი და .ჰენრი ვეკუა.

ვეტერანებში ვერცხლის მედალი ნოდარ ხაჯიშვილმა დაისაკუთრა. საქართველოს ნაკრებმა გუნდური პირველი ადგილიც არავის დაუთმო.

კარატეზე ერთი ამბავიც გვაქვს. კარატეს ფედერაციის პრეზიდენტი კახა ბასილია საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის გია ნაცვლიშვილის მრჩევლად დაინიშნა არაოლიმპიურ სახეობებში. მისგანვე გახდა ცნობილი, რომ მალე შეიძლება კარატე და შვიდკაცა რაგბი ოლიმპიური სახეობები გახდნენ.

მძლეოსნობა

# ვეტერანებმა თურქეთი დაიპყრეს

**ტრაბზონში** 29-ე საერთაშორისო ნახევარმარათონი გაიმართა ვეტერანებში. მძლეოსანთა შორის საქართველოდან თურქეთში ხუთი სპორტსმენი გამოდიოდა. შეჯიბრი ასაკობრივ კატეგორიებად იყო დაყოფილი. მარათონი 21.100 კილომეტრზე იყო გაჭიმული. თურქეთში 15 ქვეყნის 200-მდე სპორტსმენმა მოიყარა თავი.

40-44 წლამდე ასაკში ჩემპიონი ლევან ბუჩუკური გახდა. 55-59 წლიან მძლეოსნებში ოქრო გიორგი ხარაზიშვილმა მოიგო. მეორეზე შალვა ნადირაძე გავიდა. მეოთხეზე თენგიზ ლაცაბიძე. 60-64 წლის სპორტსმენებში კი მესამე ადგილი ალექსანდრე გერცვორლდმა ირგუნა.

ვეტერანები ახლა მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ემზადებიან, რომელსაც აგვისტოში ფინეთი უმასპინძლებს.

ხელბურთი


რატი მსხვილიძე

სარბიელის არქივიდან

# ხელბურთელები ევროპას უტევენ

## ზოგი თასიდან, ზოგიც ჩემპიონატიდან

**სერბეთში** ხელბურთელთა ჩემპიონატი განახლდა. მეორე წრეში გუნდებმა უკვე ორი ტური მოილიეს, „მეტალოპლასტიკა“ ჩვენთვის უფრო საინტერესო გუნდი გახდა, რაკი ირაკლი ჩიქოვანთან ერთად იქ რატი მსხვილიძეც თამაშობს. გეხსომებათ, სერბებმა რატი ზამთრის სატრანსფერო პერიოდში დაიმატეს.

პირველი წრის შემდეგ ქართველების გუნდი მესამე ადგილზე იყო. ამის მიზეზი არასტაბილური თამაშია. „მეტალოპლასტიკამ“ ორივე კონკურენტი, „კოლუბარა“ და „პარტიზანი“ დაამარცხა, მაგრამ მოსაგებ თამაშებს ვერ იგებდა. როგორც ჩანს, ახლაც იგივე გრძელდება.

„ტარკეტის“ 42:26 დამარცხების შემდეგ, რომელიც ცხრილში მე-7 ადგილზეა, მეტალოპლასტიკელები სტუმრად „ვოივოდინასთან“ 25:27 დამარცხდნენ. ეს გუნდი კი მე-10 ადგილზეა.

პირველ მატჩში ირაკლი ჩიქოვანს არ უთამაშია. რატი მსხვილიძემ 1 გოლი გაიტანა.

მეორე შეხვედრაში ჩიქოვანი გამოჩნდა, ოღონდ უგოლოდ. რატიმ კი 2-ჯერ ისროლა ზუსტად.

მომდევნო ტურში „მეტალოპლასტიკა“ „პარტიზანს“ ეთამაშება. ქართველების გუნდს ახლა მე-3 ადგილი უკავია 24 ქულით და ლიდერ „კოლუბარას“ ოთხით ჩამორჩება.

ჩელენჯკაპის მეოთხედფინალში გავიდა შოთა თევზაძის „ბაკაუ“. რუმინელებმა ორი მატჩის ჯამში ბერძნული „პაოკი“ დაამარცხეს.

საუკეთესო ერთმა ბურთმა გამოავლინა. „ბაკაუს“ საბერძნეთში 31:28 მოეგო და საპასუხო მატჩს მცირე უპირატესობით ხვდებოდა. აქ ბერძნებმა იყოჩაღეს და გაიმარჯვეს კიდეც 31:29, მაგრამ, როგორც ვთქვით, კინკილა ბურთით თევზაძის გუნდმა იმარჯვა.

თასების მფლობელთა თასზე კი მაკედონიურმა „მეტალურგმა“ მეოთხედფინალში გასვლა მოახერხა: „პარიზი“ მაკედონიაში 27:18 დაამარცხეს. რევაზ ჭანტურიამ ერთი გოლი გაიტანა.

საპასუხო შეხვედრაში ფრანგებმა 27:21 მოიგეს. ჭანტურიამ მოედანი მშრალად დატოვა.

ლევან მაისურაძე

# ვლადიმერ რუსია დასვენებაზე დაფიქრდა


სარბიელის არქივიდან

**ვლადიმერ რუსიამ** ლიბანურ „ბეირუთში“ აზიის ჩემპიონთა ლიგაზე ითამაშა და გუნდს ნახევარფინალში გასვლაში დაეხმარა. „ბეირუთმა“ ჯგუფური ეტაპი დაძლია. ქართველი ხელბურთელი კი გამორჩეული მოთამაშე იყო და საშუალოდ 7-8 გოლიც გაჰქონდა.

რუსიამ ლიბანელებს ნახევარფინალში ველარ უშველა, 30:34 წააგეს. თვითონ ვოვამ კი ეს გვითხრა: ცუდად ვითამაშეთ. ჩემი თავითაც უკმაყოფილო ვარ. მხოლოდ 4 გოლი შევაგდე.

„ბეირუთთან“ ერთთვიანი ხელშეკრულება მქონდა, მათ უნდოდათ ლიგაში დავხმარებოდი. ახლა არ ვიცი, სად წავალ, ვფიქრობ. შეიძლება, აქ ჩავამთავრო სეზონი. არ არის გამორიცხული, ზაფხულამდე დავისვენო და საერთოდ არ ვითამაშო. გადაღლილი ვარ. სეზონის დამთავრების შემდეგ კი ევროპაში დავიწყებ გუნდის ძებნას.“

ლევან მაისურაძე

ძიუდო

# ჯარისკაცები ტატამზე

**სპორტის** დეპარტამენტისა და თავდაცვის სამინისტროს ორგანიზებით ძიუდოში საქართველოს შეიარაღებული ძალების პირველი პირად-გუნდური ჩემპიონატი ჩატარდა.

შეჯიბრს თავდაცვის სამინისტროს ტერიტორიაზე მდებარე გაერთიანებული შტაბის სპორტული კლუბი „ორბი“ მასპინძლობდა.

ტურნირზე შეიარაღებული ძალების 170 სამხედრო გამოდიოდა და ჩემპიონ-პრიზიორები კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის მინისტრმა ნიკა რურუამ, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაურმა, ძიუდოს ფედერაციის და თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა დააჯილდოვეს.

გუნდური პირველი ადგილისთვის თასი ვაშლიჯვრის სპეცდანიშნულების ბატალიონს გადაეცა. ჩემპიონებს მედლებთან და სიგელებთან ერთად ახალი კიმონოებიც ერგოთ.

ითქვა, რომ სამხედრო ძალებში მომავალშიც ჩატარდება მსგავსი შეჯიბრებები და უფრო მაშტაბურებიც. სამხედროები თურმე უკვე ემზადებიან ფეხბურთისა და რაგბიში და მალე ამ სახეობებშიც ვნახავთ მათ შესაძლებლობებს.

ნიკა კოპაძე

ფრენბურთი

# ბრიტანელებო! ჩამოდით და დაგხვდებით

**საქართველოს** ქალ ფრენბურთელთა ნაკრებს საშუალება ეძლევა ამხანაგური მატჩები ჩაატაროს. ჩვენებს ბრიტანელები ეპატიჟებიან და ავიაბილეთებისა და სავიზო მომსახურების გარდა ყველა ხარჯს თავად გაისტუმრებენ. თუმცა საქართველოს ნაკრებს არც მგზავრობის ფული აქვს.

ლონდონის ოლიმპიადაზე ბრიტანელები გაერთიანებული ნაკრებით გამოდიან და მზადებას ზაფხულის თამაშებისთვის აქედანვე იწყებენ.

საქართველოს ნაკრებს კი ამხანაგური მატჩები საძებნი აქვს. მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი თამაშების შემდეგ ნაკრების მწვრთნელმა ნინო მღებრიშვილმა გვითხრა კიდეც, ამხანაგური თამაშები აუცილებლად უნდა ჩავატაროთ. სათამაშო პრაქტიკა ძალიან გვაკლიაო და ესეც კარგი შანსია საამისოდ.


სარბიელის არქივიდან

ლევან ახვლედიანი

ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან ახვლედიანმა კი ეს თქვა: „ჩვენთვის ეს მნიშვნელოვანი შემოთავაზებაა. ბრიტანელებს სურთ, რამდენიმე თამაში მაისში გავმართოთ. საქართველოს ნაკრების გამოსვლამ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე და დანიის დამარცხებამ ჩვენდამი ინტერესი გაალვივა. ჩვენი ნაკრების საშუალო ასაკი 19 წელია და ყველაზე ახალგაზრდულია ევროპაში. ფედერაციის წლევანდელი ბიუჯეტი ბრიტანეთში წასვლის საშუალებას არ გვაძლევს. იმედია, გამოჩნდებიან სპონსორები, რომლებიც დააფინანსებენ ნაკრების შეფილდში გამგზავრებას. მზად ვართ, რომ ეკიპირებაზე სპონსორის ლოგო მივაწეროთ“.

ნიკა კოპაძე

კალათბურთი

# მშრალი ანკარა

**საქართველოს** კალათბურთელთა 16-წლამდელთა ნაკრებმა ანკარის საერთაშორისო ტურნირზე ყველა მატჩი წააგო.

გია კაზანჯიანის გაწვრთნილები ჯგუფური ეტაპის შემდეგ ჯგუფში ჩარჩენილ დანარჩენ მეტოქეებთან იტალიასთან და უკრაინასთან დამარცხდნენ.

ქართველებმა იტალიასთან 22 ქულით წააგეს. უკრაინელებთან კი 9 ქულით დამარცხდნენ.

ნიკა კოპაძე

კრივი

# მოკრივეებმა მუშტი მუშტს დაარტყეს

## ფალიანმა ნაკრები ჩაიბარა



**საქართველოს** მოკრივეთა ნაკრებს რამაზ ფალიანი გაწვრთნის.

ორი კვირის წინ ვწერდით, რომ ექსთავკაცის თენგიზ მესხაძის შეცვლა გადაწყვეტილი ამბავი იყო. მაშინ უკვე მიდიოდა მოლაპარაკებები რამაზ ფალიანთან, რომელიც ბოლო დრომდე ამერიკაში, ფლორიდაში ცხოვრობდა. მოლაპარაკებამ კარგად ჩაიარა, ფალიანი თანახმაა, საქართველოს ნაკრები ავარჯიშოს და ის უკვე ჩამოვიდა კიდეც თბილისში. მთავარი მწვრთნელის პოსტზე მისი ოფიციალურად წარდგენა მომავალ კვირაში იგეგმება და ამის შემდეგ ახალი მწვრთნელი საქმესაც შეუდგება.

წლეულს ჩვენს ნაკრებს უმნიშვნელოვანესი გამოცდის ჩაბარება მოუწევს — სექტემბრის დასაწყისში იტალია მსოფლიოს ჩემპიონატს მასპინძლობს.

ლევან მაისურაძე

კალათბურთი

# კიეველები მხოლოდ მარკოიშვილს ხედავენ



მანუჩარ მარკოიშვილი

**ზაზა ფაჩულიას** „ატლანტა“ „იუტას“ ესტუმრა და მაგრადაც შერცხვა. ჯორჯიელები 89:108 დამარცხდნენ. ბოლო მეოთხედის წინ „ჯაზმენებმა“ 24-ქულიანი უპირატესობა დაიბევეს და მატჩი დაარხეინებულებმა ჩაამთავრეს.

ფაჩულია თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და 17 წუთში 9 ქულა, 6 მოხსნა და 1 დაფარება გაჩარხა. -

ლიდერების წასვლის შემდეგ „ბკ კიევი“ მანუჩარ მარკოიშვილს შესცქერის. ქართველიც უკრაინელებს არ ღალატობს. აგერ, ევროჩელენჯის მორიგ ტურში გერმანული „ევე ბასკეტის“ 64:54 დამარცხებაში თავისი სიტყვა თქვა — 38 წუთში 16 ქულა, 3 მოხსნა, 3 პასი და 1 ჩაჭრა გააკეთა. უკრაინელები G ჯგუფს 3 მოგებით და 1 მარცხით ლიდერობენ. მომდევნო მატჩს კი 3 მარტს თურქეთში „გალათასარაისთან“ ჩაატარებენ.

წააგო ტაირონ ელისის „კახასოლმა“. ესპანელები კვიპროსში აელ-თან 78:88 დამარცხდნენ. ელისმა 24 წუთში 11 ქულა, 1 მოხსნა და 3 პასი გამოადნო. ესპანელები 1 მოგებით და 3 წაგებით K ჯგუფში მესამეზე არიან და 3 მარტს როსტოვის „ლოკომოტივს“ მასპინძლობენ.

**ნიკა კობაძე**

## საქართველოს 18-წლამდელთა ჩემპიონატი

24 თებერვალი. სახოფლო

**დინამო 88:70 1 ექსპ. სკოლა**

16:23 24:14 26:17 22:16

დინამო: ალხაზიძე (26 ქულა, 11 მოხსნა), ბაქრაძე (21 ქულა, 5 პასი, 5 ჩაჭრა), კაკაურიძე (11)

1 ექსპ. სკოლა: მაისურაძე (19), ლეჟავა (14), ჩქარეული (14)

**ენერჯი-ინვესტი 89:79 ქუთაისი**

22:24 23:20 20:16 24:19

ენერჯი: სანაძე (23), მალრაძე (19), ბურაბანიძე (18), ჩერქეზიშვილი (13)

ქუთაისი: ტუკვაძე (25 ქულა, 17 მოხსნა), კანდელაკი (21), ქორიძე (14 ქულა, 12 მოხსნა)

**მართვე-2 91:93 აკადემია**

30:19 22:23 22:22 17:29

მართვე-2: ქიქველიშვილი (28), ლომოური (22), ბლოველი (17), ბაშარული (12)

აკადემია: ბოქოლიშვილი (35 ქულა, 9 მოხსნა), თენიეშვილი (15), ჯავახიშვილი (12 ქულა, 12 მოხსნა)

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| აკადემია | 10 | 7 | 3 | 17 |
| 1 ექსპ. სკოლა | 9 | 5 | 4 | 14 |
| დინამო | 8 | 6 | 2 | 14 |
| მართვე 2 | 9 | 4 | 5 | 13 |
| მართვე 1 | 8 | 4 | 4 | 12 |
| ქუთაისი | 8 | 3 | 5 | 11 |
| ენერჯი | 7 | 4 | 3 | 11 |
| ნაკრები 93 | 6 | 0 | 6 | 6 |

## საქართველოს 20-წლამდელთა ჩემპიონატი



22 თებერვალი. სპორტის სასახლე

**მართვე 106:82 ქუთაისი**

26:11 27:16 26:25 27:30

მართვე: ქიქველიშვილი (26 ქულა, 6 ჩაჭრა), ტუხაშვილი (20 ქულა, 22 მოხსნა), ბააკაშვილი (18 ქულა, 10 მოხსნა), ბაშარული (12)

ქუთაისი: ქორიძე (19 ქულა), თუკვაძე (18 ქულა, 21 მოხსნა), კანდელაკი (18 ქულა, 15 მოხსნა)

**სამედიცინო 86:75 აკადემია**

14:23 24:18 16:21 32:13

სამედიცინო: მაისურაძე (31), ლეჟავა (15), ჩქარეული (11)

აკადემია: ბოქოლიშვილი (18), კობაიძე (12 ქულა, 13 მოხსნა)

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| რუსთავი | 7 | 6 | 1 | 13 |
| სამედიცინო | 9 | 4 | 5 | 13 |
| მართვე | 7 | 3 | 4 | 10 |
| აკადემია | 5 | 4 | 1 | 9 |
| ქუთაისი | 8 | 1 | 7 | 9 |
| მართვე | 5 | 3 | 2 | 8 |

# ქართველების ცარიელი თასები

**იტალიაში** თასის გამარჯვებული გაირკვა. სიენას „მონტეპასკიმ“ ფინალში ბოლონიის „ლა ფორტეცას“ 70:69 მოუგო. ასე რომ, ახალგაზრდა ქართველი კალათბურთელი ნიკა მეტრეველი თასის მფლობელი გახდა. ერთი ეგაა, მას ფინალში არ უთამაშია. მეტრეველი მანამდეც — მეოთხედფინალ-ნახევარფინალში — განაცხადში იყო და თამაშის საშუალება არ მიეცა.

სიენელებმა მეოთხედფინალში „კანტუსს“ 77:65, მერე კი „ბენეტონს“ 85:80 აჯობეს.

თასი მოიგო გიორგი შერმადინმაც. საბერძნეთში „პანათინაიკოსის“ და „ოლიმპიაკოსის“ დაპირისპირებაში ქართველის გუნდმა 80:70 იმარჯვა.

შერმადინს არ უთამაშია.

**ნიკა კობაძე**

ჩოგბურთი

# მაკა წყვილებს შემორჩა

**მაკა ჩახნაშვილი** ამერიკის ქალაქ კლერფოტერში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირზე, რომლის საპრიზო ფონდი 50 ათასი დოლარია, წყვილებშილა ითამაშებს. ჩახნაშვილს, ვინაც კვალიფიკაციაში მეექვსე ნომრად იყო განთესილი, ძირითად ბადეში მოსახვედრად ერთი მატჩის მოგება დააკლდა.

პირველ წრეში სლოვენიელ პეტრა რამპრეს 6:3 7:6 მოუგო. მერე მასპინძელ კოკო ვანდევეღეს 6:1 7:6 აჯობა. სერბ ანა იოვანოვიჩთან კი უშანსოდ, 1:6 1:6 წააგო.

წყვილებში მაკამ და ბრაზილიელმა ალვეშმა გერმანელი ჰენკესა და ხორვატი იურაკის დუეტს 7:5 4:6 10:3 მოუგეს. მეოთხედფინალში მათი მეტოქე ჯერ უცნობია.

რაგბი

# ესპანეთმა რაზმი შეკრა

**ესპანეთის** ნაკრები ქართველების დასახვედრად ემზადება. პირინეელების მწვრთნელმა შემადგენლობა დაასახელა, რომლითაც ჩვენებს მადრიდში დაუხვდება.

28 თებერვალს გასამართი ერთა თასის მატჩისთვის გლინმა სამი ლეგიონერი გამოიძახა საფრანგეთის ჩემპიონატიდან. დანარჩენები კი შინაურ პირველობაზე თამაშობენ.

*ბორკეს გომეს-მილანი, ფერნანდეს-არამბურუ, ატორი (კახასოლი), ნავა დე ოლანო, სოუტო ვიდალი, სარსოსა პენა (ყველა ელ სალვადორი), გერერო ესტებანი (სანტბოიანა), ბერნასკონი რიველა, კანო როდრიგეს-არიასი, კანოსა შაკი, ფეიხოო უვალდე, გონსალეს გოიკოეჩეა, ინსაუსტი ხიმენესი, მოტა სოერა, სალახარ ლისარაგა, სემპერე პადილია, ტუდელა პერესი (მადრიდი), კუკი (ლა ვილა), ალვარეს პრიეტო (ბერა ბერა), ერნანდეს აბადი, პალუმბო (ვეტხო), პინტო ფერერი (კლერმონი, საფრანგეთი), როკე (ტოაკი, საფრანგეთი), ლოპეს ბოშე (სტად მონტუა, საფრანგეთ).*

მძლეოსნობა

# დიდი და პატარა მანეჟში

**საქართველოს** ზამთრის ჩემპიონატი მძლეოსნობაში 27-28 თებერვალს დიდუბის მანეჟში ჩატარდება. შეჯიბრში ყველა ლიდერი გამოვა. ერთადერთი ვინც თბილისში ძალებს ვერ მოსინჯავს მარიამ ქევხიშვილია. მას საპატიო მიზეზი აქვს, ამერიკაში ვარჯიშობს და იქ კარგადაც გამოდის. ახლახანს ხომ მსოფლიოს ჩემპიონატის ლიცენზიაც მოიპოვა.

ჩემპიონატთან დაკავშირებით კი მძლეოსნობის ფედერაციის გენერლურმა მდივანმა მაია აზარაშვილმა ეს გვითხრა: ჩემპიონატში ნაკრების ლიდერებიც გამოვლენ, მარიამ ქევხიშვილის გარდა. დავით ილარიანიც იქნება. რეგიონებიდანაც ბევრ მძლეოსანს ველოდებით.

4 მარტს კი დავით ილარიანი იტალიაში გაემგზავრება და 6-7 მარტს ევროპის ჩემპიონატზე გამოვა.

მალევე მსოფლიოს ჩემპიონატია კროსში, რომელსაც იორდანია მასპინძლობს. იქ ჯეირან ხოფერიას და გიული დეკანაძეს გავუშვებთ.

**ლექსო მაისურაძე**

დავით ილარიანი



ჭიდაობა

# თავისუფლები ევროპამდე ბორჯომს ორჯერ დალევენ

**თავისუფალი** სტილით მოჭიდავეთა ნაკრები კიევის საერთაშორისო ტურნირიდან სამი მედლით დაბრუნდა, უკრაინაში დავით ოთიაშვილმა (+120კგ) ვერცხლი, ბესო გუჩაშვილმა (55კგ) და მალხაზ ქურდიანმა (60კგ) ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.



რევაზ მინდორაშვილი

ნაკრების თავკაცმა ზაზა თურმანიძემ განვლილი ტურნირი შეაფასა და სამომავლო გეგმებზეც ისაუბრა: ბიჭების გამოსვლით კმაყოფილი ვარ. მეტიც შეგვეძლო, მაგრამ არაუშავს, კიევში გამოჩნდა რომ თაობათა ცვლის პროცესი არამარტო ჩვენთან სხვა ნაკრებებშიც მიმდინარეობს. კიევში წასვლამდეც ვამბობდი, რომ ამ ეტაპზე შედეგზე აქცენტს არ გავაკეთებდით. მით უმეტეს ტურნირზე პირდაპირ საერთო ფიზიკური მომზადებიდან გავემგზავრეთ.

აპრილის დასაწყისში ვილნიუსში გასამართი ევროპის ჩემპიონატისთვის შემადგენლობა ბორჯომული შეკრებების შემდეგ გაირკვევა. ოლიმპიური ჩემპიონი რევაზ მინდორაშვილი ევროპირველობაზე არ იჭიდავებს. მას ტრავმა აქვს და გადავწყვიტეთ, რომ ამ ეტაპზე დაისვენოს. საევროპო შეიდეულის შერჩევისას უპირატესობა საქართველოს ჩემპიონებს ეწებათ, თუმცა ჯერ გადაწყვეტით არაფერს ვიტყვი.

დღეს საქართველოს ნაკრები ბორჯომულ შეკრებაზე გაფართოებულ შემადგენლობით წავა. ორკვირიანი ვარჯიშების შემდეგ მოჭიდავეები ერთი კვირა დაისვენებენ, მერე კი ისევ ბორჯომს ესტუმრებიან, სადაც ევროპის ჩემპიონატის წინ დასკვნით შეკრებას გაივლიან.

**ნიკა კობაძე**

# პატარების ევროპა გლდანშიც გაირკვევა

**თავისუფალ** ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის საქართველოს ჩემპიონატს 26-27 თებერვალს გლდანის ოლიმპიური რეზერვების ცენტრი უმასპინძლებს. საუკეთესოები ნაკრებში ადგილს დაიკავებენ, ნელნელა კი საევროპო შეიდეულიც უნდა გამოიკვეთოს. ზაფხულში ევროპის ჩემპიონატზე, რომელიც თბილისში ჩატარდება, ახალგაზრდა მოჭიდავეებს საკუთარი ქომაგის წინ მოუწევთ ჭიდაობა.

გასული წელი ახალგაზრდული ნაკრებისთვის უხვმედლიანი გამოდგა. ბიჭებმა ევროპის ჩემპიონატზე კარგად იჭიდავეს და იმედია, ტრადიცია თბილისშიც გაგრძელდება. საქართველოს ჩემპიონატის მერე კი ევროპირველობამდე ნაკრები სამ ტურნირზე გამოვა. ნუგზარ სხირელის გაწვრთნილები რიგის, ბაქოს და ერევნის საერთაშორისო ტურნირებზე იჭიდავებენ.

**ნიკა კობაძე**

# თოვლის მხურვალე დედოფალი

## ლინდსი ვონი საუკეთესო ამერიკელია

**ერთი** კვირის წინ, ფრანგულ ვალ დიზერში მსოფლიოს ჩემპიონატზე მეორე ოქროს მოპოვებას რომ აღნიშნავდა, ამერიკელმა ლინდსი ვონმა შამპანურის ბოთლი ზედმეტად აჭანჭყარა, შემოატყდა და ხელი ისე დაისერა, ოპერაციაც დასჭირდა.

მაგრამ კუდრაჭა ამერიკელს ოთხნაკერიანმა ჭრილობამ ჩვეული სილაღით სრიალში ხელი ვერ შეუშალა. მსოფლიოს ჩემპიონატი კი დასრულდა, მაგრამ მსოფლიოს თასი — სხვადასხვა ტურნირებად აკინძული სეზონური შეჯიბრი — გრძელდება და ორშაბათს ვონმა მორიგი ეტაპიც მოიგო.

ამ დღეებში რჩეული ქალი მოთხილამურეები იტალიური ტრევიზოს მთებში შეფენილიყვნენ. ლინდსი იქ ნამდვილი პრიმადონა გახლდათ და შედეგებითაც დაამტკიცა, რომ სპორტული საინფორმაციო საშუალებები მხოლოდ ლამაზი თვალების და შეფაკლული ლაწვების გამო არ აქცევენ ამხელა ყურადღებას.

ტრასებიც სწორედ რომ შესაფერი შეხვდა — სწრაფდაშვება და სუპერგიგანტი. ლინდსი ვონი ჩქაროსნულ დისციპლინებში ყოჩაღობს და ორივეგან კარგი იყო. მას თებერვალს სწრაფდაშვებაში სულ ცოტა დააკლდა პირველობამდე, 0,01 წამით ჩამორჩა გერმანელ ჯინა შტეხერტს. მეორე დღეს კი სუპერგიგანტზე წინ არავინ გაუშვა, უახლოვეს მდევარს, ფაბიენ სუტერს 0.51 წამი მოუგო. გულახდილად რომ ვთქვათ, ცოტა გაუმართლა კიდეც. სამთო თხილამურობის ყოფილი პრიმა, შვედი ანია პერსონი მასზე სწრაფად მისრიალებდა, მაგრამ ტრასის ბოლოსკენ დროში გამოტოვა და შეჯიბრიდან ამოვარდა.

ანიას ისეთი სწრაფი დასაწყისი აქვს, რომ გულს გაგიხეთქავსო, ამბობდა ვონი.

პერსონი ყოჩაღი გოგონაა, მსოფლიოს თასიც მოუგია და მსოფლიოს ჩემპიონიც ყოფილა, მაგრამ გვირგვინი სწორედ იმის გამო დაკარგა, რომ ასეთი შეცდომები მოუხშირდა. საწადელასრულებული ვეტერანი სპორტსმენის სინდრომია — გამარჯვებისკენ ძველებური ლტოლვა აღარ აქვს.

ვონი კი სწორედ რომ ამის წყალობით იგებს. ამერიკის ნაკრებში მის თანაგუნდელ გოგონებსაც უკვირთ — ყველა ჩვენგანივით, საერთო პროგრამით ვარჯიშობს, არც მეტს ინდომებს და არც ნაკლებს, მაგრამ სრიალისას ძალზე ფოკუსირებულია და შეცდომებს პრაქტიკულად არ უშვებსო. მერე კი გოგონებმა კისკისიც ატეხეს, მაგას შეცდომები ტრასის მიღმა მოსდის, იმ ინციდენტის მერე შამპანურის ბოთლებს ვუმალავთო.

ვონისთვის ეს გამარჯვება კარიერაში მე-19 გახლდათ და ამით მან ქვეყნის რეკორდი ჩამოართვა ტამარა მაკენზის, ვისაც 70-80-იან წლებში მსოფლიო თასებზე 18 ეტაპი მოეგო.

ქალებშიც და ვაჟებშიც საერთოამერიკულ რეკორდს 31 წლის კაცი ბოდე მილერი ფლობს. ქალთა შორის ყველა დროის და ეროვნების რეკორდი კი ვონის გადასახედიდან პრაქტიკულად მიუწვდომელი ჩანს — ავსტრიელ ანემარი მოზერ-პროელს მოუგია 62 ეტაპი!

ვონი ამ რეკორდს ალბათ ვერ შესწვდება, თუმც ყველასთვის ცხადია, რომ მიღწეულზე არ შეჩერდება და კიდევ ბევრ გამარჯვებას მოიპოვებს. 24 წლის ასაკში ის უკვე გახდა აშშ-ს ყველა დროის საუკეთესო მოთხილამურე ქალი. მსოფლიოს თასი შარშანაც მოიგო, რითაც 1983 წელს მაკენზის გამარჯვების შემდეგ ამერიკელი გოგონებისთვის ჩაყინული 25-წლიანი დროის შრე გაალღო. ის წლეულსაც აუცილებლად მოიგებს ამ თასს, რაც სეზონის საუკეთესო მოთხილამურედ ოფიციალურად აღიარებას ნიშნავს. ლინდსი დამაჯერებლად ლიდერობს საერთო ჩათვლაში და თითქმის სამასი ქულით უგებს უახლოვეს მდევარს, გერმანელ მარია რეიხს.

იტალიაშივე შეკრებილიყვნენ კაცებიც, რომელთაც 21 და 22 თებერვალს ტურინის მახლობლად სესტრიერეს თვალწარმტაც სამთო კურორტზე გიგანტურ სლალომსა და კომბინაციაში გამართეს შეჯიბრი.

2006 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძელი ტრასა შვეიცარიელმა დიდიე კუშემ დაიპყრო. ამ მოთხილამურემ ვალ დიზერში დიდი ხმაური ატეხა, მოიპოვა ოქრო სწრაფდაშვებაში და ვერცხლი სუპერგიგანტში. ხალხი ალაპარაკდა — გაუმართლაო — რადგან კუშეს წლეულს მსოფლიოს თასზე ერთი ეტაპიც არ მოეგო, მიუხედავად იმისა, რომ არაერთხელ მოხვდა პირველ ათეულში.

სესტრიერეში გამოსვლით კი კუშემ კარგა ხნით მიაჩუმა კრიტიკოსები. უფრო ჩქაროსნული პროფილის მქონე შვეიცარიელმა შედარებით დუნე გიგანტურ სლალომში აჯობა ერთბაშად ოთხ სუპერავსტრიელს და ნავსიც გატეხა. ამ გამარჯვების წყალობით მან თასის საერთო ჩათვლაში გადაასწრო ორ თანამემამულეს — დიდიე დეფაგოს და კარლო იანკას, რისი წყალობითაც პირველ ხუთეულში შევიდა. ახლა მის წინ სულ დარჩეული ბიჭებიღა რჩებიან.



ლინდსი ვონი

ძალიან მინდოდა გიგანტური სლალომის მოგება, რათა საკუთარი თავის რწმენა არ დამეკარგაო — ამბობდა შვეიცარიელი, ვისაც ამ დისციპლინაში ბოლოს 2002 წელს ადელბოდენში ეყოჩაღა.

22 თებერვლის კომბინაცია კი ავსტრიელმა რომედ ბაუმანმა მოიგო, ვინაც ამ კონტრასტულ სახეობაში მაინც და მაინც მკაფიო უნივერსალიზმი ვერ გამოავლინა — დილით სწრაფდაშვებაში პირველი კი იყო, მაგრამ საღამოს სლალომში გვარიანად მოიკოჭლებდა, მხოლოდ მე-16 შედეგი აჩვენა, მაგრამ ორი დისციპლინის დროები რომ შეჯამდა, პირველობა მას შერჩა.

საერთო ჩათვლის ლიდერმა ივიცა კოსტელიჩმა მხოლოდ მეშვიდე შედეგი „შეაჯამა“, მაგრამ ამაში აღებული სარეიტინგო ქულებით ოდნავ მაინც გაიმყარა პირველობა.

ქალთა ლიდერ ლინდსი ვონისგან განსხვავებით მას მეტად გაუჭირდება სეზონის პირველ საფეხურზე ჩამთავრება. ტრავმამ ხელი შეუშალა კარგად დაწყებული სეზონის კარგადვე გაგრძელებაში. ვალ დიზერში საერთოდ ვერ გამოვიდა. კონკურენტები კი ამასობაში თხილამურებზე დაასხდნენ.

**ვანო ძობიაშვილი**



დიდიე კუშე



## ბოდე მილერი ნესინ დესის ასეირნებდა

**ამერიკელი** ბოდე მილერი ოდესღაც იქნებ საუკეთესოდაც ითვლებოდა, 2005 წელს მსოფლიოს თასიც მოუგია, მაგრამ ბოლო ხანს შესამჩნევად მოუკლო. ტრაბახა და როყიო ამერიკელი თითქოს საერთოდ ამოვარდა სამთო ცხოვრებიდან. იქნებ სრიალი მობეზრდა? შეიძლება, მაგრამ სხვა მიზეზიც გამოჩნდა.

მილერი სხვათა ნაკვალევს არ გაყვა და ამ უქმეებზე სესტრიერეში არ ჩასულა, რაკი შვილს ასეირნებდა. ფართო საზოგადოებისთვის ის უცოლშვილო მექალთანე კაცად იყო ცნობილი. ახლა კი ამბობს, ერთი წლის შვილი მყავს, მას ნერინ დერი ქვია და დისლეილენდში დავასეირნებდიო.

„მე და მისი დედა კარგი მეგობრები ვართ, მაგრამ ახლა ერთად აღარ ვცხოვრობთ. ნესინ დესი ქვია — ხომ ლამაზი სახელია? რომ დაიბადა, დედამის ნესინის დარქმევა უნდოდა, მე დესის და აი ასე საინტერესო მიქსი გამოვიდა.“

## მსოფლიოს თასი

### კაცები

#### გიგანტური სლალომი

21 თებერვალი. სესტრიერე

| | |
|---|---|
| 1 დიდიე კუშე (შვეიცარია) | 2.49,57 |
| 2 სტეფან გეორგლი (ავსტრია) | 2.50,23 |
| 3 ბენიამინ რაიხი (ავსტრია) | 2.50,46 |

#### კომბინაცია

22 თებერვალი. სესტრიერე

| | |
|---|---|
| 1 რომედ ბაუმანი (ავსტრია) | 2.25,73 |
| 2 ჟულიენ ლიზერო (საფრანგეთი) | 2.26,05 |
| 3 კარლო იანკა (შვეიცარია) | 2.26,41 |

#### საერთო ჩათვლა

| | |
|---|---|
| 1 ივიცა კოსტელიჩი (ხორვატია) | 802 ქულა |
| 2 ჟან-ბაპტის გრანჟი (საფრანგეთი) | 771 |
| 3 ბენიამინ რაიხი (ავსტრია) | 769 |
| 4 აქსელ ლუნდ სვინდალი (ნორვეგია) | 711 |
| 5 დიდიე კუშე (შვეიცარია) | 647 |
| 6-7 დიდიე დეფაგო (შვეიცარია) | 609 |
| 6-7 კარლო იანკა (შვეიცარია) | 609 |
| 8 ბოდე მილერი (აშშ) | 517 |
| 9 კრისტოფ ინერჰოფერი (იტალია) | 468 |
| 10 თომიხაელ ვალხოფერი (ავსტრია) | 451 |

### ქალები

#### სწრაფდაშვება

21 თებერვალი. ტრევიზო

| | |
|---|---|
| 1 ჯინა შტეხერტი (გერმანია) | 1.59,54 |
| 2 ლინდსი ვონი (აშშ) | 1.59,95 |
| 3 ანია პერსონი (შვედეთი) | 2.00,33 |

#### ქალები. სუპერგიგანტი

22 თებერვალი. ტრევიზო

| | |
|---|---|
| 1 ლინდსი ვონი (აშშ) | 1.21,72 |
| 2 ფაბიენ სუტერი (შვეიცარია) | 1.21,23 |
| 3 ტინა მაცე (სლოვენია) | 1.22,39 |

#### საერთო ჩათვლა

| | |
|---|---|
| 1 ლინდსი ვონი (აშშ) | 1374 ქულა |
| 2 მარია რეიხი (გერმანია) | 1075 |
| 3 ანია პერსონი (შვედეთი) | 960 |
| 4 კატრინ ცეტელი (ავსტრია) | 885 |
| 5 ტანია პოუტიაინენი (ფინეთი) | 713 |
| 6 ელისაბეტ გეორგლი (ავსტრია) | 527 |
| 7 ტინა მაცე (სლოვენია) | 482 |
| 8 სარკა ზაპრობსკა (ჩეხეთი) | 472 |
| 9 ფაბიენ სუტერი (შვეიცარია) | 454 |
| 10 ნადია ფანჩინი (იტალია) | 430 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

BARCLAYS DUBAI TENNIS CHAMPIONSHIPS

კაცები. დუბაი. არაბთა 15-21 თებერვალი. ჰარდი. საპრიზო 2 000 000 $

# აურზაური შაჰარ პირის გამო




**დიდი თამაშის მონაწილეები:**
**დუბაის პრინცესა ჰაია ბინტ ალ-ჰუსეინი და ჩემპიონი ვინუს უილიამსი**

**საჩოგბურთო** სამყარო ჯერაც არ დამცხრალა დუბაის მოვლენების შემდეგ. სათქმელი ნათქვამია, „დამნაშავეც“ დასჯილია და ორთქლი გამოშვებულია, მაგრამ ვნებები ისევ დუღს.

ყველაფერი 15 თებერვალს დაიწყო, როცა დუბაის საერთაშორისო ტურნირის ორგანიზატორებმა ქვეყნის ვიზაზე უარი უთხრეს 21 წლის ებრაელ ჩოგბურთელ შაჰარ პეერს. მიზეზი თითქოს ყველასთვის იოლად გასაგები იყო: ისინი უსაფრთხოების გარანტიას ვერ აძლევდნენ ისრაელის მოქალაქეს, ამასთან ქალს. ისევე როგორც თითქმის ყველა მუსლიმურ ქვეყანას, არაბთა გაერთიანებულ საამიროებსაც გაწყვეტილი აქვს ყოველგვარი დიპლომატიური ურთიერთობა ისრაელთან და რა გასაკვირია, რომ არაბებმა ჩოგბურთელი გოგონა არ შეუშვეს ქვეყანაში.

მაგრამ ამ ამბავს იმდენად ღრმა პოლიტიკური რეზონანსი მოყვა, რომ სპორტულმა საზოგადოებამ დროებით გვერდზე გადადო გლობალურ ეკონომიკურ კრიზისზე წუწუნი და მთელი გულისყური სპარსეთის ყურეს მიაპყრო.

ქალთა ჩოგბურთის მსოფლიო გამგებელმა და შემაკავშირებელმა WTA-მ (Women's Tennis Association) ამ ფაქტს ჯერ წაუყრუა, მაგრამ შემდეგ იძულებელი გახდა, რეაგირება მოეხდინა და საერთაშორისო ორგანიზაციების ზეწოლით 300 ათასი დოლარით დააჯარიმა დუბაელი ჩინოვნიკები, რომლებიც, გულახდილად რომ ვთქვათ, ორცეცხლშუა აღმოჩნდნენ — იქით საერთაშორისო წნეხი, აქეთ მაყურებელთა მუქარა: თუ ებრაელ გოგოს ათამაშებთ, ტურნირს ბოიკოტს გამოვუცხადებთ და სათამაშოდ გასულ ჩოგბურთელებს ტრიბუნაზე კაციშვილი არ დახვდებათო.

ტურნირის მონაწილე სხვა ჩოგბურთელებმა ორგანიზატორები გააკრიტიკეს:

ფრანგმა ამელი მორესმომ შაჰარ პეერის საამიროებში არშეშვებას „მიუღებელი“ უწოდა და კიდევ ბევრი ზოგადი ფრაზა თქვა — „მე ვფიქრობ, რომ რელიგიას, ომებს, პოლიტიკას და საერთოდ არაფერს არ უნდა ჰქონდეს სპორტთან შეხება. გაკვირვებული ვარ ორგანიზატორების ქმედებით.“

სერბ ანა ივანოვიჩს გული იმაზე დაწყდა — შაჰარი ჩემი მეგობარია და დუბაიში მის გარეშე თავს კარგად ვერ ვგრძნობო...

ამერიკელმა ვინუს უილიამსმა კი ავტორიტეტულად ბრძანა — ჩვენ ყველანი ჩოგბურთელები ვართ, ჩოგბურთს ერთად ვემსახურებით და ხელშეუხებლები უნდა ვიყოთო.

მოკლედ ყველა ჩოგბურთელი ერთსულოვნად გამოექომაგა პეერს, მაგრამ მათი მხრიდან სიტყვიერი პროტესტის იქით საქმე არ წასულა და ამაზე ერთი ამბავი ატეხა საჩოგბურთო ჟურნალისტ-მწერალმა ჯეიმს მარტინმა, რომელიც ჯერ WTA-ს შეფ ლარი სკოტს მისდგა, აქაოდა საკმარისი პრინციპულობა ვერ გამოიჩინაო, მერე კი თავად ჩოგბურთელებსაც საკადრისი მიაგო კოლეგის ზერელე მხარდაჭერისთვის.

„როდესაც ლარი სკოტმა სეზონის უკანასკნელი ტურნირი ყატარის დედაქალაქ დოჰაში გადაიტანა, ეს ფინანსურად მომგებიანი პროექტი გაამაგრა ამ ქვეყანაში სოციალური ფონის გაუმჯობესების მაღალი იდეით. მაშინ ყველამ კარგად გავუგეთ, რადგან სპარსეთის ყურის ქვეყნებში ქალები „მეორე რანგის“ მოქალაქეებად ითვლებიან და ქალთა საჩოგბურთო ტურნირი შეიძლება გამხდარიყო სოციალური ცვლილებების კატალიზატორი. მაგრამ ბატონი სკოტი სულ სხვაგვარად იქცევა დუბაის შემთხვევაში. აქ მან აშკარად ფული ანაცვალა პრინციპებს და უხალისოდ დასაჯა ორგანიზატორები, ფუნქციონერის ვალი მოიხადა და მეტი არაფერი. ალბათ სხვა საქმეებით ძალიან იყო დაკავებული და პეერის ინციდენტისთვის ყურადღება ვერ გაიმეტა. შემოიფარგლა მხოლოდ პრესრელიზში გამოთქმული „დიდი იმედგაცრუებით“.

კვლავ ჯეიმს მარტინი — „ზუსტად ასეთი „დიდი იმედგაცრუება“ დამეუფლა ჩოგბურთელთა რეაქციის გამგონეს. ყველა ტოპ-ჩოგბურთელი დუბაიშია და ყველას კარგად მოგვეხსენება, რისთვისაც ჩავიდნენ იქ — დიდი ფულის გამო. ისევე როგორც სხვებს, შაჰარ პეერსაც სურდა ფულის საჭრელ მანქანასთან ემუშავა. ბატონი სკოტის მსგავსად ყველამ გამოთქვა „დიდი იმედგაცრუება“. რატომ? პეერი რომ არ მიუშვეს ფულის მანქანასთან, ამიტომ? მათ არ აქვთ შეგნებული, რომ ერთი დიდი ოჯახის წევრები არიან და საერთო საქმეს აკეთებენ. ბევრი სხვა ორგანიზაცია მსგავს ინციდენტს მძლავრი ბოიკოტით უპასუხებდა. ეს იქნებოდა ადეკვატური პასუხი მათ ქმედებაზე, ვინც სპორტში რელიგიას და პოლიტიკას თავად სპორტზე წინ აყენებს. მორესმოს, ვინუსის, ივანოვიჩის და საერთოდ ყველა სხვათა პროტესტი ისეთივე ვალის მოხდა გამოვიდა, როგორიც სკოტის იყო. ჩოგბურთელებს ჰქონდათ შანსი, აი ახლა, აი ამ სიტუაციაში მაინც გაერთიანებულიყვნენ და პრინციპები პირველად დაეყენებინათ ფულზე წინ. მათ ეს არ გააკეთეს.“

ვინაა ეს შაჰარ პეერი, მაგის გარშემო ამხელა აურზაური რომ ატყდაო, იკითხავს მკითხველი. განხეთქილების ვაშლად ქცეული ეს ჩათქვირული გოგონა ქალთა რეიტინგში დღეს 49-ე საფეხურზეა, მაგრამ WTA-ს ეგიდით გამართული სამი ტურნირი მოუგია და შარშან ნოემბერში მე-14 ჩოგანი გახლდათ. ახლა ფორმაში ვერაა, თანაც ბოლო ხანს ებრაული პასპორტიც ვერ უწყობს თამაშში ხელს. სეზონის დასაწყისში ახალ ზელანდიაშიც კი ღია კრიტიკით დახვდნენ, არადა ეს ქვეყანა დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობაში შედის. დუბაიში რატომ მიიღებდნენ გულთბილად? შაჰარ პეერი ბოლო დროს პოლიტიკური თამაშის ნაწილად იქცა, 2008 წლის ბოლოს ითამაშა ზემოთ ნახსენებ დოჰას ტურნირში და გახდა პირველი ებრაელი ჩოგბურთელი, რომელიც სპარსეთის ყურის რეგიონის ქვეყანაში მიიწვიეს. თითქოს ისრაელსა და მათ მოსისხლე არაბებს შორის დათბობა ახლოვდებოდა, ყოველ შემთხვევაში სპორტში მაინც. პეერი სხვათა მსგავსად ემზადებოდა დუბაიში სათამაშოდ, მაგრამ სულ ბოლო მომენტში ვიზის მაგივრად უარი მიიღო და აირია მონასტერი.

2008-09 წლების მიჯნაზე ისრაელის ჯარების ღაზას სექტორში შეჭრის შემდეგ არაბულ ბლოკთან ურთიერთობა ისევ დაიძაბა. არაბთა გაერთიანებული საამიროების მკვიდრნი ისევე როგორც მთელი მსოფლიო პირდაპირ ეთერში უყურებდნენ ღაზას დაბომბვას და მთლიანად ომს, რომელმაც 13 ისრაელელი ჯარისკაცის წილ 13 000 პალესტინელის სიცოცხლე შეიწირა.

*შაჰარ პეერის ინციდენტში ფიგურირებს კიდევ ერთი ისრაელელი ჩოგბურთელი — ენდი რამი. მის ამბავს მე-17 გვერდზე წაიკითხავთ.*



### მეოთხედფინალი

სერენა უილიამსი (1, აშშ) — ანა ივანოვიჩი (8, სერბეთი) 6:4 6:4
ვინუს უილიამსი (6, აშშ) — ელენა დემენტიევა (4, რუსეთი) 6:3 6:3
კალა კანეპი (16, ესტონეთი) — ელენა ვესნინა (რუსეთი) 6:3 7:5
ვირჟინი რაზანო (საფრანგეთი) — ვერა ზვონარიოვა (5, რუსეთი) 7:6 (9:7) 7:5

### ნახევარფინალი

ვინუს უილიამსი (6, აშშ) — სერენა უილიამსი (1, აშშ) 6:1 2:6 7:6 (7:2)
ვირჟინი რაზანო (საფრანგეთი) — კალა კანეპი (16, ესტონეთი) 6:1 6:2

### ფინალი

ვინუს უილიამსი (6, აშშ) — ვირჟინი რაზანო (საფრანგეთი) 6:4 6:2

ამ მსუყე და ხმაურიანი ტურნირის ნახევარფინალში დაიკო სერენას დამარცხების შემდეგ ვინუს უილიამსს ფინალში შედარებით იოლ ლუკმად ერგო განუთესავი ფრანგი ვირჟინი რაზანო, რომელსაც უფროსმა შავდამ დიდი ბრძოლის გარეშე დააჩრევინა ჩოგანი და კარიერაში მოგებულ ტურნირთა რიცხვი 40-მდე დაამრგვალა.

დაჯილდოების ცერემონიალზე, ისევე როგორც მთლიანად, ტურნირის მსვლელობისას, ჰაერში პოლიტიკური დაძაბულობის მძიმე სუნი ტრიალებდა. ვინუსს უნდოდა თუ არ უნდოდა, აუცილებლად უნდა ეხსენებინა ებრაელი ჩოგბურთელი შაჰარ პეერი, რომელიც სწორედ ებრაელობის გამო არ შეუშვეს არაბთა გაერთიანებულ საამიროებში სათამაშოდ.

„შაჰარმა გაბედული გადაწყვეტილება მიიღო, როდესაც დუბაიში ჩამოსვლა მოინდომა. იცოდა, რომ აქ თამაში იოლი არ იქნებოდა — ამბობდა ხელთასიანი ვინუსი მიკროფონში — კარგია, რომ ენდი რამმა მაინც მიიღო დუბაიში თამაშის უფლება. ამის გამო მომავალ წელსაც აუცილებლად ჩამოვალ და ტიტულს დავიცავ. მე ძალიან მომწონს ეს ტურნირი. ვიტყვი, რომ აქ ზრუნავენ მოთამაშეებზე.“

რაც შეეხება თავად ჩოგბურთს, ვინუსს ნაფინალევს არ დავიწყებია მეტოქე ვირჟინი რაზანოს შექება, მაგრამ სიტყვაში მწკლარტედ ჩაურთო — მაგას ჩემზე გაცილებით უკეთესი კვირა ჰქონდა და ბადეც იოლი შეხვდა, ზოგი განთესილი თავად დამარცხა, ზოგის სხვებმა გააგდეს და ფინალამდეც ამის წყალობით მოაღწია, მაგრამ მე საშუალო თამაშითაც მოვიგეო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## BARCLAYS DUBAI TENNIS CHAMPIONSHIPS

ქალები. დუბაი. არაბთა 23-28 თებერვალი. ჰარდი. საპრიზო 2 226 000 $



# ტკივილიანი პროტესტი

## უფავორიტო ქვეყანაში მიურეი ფავორიტობს



**დუბაიში** ქალთა და კაცთა ტურნირები ერთმანეთის მიყოლებით იმართება. ამ უმდიდრესმა ქალაქმა 15-21 თებერვალს ქალებს უმასპინძლა, 23 თებერვლიდან კი მშვენიერ ჰარდ-კორტზე ვაჟები გავიდნენ.

შაჰარ პეერის გარშემო ამტყდარ ამბებს გამოძახილი მოჰყვა კაცებშიც. პეერი იმ სკანდალში კიდევ ერთ ებრაელ ჩოგბურთელთან, ენდი რამთან ერთად გაეხვია. 14 თებერვალს ორივემ უარი მიიღო არაბთა გაერთიანებულ საამიროებში შესვლის უფლებაზე, რაც პეერს ტურნირის გამოტოვებად დაუჯდა. რამი კი „გადარჩა“, რაკი საერთაშორისო ზეწოლის შემდეგ დუბაელები დათმობაზე წავიდნენ და 19 თებერვალს მისთვის ვიზის გაცემაზე კუშტი თანხმობა თქვეს. ალარც გულშემატკივრებს გამოუთქვამთ პროტესტი. როგორც ჩანს, ჯერ 300 ათასიანმა ჯარიმამ, შემდეგ კი ტურნირის გაუქმების მუქარამ დროებით მაინც ჩააცხრო ებრაელის მიმართ არაბთა სიძულვილი.

რამი პეერზე ნაკლები გაქანების ჩოგბურთელია და დუბაიში მხოლოდ წყვილებში გამოვა. მართალი ითქვას, მისი ჩასვლა სპორტული კუთხით დიდ ხეირს არ მოუტანდა საამიროელებს, არჩასვლა კი შეიძლებოდა, მათვის ნამდვილი კატასტროფის ტოლფასი გამხდარიყო.

„ებრაულმა“ სკანდალმა მაინც გვარიანად აზარალა ორგანიზატორები. ქალებისგან განსხვავებით კაცებმა საქმითაც აგრძნობინეს საამიროელებს, ცუდად იქცევით, ებრაელებს კარს რომ უხშობთო. მისტერ ჯეიმს მარტინის რჩევას არ აყოლილან და ტურნირისთვის ერთობლივი ბოიკოტი არ გამოუცხადებიათ, მაგრამ რამდენიმე ვარსკვლავმა სხვადასხვა მიზეზით იუარა დუბაიში თამაში. ყველას ერთად „ასტკივდა“ სხეულის ესა თუ ის ნაწილი. როჯერ ფედერერმა ზურგის ტრავმა მოიმიზეზა, რაფა ნადალს წელკავი დაემართა, ფერნანდო ვერდასკომ კოჭი იღრძო, ნიკოლაი დავიდენკოს კი, ზუსტად არ ვიცით, რა ასტკივდა.

გამოჩნდა ისეთიც, ვინც მიზეზს თავისი სახელი დაარქვა. ენდი როდიკმა პირდაპირ ბრძანა — დუბაიში ჩასვლა პროტესტის ნიშნად გადავიფიქრეო. თუმცა ის ორმაგ თამაშში იქნა მხილებული. არაბებმა მისი სიტყვები გაშიფრეს და დაასკვნეს — პროტესტი არაფერ შუაშია, როდიკი კვირას შეერთებულ შტატებში, მემფისის ტურნირის ფინალში თამაშობდა და ორშაბათს დუბაიში ჩამოსვლას ვერაფრით მოასწრებდა, ძალიანაც რომ მოენდომებინაო.

ტოპ-ათეულის ხუთი წევრის უარით ტურნირმა ცხადია ბევრი დაკარგა, მაგრამ სამაგიეროდ დარჩენილები მოიგებენ. კაცთა ტურნირი ქალებისაზე ბევრად შემოსავლიანია — 64-ის მაგივრად 32 ჩოგბურთელი მონაწილეობს, თანაც საპრიზო ოდნავ მეტიცაა. გამარჯვებულს 383 000 დოლარი ერგება, ფინალისტს კი 180 000. ასე რომ, ჩიტი ბდღვნად ღირს და ნამდვილ ფავორიტთა არყოფნაში გაფავორიტებულები მოლოდინით ხელებს იფშვნეტენ.

მსოფლიოს მესამე ჩოგან ნოვაკ ჯოკოვიჩს განთესვის პირველი ნომერი ერგო, მეოთხე ჩოგანი ენდი მიურეი კი ავტომატურად განითესა მეორე ნომრად. ეს უკანასკნელი ერთობ კმაყოფილია. სპარსეთის ყურეში შარშანაც გახლდათ, ოღონდ მაშინ მის საჩოგბურთო სახელს წონა და სარეიტინგო ქულები აკლდა და ბრიტანელი პირველივე რაუნდში დაეჯახა იმხანად პირველ ჩოგან ფედერერს, რომელსაც, სხვათა შორის, მოუგო კიდეც. ახლა მას პირველ მეტოქედ ერგო მსოფლიოს 79-ე ჩოგანი, უკრაინელი სერგეი სტახოვსკი.

ტურნირზე „ვაილდ ქარდით“, ანუ საგანგებო მიწვევით მოხვდა რუსი მარატ საფინი და განთესვის მერვე ნომერიც კი ერგო, რითაც მესამე წრემდე არიდებული ჰყავს მონაწილეთაგან 7 საუკეთესო — ცხადია თუ მივიდა იქამდე. ისედაც უქნარა რუსი წლეულს საერთოდ გაზარმაცებულია და ჩოგბურთიდან წასვლაზე იწყო საუბარი. არადა, მხოლოდ 28 წლისაა. სეზონის დასაწყისში ავსტრალიურ პერთში დაიკო დინარასთან ერთად ჰოფმანის თასზე მოულოდნელად რომ დამარცხდა დომინიკ ჰრბატის და დომინიკა ციბულკოვას სლოვაკურ წყვილთან, მას მერე გააკეთა წასვლის განცხადება, მეყოფა ქვეყნიდან ქვეყანაში წოწიალიო. საფინი პირველ წრეში ფრანგ რიშარ გასკეს ხვდება.

**ირაკლი ფირაშვილი**

# სკანდალი შვედებამდეც მიგორდა

**ებრაულ-არაბულ** სკანდალმა ახლო აღმოსავლეთიდან შორს, შვედეთშიც კი ჰპოვა ხმაურიანი გამოძახილი. 6-8 მარტს შვედების კაცთა ნაკრები დევისის თასზე ისრაელის ნაკრებს უნდა შეხვდეს და იმის შიშით, ტრიბუნებზე ვინმე ანტისემიტი არ შევეპაროს და რამეები არ აგვიფეთქოსო, შვედმა ორგანიზატორებმა ჯერ შეხვედრის ცარიელ დარბაზში გამართვის გადაწყვეტილება მიიღეს, მერე კი მასპინძელი ქალაქიც გამოცვალეს. ისრაელელთა მასპინძლობა დედაქალაქ სტოკჰოლმში იგეგმებოდა, მაგრამ სავარაუდოდ ქვეყნის სიდიდით მესამე ქალაქ მალმიოში გადაიტანენ.

მაგრამ პრობლემა ამით არ იწურება. მალმიოშიც არაერთი ათასი მუსლიმი ცხოვრობს და გავრცელდა ხმები, რომ ისინი ისრაელელთა საპროტესტო აქციის გამართვას გეგმავენ.



### Regions Morgan Keegan Championships

კაცები

მემფისი. 15-21 თებერვალი. ჰარდი
საპრიზო 1 226 000 $

**ნახევარფინალი**

ენდი როდიკი (1, აშშ) — ლეიტონ ჰიუიტი (4, ავსტრალია) 2:6 7:6 (7:4) 6:4

რადეკ შტეპანეკი (5, ჩეხეთი) — დუდი სელა (ისრაელი) 6:3 6:1

**ფინალი**

ენდი როდიკი (1, აშშ) — რადეკ შტეპანეკი (5, ჩეხეთი) 7:5 7:5



### OPEN 13

კაცები

მარსელი. 14-22 თებერვალი. ჰარდი
საპრიზო 576 000 ევრო

**ნახევარფინალი**

ჟო-ვილფრიდ ცონგა (4, საფრანგეთი) — ნოვაკ ჯოკოვიჩი (1, სერბეთი) 6:4 7:6 (7:1)

მიშელ ლოდრა (საფრანგეთი) — ჟილ სიმონი (2, საფრანგეთი) 7:6 6:2

**ფინალი**

ჟო-ვილფრიდ ცონგა (4, საფრანგეთი) — მიშელ ლოდრა (საფრანგეთი) 7:5 7:6 (7:3)



### Copa Telmex

კაცები

ბუენოს აირესი. 16-22 თებერვალი
თიხა. საპრიზო 600 000 $

**ნახევარფინალი**

ხუან მონაკო (არგენტინა) — დავიდ ნალბანდიანი (1, არგენტინა) 2:6 7:5 7:6 (7:2)

ტომი რობრედო (3, ესპანეთი) — ხოსე აკასუსო (5, არგენტინა) 6:4 7:6 (7:3)

**ფინალი**

ტომი რობრედო (3, ესპანეთი) — ხუან მონაკო (არგენტინა) — 7:5 2:6 7:6 (7:5)

# სიკვდილი სპორტში: რატომ?

ამ რამდენიმე დღის წინ ინტერნეტში ვიდეოების თვალიერებისას 5 წლის წინანდელ კადრებს გადავაწყდი: როგორ მოკვდა მოედანზე ბენფიკელი მიკლოშ ფეჰერი.

ეს ძალიან გახმაურებული ამბავია და წლების წინ „სარბიელსაც" ეწერა, მაგრამ კადრები ნანახი არ მქონდა...

„ბენფიკას" და „გიმარაეშის" მატჩის მე-60 წუთზე ბენფიკელთა მწვრთნელი ხოსე ანტონიო კამაჩო მოედანზე უნგრელ ლეგიონერ მიკლოშ ფეჰერს შეუშვებს. რამდენიმე წუთში 24 წლის უნგრელი უხეშად ეთამაშება მეტოქეს და მსაჯი ყვითელ ბარათს უჩვენებს. ფეჰერი აშკარად გასაფრთხილებელი იყო და ამიტომაც სასჯელი არ გაუპროტესტებია, მსაჯს გაუღიმა, შებრუნდა და.. მოედანზე დაეცა. მომდევნო კადრები კი უკვე გვიჩვენებს, როგორ შედის მოედანზე სასწრაფო დახმარების მანქანა, როგორ ცდილობენ ფეხბურთელები ამხანაგის გადარჩენას და როცა ხვდებიან, რომ ეს უკვე შეუძლებელია, მინდორზე დამხობილები როგორ მოთქვამენ...

სამედიცინო დასკვნაში ნათქვამია, რომ ფეხბურთელი გულის შეტევით გარდაიცვალა, თუმცა კლუბის ექიმის მტკიცებით, მას გული არასდროს აწუხებდა.

მას მერე „ბენფიკაში" 29-ნომრიანი მაისურა აღარავის აცვია...

რამდენად ხშირია სიკვდილიანობა სპორტში? რომელია ყველაზე სახიფათო სახეობები? რა სახის ტრავმები იწვევს სიკვდილს? ეს წერილი იმ ვიდეოს ნახვის მერე იწერება და ჩამოთვლილ კითხვებზე პასუხის გაცემას ისახავს მიზნად ...



მიკლოშ ფეჰევრმა მსაჯს გაუღიმა და დაეცა...

სიკვდილიანობა სპორტში, როგორც სამედიცინო პრობლემა, სულ მცირე 2500 წელია არსებობს. ნაპოვნია ბერძნული ჩანაწერი, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე 490 წლის თარიღდება. ჩანაწერი გვამცნობს: „ტრაგედია მარათონში. ახალგაზრდა სპორტსმენი-მეომარი, სახელად ფიდიპიდი, დაიღუპა გრძელ დისტანციაზე გარბენის დროს. სენატმა გასცა განკარგულება, გამოიძიონ სიკვდილის მიზეზები და დასაჯონ დამნაშავეები."

უკვე ჩვენს დროში, ჟურნალმა „ფორბსმა" გამოაქვეყნა ყველაზე სახიფათო სახეობათა ნუსხა, რომელიც ასე გამოიყურება:

— ბაიზ-ჯამპინგი (ცათამბჯენებიდან და ხიდებიდან პარაშუტით ხტომა);

— ფრი-დაივინგი (აკვალანგის გარეშე ყვინთვა);

— წყალქვეშა გამოქვაბულებში ყვინთვა;

— თხილამურებით სწრაფდაშვება;

— ვინდსერფინგი დიდ ტალღებზე;

— სამთო ველოსპორტი;

— ალპინიზმი;

— ნიჩბოსნობა მე-5 კატეგორიის მდინარეებზე.

შენიშნავდით, რომ „ფორბისის" მიერ ჩამოთვლილი სახეობები ექსტრემალურია და სპორტის ტრადიციულ სახეობებს არ განეკუთვნება.

ბუნებრივია ისიც, რომ „სასიკვდილო სახეობები" გეოგრაფიულადაც იცვლება. ასე მაგალითად, ავსტრალიაში ყველაზე სახიფათო სახეობად მოტოსპორტი ითვლება (ტრავმების საერთო რაოდენობის 31,8 პროცენტი).

შვეიცარიაში, სადაც უპირატესობას ზამთრის სახეობებს ანიჭებენ, სიკვდილიანობის ყველაზე მეტი ოდენობა სამთო თხილამურობამ გამოიწვია (6200 უბედური შემთხვევა წელიწადში, რომელთაგან 40 პროცენტი ფატალური შედეგით დასრულდა).

ამერიკის შეერთებული შტატების უსაფრთხოების ტექნიკის ნაციონალური საბჭოს შეკვეთით ჩატარებულმა გამოკვლევამ კი აჩვენა, რომ ამ ქვეყანაში ყველაზე სახიფათო სახეობა ალპინიზმია — 56 დაღუპული ყოველ 10 ათას სპორტსმენზე.

ახლა ვნახოთ, კერძოდ რომელი ორგანოების ტრავმები იწვევს სიკვდილიანობის ყველაზე მეტ რაოდენობას.

სტატისტიკა ასეთ ჩამონათვალს გვაძლევს:

— თავი;

— კისერი;

— მკერდი;

— მუცელი.

ვფიქრობთ, აქ ყველაფერი მარტივადაა და დეტალურად აღარ განვიხილავთ. ის კი ვთქვათ, რომ იმ ტრავმების 50 პროცენტი, რომლებიც სიკვდილით არ მთავრდება, ქვედა კიდურებზე მოდის.

სტატისტიკა იმასაც გვამცნობს, რომ სიკვდილიანობა დაახლოებით სამჯერ მეტია კაც სპორტსმენთა შორის, ვიდრე ქალებში. ავსტრალიელ მეცნიერთა კვლევით, ყოველ 100 ათასი სპორსტმენი კაციდან წელიწადში საშუალოდ 1,5 იღუპება, ქალ სორტსმენთა შორის იგივე მაჩვენებელი 0,5-ია.

სიკვდილიანობის კიდევ ერთი მიზეზი გულ-სისხლძარღვთა პათოლოგიებია.

განვითარებულ ქვეყნებში ამ მიზეზებს კარდიოლოგიის ცალკე ქვედარგი შეისწავლის და სამ ძირითად კატეგორიად იყოფა:

— კომოციო კორდისის სინდრომი, როდესაც მკერდში უეცარი და მკვეთრი დარტყმა გულის კუნ-

| | ანაბოლიდური სტეროიდები | დიურემიკები | სტიმულატორები | ნარკოტიკული ანალგეტიკები | ბეტა-ბლოკატორები | სისხლის დოპინგი | პეპტიდური ჰორმონები |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| პრეპარატი | ნანდროლონი, სტანოზოლი | ფრუსემინი, სპირონოლაკტონი | კოფეინი, ამფეტამინი, კოკაინი | მეტადონი, კოდეინი, ჰეროინი | ათენოლონი, ოქსპრენოლონი, პროპრანოლოლი | ერითროპოეტინი (ერითროციტების წარმომქმნელი პრეპარატები) | ზრდის ჰორმონები |
| ეფექტი | ზრდის კუნთის მასას, აგრესიას, და ფიზიკურ შესაძლებლობებს | ამცირებს მასას, ნიღბავს სხვა პრეპარატების არსებობას ორგანიზმში | ამცირებს დაღლილდობას, ზრის ყურადღებას | აყუჩებს ტკივილს, იწვევს ეიფორიას | ანელებს გულისცემას, სტაბილურს ხდის მოძრაობას | ზრდის ერთიროციტების რაოდენობას | ზრდის კუნთის მასას |
| სახეობები | ძალოსნობა, ფეხბურთი, ცურვა | ძალოსნობა, კრივი, ჭიდაობა | სროლა, მშვილდოსნობა | სროლა. უსარგებლოა ისეთ სახეობებში, სადაც საჭიროა გამძლეობა | სროლა, მშვილდოსნობა | ველოსპორტი, სტაიერული სირბილი, თხილამურობა | მძლეოსნობა, ძალისმიერი სახეობები |
| გვერდითი ეფექტები | მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ხმის გაუხეშება | მინერალური ნივთიერებების დაკარგვა | ჰიპერაქტიურობა, მახიკარდია (გულისცემის გაზრდა წუთში 90 დარტყმაზე მეტად) | ხზელს უშლის ტრავმების და დაზიანებების მორჩენის პროცესს | იწვევს ასთმას | - | თითების დასიება, დიაბეტი |
| საბოლოო შედეგი | გულის, ღვიძლის და თირკმელების დაავადებები, უშვილობა | თირკმელების უკმარისობა, გულის გაჩერება | ნარკოტიკული დამოკიდებულება | გადაჭარბებული დოზა იწვევს კომას | ბრადიკარდია (გულისცემის შემცირება წუთში 60 დარტყმაზე ნაკლებად) | ამცირებს სისხლის შედედების უნარს | ზუსტი მონაცემები არ არსებობს |

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ტრავმა, გული და დოპინგი...

თის მუშაობის ფატალურ გაჩერებას იწვევს.

— ახალგაზრდა სპორტსმენთა (30 წლამდე) უეცარი სიკვდილი, რაც გამოწვეულია გულის სტრუქტურული, მეტწილად მემკვიდრეობითი დაავადებებით.

— გულის იშემიური დაავადებებით გამოწვეული უეცარი სიკვდილი, რაც ხდება 30 წელს ზემოთ, სპორტსმენთა დაღუპვის ძირითადი მიზეზია.

კარდიოლოგები გვირჩევენ, თუ რომელი სახეობებით შეიძლება დაკავდეს ადამიანი და რომელით არა, თუკი მას გული აწუხებს.

სახეობებს აჯგუფებენ დინამიური და სტატიკური მოთხოვნების მიხედვით და გვაფრთხილებენ: ადამიანები, რომლებსაც გული აწუხებთ, არ უნდა დაკავდნენ მაღალი დინამიური და სტატიკური მოთხოვნების მქონე სახეობებით. ესენია: ამერიკული ფეხბურთი, კრივი, ბარის თხილამურობა, მთის თხილამურობა, ფარიკაობა, ჰოკეი, ნიჩბოსნობა, რაგბი, სირბილი, ციგურაობა, წყალბურთი, ჭიდაობა.

ექიმები იგივეს გვირჩევენ მაღალი დინამიური და დაბალი სტატიკური მოთხოვნების მქონე სახეობების თაობაზეც. ესენია: ბადმინტონი, ბეისბოლი, კალათბურთი, ბალახის ჰოკეი, სპორტული ორიენტირება, სპორტული სიარული, სკვოში, სტაიერული სირბილი, ცურვა, მაგიდის ჩოგბურთი, ფეხბურთი, ჩოგბურთი, ფრენბურთი.

დაბალი დინამიური და მაღალი სტატიკური მოთხოვნების მქონე სახეობებით დაკავება გულის პრობლემების მქონე ადამიანებისთვის მხოლოდ ექიმებთან კონსულტაციის და მკურნალობის კურსის გავლის შემდეგ შეიძლება. ეს სახეობებია: მშვილდოსნობა, სიგრძეზე ხტომა, სიმაღლეზე ხტომა, მოტოსპორტი, წყლის თხილამურობა, დაივინგი, ცხენოსნობა, ტანვარჯიში, აფროსნობა, ტრამპლინიდან ხტომა, ძალოსნობა.

გულით ავადმყოფთათვის ყველაზე ნაკლებ სახიფათოა დაბალი დინამიური და სტატიკური მოთხოვნების მქონე სახეობები, თუმცა კარდიოლოგთა კონსულტაციებს აქაც საჭიროდ თვლიან. ეს სახეობებია: ბოულინგი, კრიკეტი, კერლინგი, გოლფი, სროლა.

და, რა თქმა უნდა, დოპინგი...

ფარმაკოლოგიური პრეპარატების მიღების გამო სპორტსმენის დაღუპვის პირველი ოფიციალურად რეგისტრირებული შემთხვევა 1879 წლით თარიღდება. საფრანგეთში ველორბოლისას დაიღუპა ინგლისელი სპორტსმენი, რომელსაც ამფეტამინის გადაჭარბებული დოზა ჰქონდა მიღებული და თანაც უშუალოდ რბოლის დროს.

ამავე მიზეზით დაიღუპა დანიელი ველომრბოლი 1960 წლის რომის ოლიმპიადისას, თუმცა ამ შემთხვევამაც ვერ გამოიწვია ფართო რეზონანსი.

დოპინგზე ხალხი მხოლოდ 1967 წელს, ტურ დე ფრანსის დროს ინგლისელი ტომი სიმპსონის დაღუპვის მერე ალაპარაკდა. საქმე ის გახლდათ, რომ ის რბოლა ტელევიზიით გადაიცემოდა და მილიონობით ადამიანმა ნახა სპორტსმენის სიკვდილი.

მხოლოდ ამის მერე დაფიქრდა, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი და ანტიდოპინგური ბრძოლაც წამოიწყო. შედეგად, დოპინგკონტროლი პირველად მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებზე გამოიყენეს.

**გიორგი დარჯანია**



მსოფლიო პირველად ტომი სიმპსონის სიკვდილმა დააფიქრა



ანტონიო პუერტა („სევილია") და მარკ ვივიენ ფოე (კამერუნის ნაკრები) თამაშისას დაიღუპნენ და ეს კადრები ტელემაყურებელმა პირდაპირ ეთერში ნახა



ალექსეი ჩერეპანოვი ჰოკეის მატჩისას რომ დაიღუპა, 19 წლისა იყო



# დამანგრეველი აწყობილ გუნდში

## სტივენ მარბერი ბოსტონ სელტიქსში მივიდა...




**ეს კაცი** მანამდე ხუთი წელი სტანჯავდა „ნიუ იორკს“ და დიდწილად მისი „დამსახურებით“ ჩაიძირა ნბა-ს უძველესი და უმდიდრესი გუნდი ისე ღრმად, რომ პლეი ოფში მოხვედრა სანატრელი გახდომია. მარბერისთვის არაფრის კეთებაში მიცემული ათეულობით მილიონი კისერზე აწვა „ნიქსის“ სალაროს, მისი თამაში კი გუნდს მხოლოდ ხელს უშლიდა.

მარბერის კარგად ახასიათებს ჩვენში გაცვეთილი ფრაზა — ნიჭიერია, მაგრამ ზარმაციო. უფრო ზუსტი ნათქვამი იქნებოდა — ნიჭიერია, მაგრამ ტუტუცია.

ნიჭიერებაში მიცემული ავანსები მან არაფერში გაფლანგა. ბუნებისგან ბოძებული საკალათბურთო ტალანტი ისე გაანიავა, რომ ვერავინ მიხვდა, სად წაიღო. 1996 წელს ნბა-ში რომ მოვიდა, მრავლისმნახველი ხალხი აღფრთოვანებული შესცქეროდა — ეგეთი ტექნიკური გამთამაშებელი ერთ-ორი თუ გვინახავსო, მაგრამ 12 სეზონის თავზე მარბერის სატრაბახო საერთოდ არაფერი აქვს.

მხოლოდ ხუთჯერ მოხვდა მისი გუნდი პლეი ოფში და ხუთივე ჯერზე პირველი რაუნდიდან დაიფრინეს. ცხოვრებაში პრაქტიკულად არაფერი მოუგია. მოიარა ოთხი გუნდი. თავიდან ყველა აღტაცებით ხვდებოდა, ბოლოს კი ერთი სული ჰქონდათ, როდის მოიშორებდნენ.

გამთამაშებელი ჰქვია და პასი არ უყვარს. მთელი ნბა ჯეისონ კიდსა და სტივ ნეშს აღმერთებს — პასის ისეთი მაღალი კულტურა აქვთ, რომ თანაგუნდელებს უკეთეს კალათბურთელებად ხდიან და გუნდს უკეთესად ათამაშებენო. მარბერიმ კი ამის წამომძახებელს ერთხელ ჩვეული სიტუტუცით უთხრა — თანაგუნდელი მე როგორ უნდა გავხადო უკეთესიო...

გულუბრყვილო ნამდვილად არ ეთქმის, ხისთავიანი უფროა.

ამაზეა ნათქვამი, რასაც ხელს კიდებს, ყველაფერს ამტვრევსო. ყველაზე მეტად მაინც „ნიუ იორკი“ აზარალა — მისი ეს სეზონი ბოლო იყო შვიდწლიანი კონტრაქტის მიხედვით და 21,9 მილიონი დოლარი უნდა მიეღო.

არადა, სეზონის წინ „ნიქსში“ ახალი მწვრთნელი მაიკ დანტონი რომ მივიდა, კლუბის შეფებს უთხრა, რაც გინდათ ის მოუხერხეთ მაგ კაცს, თუ გინდ ათი ამდენი უხადეთ, მე კი გუნდში არ მჭირდებაო. მთელი სეზონი ისე გაილია, მარბერი ერთხელაც არ ათამაშეს. კონტრაქტის გამოსყიდვა სურდა, რათა სხვა გუნდში გადასულიყო და აი, ბოლოს მიაღწია თავისას.

ახლა ეს დესტრუქციული ბუნების კაცი, ამერიკულად რომ ვთქვათ, „ლუზერი“, ჩემპიონ გუნდში მიდის. ძალიან საინტერესოა, როგორ მოიქცევა იქ „ბოსტონს“ კარგი გამთამაშებელი ჰყავს — 22 წლის რაჯონ რონდო და ვნახოთ, რამდენი ხანი შეეგუება მარბერი ამ ბიჭის სათადარიგოობას. იქნებ იქ მაინც ისწავლოს სხვაზე თამაში და პირადი ინტერესების გუნდურ ჩარჩოში ჩასმა.

**ირაკლი ფირაშვილი**

# საიდუმლო ჯვრისწერა



**„მინესოტას“** სერბ კალათბურთელ მარკ იარიჩს და სუპერმოდელ ადრიანა ლიმას ორიოდე კვირის წინ საიდუმლო ჯვრისწერა ჰქონდათ, რაც ახლახა გამჟღავნდა.

„ძალიან ბედნიერები ვართ — თქვა ლიმამ — დიდი ქორწილი ზაფხულში გვექნება და ჩვენი ყველა ახლობელი გვინდა დავპატიჟოთ“.

კალათბურთელმა კი აღიარა: „აქამდე ერთი ნახვით არავინ შემყვარებია. ამ მხრივ მუდამ პრობლემები მქონდა. მაგრამ ადრიანას რომ შევხვდი, მაშინვე ვიგრძენი, რომ გრძნობა გამიჩნდა.“

ადრიანამ და მარკმა ერთმანეთი 2006 წელს გაიცნეს, ნიშნობა კი შარშან ივნისში, ადრიანას დაბადების დღეს ჰქონდათ.

**კოტე კეკელია**



## NBA რეგულარული ჩემპიონატი



50-ქულიანი დუეინ ვეიდი

# საფანტით ტანკს, აბა, რას დააკლებ?!

**22 თებერვალი**

ინდიანა 98:91 ჩიკაგო
ტორონტო 111:100 ნიუ იორკი
ფინიქსი 108:128 ბოსტონი
მილუოკი 120:117 დენვერი
ჰიუსტონი 99:78 შარლოტი
ორლანდო 121:99 მაიამი
პორტლენდი 116:87 კლიპერსი
მინესოტა 108:111 ლეიკერსი
კლივლენდი 99:78 დეტროიტი

**23 თებერვალი**

ნიუ იორკი 123:119 ინდიანა
ნიუ ჯერსი 98:96 ფილადელფია
იუტა. 108:89 ატლანტა
დენვერი 78:114 ბოსტონი
საკრამენტო 105:112 ნიუ ორლეანი
კლიპერსი 118:105 გოლდენ სტეიტი

**24 თებერვალი**

ტორონტო 118:110 მინესოტა
კლივლენდი 94:79 მემფისი
მაიამი 103:91 დეტროიტი
ოკლაჰომა 93:107 ლეიკერსი
ჩიკაგო 120:102 ორლანდო
ჰიუსტონი 98:94 პორტლენდი
სან ანტონიო 93:76 დალასი
ფინიქსი 112:102 შარლოტი

| | | | |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი** | | | |
| ატლანტიკა | | | |
| ბოსტონი | 46 | 12 | 79,3 |
| ფილადელფია | 27 | 28 | 49,1 |
| ნიუ ჯერსი | 25 | 32 | 43,9 |
| ნიუ იორკი | 24 | 32 | 42,9 |
| ტორონტო | 23 | 36 | 39,0 |
| ცენტრალური | | | |
| კლივლენდი | 44 | 11 | 80,0 |
| დეტროიტი | 27 | 28 | 49,1 |
| მილუოკი | 28 | 31 | 47,5 |
| ჩიკაგო | 26 | 31 | 45,6 |
| ინდიანა | 24 | 35 | 40,7 |
| სამხრეთ-აღმოსავლეთი | | | |
| ორლანდო | 41 | 15 | 73,2 |
| ატლანტა | 32 | 24 | 57,1 |
| მაიამი | 30 | 26 | 53,6 |
| შარლოტი | 22 | 35 | 38,6 |
| ვაშინგტონი | 13 | 43 | 23,2 |
| **დასავლეთი** | | | |
| სამხრეთ-დასავლეთი | | | |
| სან ანტონიო | 38 | 17 | 69,1 |
| ჰიუსტონი | 36 | 21 | 63,2 |
| ნიუ ორლეანი | 33 | 22 | 60,0 |
| დალასი | 33 | 23 | 58,9 |
| მემფისი | 15 | 41 | 26,8 |
| ჩრდილო-დასავლეთი | | | |
| დენვერი | 37 | 20 | 64,9 |
| პორტლენდი | 35 | 21 | 62,5 |
| იუტა | 34 | 23 | 59,6 |
| მინესოტა | 18 | 38 | 32,1 |
| ოკლაჰომა | 13 | 44 | 22,8 |
| წყნარი ოკეანე | | | |
| ლეიკერსი | 47 | 10 | 82,5 |
| ფინიქსი | 32 | 24 | 57,1 |
| გოლდენ სტეიტი | 20 | 37 | 35,1 |
| კლიპერსი | 14 | 43 | 24,6 |
| საკრამენტო | 12 | 46 | 20,7 |

**გამორჩეული მატჩი**

**ორლანდო 122:99 მაიამი**

ორლანდო: ჰოვარდი (32 ქულა, 17 მოხსნა), თურქოღლუ (20), ლუისი (18)
მაიამი: ვეიდი (50)

**ორლანდოელებს** ჭეშმარიტად საამაყო გუნდი დაუღგათ. ძირითად გამთამაშებელ ჯამერ ნელსონის დამტვრევის მიუხედავადაც ბევრისთვის რისხვად რჩებიან. კვირას ნბა-ს ერთ-ერთი სუპერმექულის გუნდს შეხვდნენ — მაიამელმა დუეინ ვეიდმა კარიერის რეკორდი დაამყარა და 50 ქულა ჩაუგდო. ორლანდოელები კი სიამაყით და ალბათ დაცინვითაც შესცქეროდნენ, როგორ ანადგურებდა მათი გუნდი ასეთ მეტოქეს.

„მეჯიქის“ მწვრთნელი ნამატჩევს სიცილით ამბობდა, როდესაც ვეიდი დიდების დარბაზში მოხვდება და კარიერის საუკეთესო თამაშს გაიხსენებს, ისიც ნუ დაავიწყდება, ეს თამაში ვისთან და როგორ წააგო.

ფლორიდულ დერბიში ვეიდის საჯარიმოები, ორქულიანები და სამიანები ისე მოქმედებდა „ორლანდოს“ დაცვაზე, როგორც საფანტის თოფი ტანკზე. ვეიდის გუნდში ვერავინ აღმოჩნდა ვერც დუაიტ ჰოვარდის და ვერც სხვათა შემჩერებელი. მშვენივრად გაისარჯა „ჰიუსტონიდან“ ნელსონის შემცვლელად გადმოყვანილი გამთამაშებელი რაფერ ელსტონი, ვინაც 12 ქულასთან ერთად 9 პასიც გაახერხა და შეტევაში მშვენივრად ათამაშა ახალი გუნდი. ორლანდოელებმა ტრადიციულად ბევრი სამიანი ჩაყარეს, „მაიამის“ კი ვეიდის გარდა მათ საწინააღმდეგოდ არავითარი იარაღი არ აღმოაჩნდა.

**ირაკლი ფირაშვილი**

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | 28 თებერვალი | | | | | | |
| 16:45 | 51 | ევერტონი-ვესტ ბრომვიჩი | 1.55 | 3.70 | 7.00 | 1.09 | 1.26 | 2.42 |
| 16:45 | 52 | ევერტონი-ვესტ ბრომვიჩი 0:1 | 2.45 | 3.50 | 2.55 | | | |
| 19:00 | 57 | ჩელსი-უიგანი | 1.35 | 4.50 | 11.00 | 1.03 | 1.20 | 3.19 |
| 19:00 | 58 | ჩელსი-უიგანი 0:1 | 1.90 | 3.50 | 3.50 | | | |
| 19:00 | 59 | არსენალი-ფულემი | 1.50 | 3.90 | 7.50 | 1.08 | 1.25 | 2.56 |
| 19:00 | 60 | არსენალი-ფულემი 0:1 | 2.30 | 3.50 | 2.70 | | | |
| 19:00 | 61 | მიდლსბრო-ლივერპული | 5.00 | 3.50 | 1.75 | 2.05 | 1.29 | 1.16 |
| 19:00 | 62 | მიდლსბრო-ლივერპული 1:0 | 2.10 | 3.60 | 2.90 | | | |
| | | 1 მარტი | | | | | | |
| 19:00 | 63 | ასტონ ვილა-სტოკი | 1.45 | 4.20 | 8.00 | 1.07 | 1.22 | 2.75 |
| 19:00 | 64 | ასტონ ვილა-სტოკი 0:1 | 2.20 | 3.50 | 2.90 | | | |
| 16:30 | 65 | ჰალი-ბლექბერნი | 2.70 | 3.20 | 2.70 | 1.46 | 1.35 | 1.46 |
| 16:30 | 66 | ჰალი-ბლექბერნი 1:0 | 1.45 | 4.50 | 5.50 | | | |
| 16:30 | 67 | ვესტ ჰემი-სიტი | 2.65 | 3.20 | 2.75 | 1.44 | 1.34 | 1.47 |
| 16:30 | 68 | ვესტ ჰემი-სიტი 0:1 | 5.20 | 4.50 | 1.45 | | | |
| 17:00 | 69 | ბოლტონი-ნიუკასლი | 2.10 | 3.30 | 3.60 | 1.28 | 1.32 | 1.72 |
| 17:00 | 70 | ბოლტონი-ნიუკასლი 0:1 | 3.70 | 3.80 | 1.80 | | | |
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | 27 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 81 | დონკასტერი-დერბი | 2.50 | 3.20 | 2.80 | 1.40 | 1.32 | 1.49 |
| 23:45 | 82 | დონკასტერი-დერბი 0:1 | 4.20 | 3.50 | 1.55 | | | |
| | | 28 თებერვალი | | | | | | |
| 19:00 | 77 | ბრისტოლი-ბლეკპული | 1.75 | 3.30 | 4.80 | 1.14 | 1.28 | 1.95 |
| 19:00 | 78 | ბრისტოლი-ბლეკპული 0:1 | 2.90 | 3.40 | 1.90 | | | |
| 19:00 | 79 | ბარნლი-უენსდი | 1.85 | 3.30 | 4.70 | 1.18 | 1.32 | 1.93 |
| 19:00 | 80 | ბარნლი-უენსდი 0:1 | 3.00 | 3.40 | 1.85 | | | |
| 19:00 | 83 | ნორვიჩი-ქოვენთრი | 2.35 | 3.20 | 2.95 | 1.35 | 1.30 | 1.53 |
| 19:00 | 84 | ნორვიჩი-ქოვენთრი 0:1 | 4.60 | 3.60 | 1.50 | | | |
| 19:00 | 85 | პრესტონი-იფსვიჩი | 2.15 | 3.20 | 3.30 | 1.28 | 1.30 | 1.62 |
| 19:00 | 86 | პრესტონი-იფსვიჩი 0:1 | 3.80 | 3.60 | 1.60 | | | |
| 19:00 | 87 | რედინგი-ნოტინგემი | 1.60 | 3.50 | 6.20 | 1.09 | 1.27 | 2.23 |
| 19:00 | 88 | რედინგი-ნოტინგემი 0:1 | 2.40 | 3.40 | 2.20 | | | |
| 19:00 | 91 | საუთჰემპტონი-კარდიფი | 2.80 | 3.20 | 2.45 | 1.49 | 1.30 | 1.38 |
| 19:00 | 92 | საუთჰემპტონი-კარდიფი 1:0 | 1.50 | 3.60 | 4.60 | | | |
| 19:00 | 93 | სუონსი-ჩარლტონი | 1.65 | 3.50 | 5.50 | 1.12 | 1.26 | 2.13 |
| 19:00 | 94 | სუონსი-ჩარლტონი 0:1 | 2.60 | 3.30 | 2.15 | | | |
| 19:00 | 95 | უოტფორდი-კრისტალ პალასი | 2.30 | 3.20 | 3.00 | 1.33 | 1.30 | 1.54 |
| 19:00 | 96 | უოტფორდი-კრ. პალასი 0:1 | 4.20 | 3.50 | 1.55 | | | |
| 19:00 | 97 | ბარნსლი-ქპრ | 2.45 | 3.20 | 2.80 | 1.38 | 1.30 | 1.49 |
| 19:00 | 98 | ბარნსლი-ქპრ 0:1 | 5.00 | 3.60 | 1.45 | | | |
| 19:00 | 99 | ვულვერჰემპტონი-პლიმუთი | 1.50 | 4.00 | 7.00 | 1.09 | 1.23 | 2.54 |
| 19:00 | 100 | ვულვერჰემპტონი-პლიმუთი 0:1 | 2.10 | 3.50 | 2.55 | | | |
| | | 1 მარტი | | | | | | |
| 16:15 | 89 | შეფილდი-ბირმინგემი | 2.50 | 3.20 | 2.75 | 1.40 | 1.30 | 1.47 |
| 16:15 | 90 | შეფილდი-ბირმინგემი 0:1 | 4.60 | 3.60 | 1.50 | | | |
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | 28 თებერვალი | | | | | | |
| 19:00 | 104 | სტოკპორტი-ჰადერსფილდი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 19:00 | 105 | ტრანმერი-სუინდონი | 1.75 | 3.30 | 4.40 | 1.14 | 1.25 | 1.88 |
| 19:00 | 106 | ბრაიტონი-ქრიუ | 1.95 | 3.20 | 3.55 | 1.21 | 1.25 | 1.68 |
| 19:00 | 107 | უოლსოლი-იოვილი | 1.90 | 3.20 | 3.75 | 1.19 | 1.26 | 1.72 |
| 19:00 | 108 | კარლაილი-როვერსი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 19:00 | 109 | ჩელტენემი-ნორთჰემპტონი | 2.45 | 3.20 | 2.60 | 1.38 | 1.26 | 1.43 |
| 19:00 | 110 | კოლჩესტერი-ჰარტლპული | 1.90 | 3.20 | 3.75 | 1.19 | 1.26 | 1.72 |
| 19:00 | 111 | ჰერეფორდი-ლეიტონი | 2.35 | 3.20 | 2.80 | 1.35 | 1.27 | 1.49 |
| 19:00 | 112 | ლიდსი-სქანთორპი | 1.90 | 3.20 | 3.75 | 1.19 | 1.26 | 1.72 |
| 19:00 | 113 | მილუოლი-ოლდემი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 19:00 | 114 | დონსი-ლესტერი | 2.50 | 3.10 | 2.60 | 1.38 | 1.27 | 1.41 |
საქმეში გუნდის კაპიტანი, ნორმანდიის გმირი ვესტვუდი და მანჩესტერის რაბინიც კი ჩაერივნენ, რათა განრისხებული ქომაგები ოდნავ მაინც დაეშოშმინებინათ.

ვესტვუდმა საჯაროდ თქვა, რომ მისი გუნდის გასახდელში ომი არ იქნება.

რამდენიმე მატჩის შემდეგ სიტელი ფანები მოლბნენ და ტრაუტმანისკენ გული მოუბრუნდათ, მაგრამ გასვლით მატჩებში მაინც შეურაცხყოფდნენ.

1950 წლის იანვარში „სიტი" სათამაშოდ ლონდონში „ფულემს" ესტუმრა, რომელიც მაშინ მანჩესტერელებზე გაცილებით ძლიერი იყო.

დედაქალაქში ტრაუტმანის გამოჩენას აჟიოტაჟი მოჰყვა და სტადიონზე ხალხიც ბლომად შეიკრიბა.

ყოფილ გერმანელ პარაშუტისტს ჯერ კიდევ მატჩის დაწყებამდე უსტვინეს და აგინეს.

დაიწყო თამაში და „ფულემის" ფანები ცოტა მიწყნარდნენ. „სიტიმ" ერთი გოლი მაინც გაუშვა, მაგრამ ტრაუტმანმა ისეთები მოიგერია, რომ ნამატჩევს მთელი სტადიონი ფეხზე წამოუდგა და ტაში არ დაიშურა.

რამდენიმე წლის შემდეგ ბერტი ინგლისის ჩემპიონატის საუკეთესო მეკარე გახდა და „სიტის" წარმატებაც მოვიდა.

ტრაუტმანის ყიდვა „შალკეს" უნდოდა, მაგრამ ფასზე ვერ მორიგდნენ. გერმანელები ათას გირვანქას იხდიდნენ, ინგლისელები 12 ათასს ითხოვდნენ.



1955 წელს „სიტი" ინგლისის თასის ფინალამდე მივიდა და წააგო.

მომდევნო სეზონშიც იგივე მოახერხეს და ეს მატჩი ისტორიაში შევიდა...

...75-ე წუთზე „სიტი" „ბირმინგემს" 3:1-ს უგებდა. კარიდან ბურთის დასაჭერად გამოსულ ტრაუტმანს კეფაში პიტერ მერფის ფეხი მოხვდა.

მეკარე უგონოდ დაეცა.

ექიმმა მოასულიერა, მაგრამ ისევ შეუძლოდ იყო. მაშინ შეცვლა არ არ შეიძლებოდა და ბერტიმ თამაში გააგრძელა.

„რაღაც უცნაური შეგრძნება მქონდა — გაიხსენა მოგვიანებით სიტელმა მეკარემ — უცბად ფერების აღქმის უნარი დავკარგე. ყველაფერს ნაცრისფრად ვხედავდი, თითქოს ნისლში დავეხეტებოდი. ფეხბურთელებსაც გარკვევით ველარ ვარჩევდი.

საერთოდ არ მახსოვს, რას ვაკეთებდი ბოლო წუთებზე.

მითხრეს, რომ რამდენჯერმე ბურთი მოვიგერიე. გული მიმდიოდა და კისერს ხელით ვიჭერდი.

ედინბურგის ჰერცოგმა დაჯილდოებისას მკითხა, ხომ არ გტკივაო, რაზეც ვუპასუხე, რომ ეს კბილის ძლიერ ტკივილს ჰგავსმეთქი".

ექიმებმა მაშინვე ვერ გაიგეს რა დაემართა ტრაუტმანს.

სამი დღის შემდეგ რენტგენმა აჩვენა, რომ კისრის ხუთი მალა იყო ადგილნაცვალი, ერთი კი ორად გაპობილი.

„თქვენ სამი დღის მკვდარი უნდა იყოთ" — ახარა პაციენტს პროფესორმა გრიფიტსმა.

გაპობილი მალა შემთხვევით სხვა ორ მალას შორის მოექცა და მეკარე ამან გადაარჩინა.

რამდენიმე თვეში ტრავმა მოირჩინა, ისევ კარში ჩადგა და კვლავ ერთ-ერთი საუკეთესო იყო დიდი ტრაგედიის მიუხედავად — ტრაუტმანის ხუთი წლის შვილს მანქანა დაეჯახა და ადგილზე მოკლა. ამის მერე კი ცოლიც გასცილდა.

ბერტს ეყო ძალა საიმისოდ, რომ თამაში გაეგრძელებინა და კარიერა ორმოცდასამ „ველინგტონში" დაასრულა.

მოგვიანებით ინგლისში და გერმანიაში მწვრთნელობდა, თუმც დიდი მწვრთნელი მისგან არ გამოვიდა.

სამაგიეროდ, დიდი მეკარე იყო. პენალტების ნახევარზე მეტი ჰქონდა მოგერიებული. მეტ ბასბი თავის ფეხბურთელებს თურმე ასე არიგებდა „სიტისთან" თამაშის წინ:

„პენალტისას არ იფიქროთ, საით უნდა დაარტყათ. ჯერ დაარტყით და მერე იფიქრეთ, თორემ ტრაუტმანი თქვენს აზრებს წაიკითხავს".

ბერტი ფეხბურთის გარდა ხელბურთითაც ერთობოდა. საშინლად ძლიერი მაჯა ჰქონდა და მის ნასროლ ბურთს წინ ვერავინ უდგებოდა.

სწორედ მან დაიწყო ინგლისში ბურთის ხელით შორს გადაგდება და მალე მას სხვა მეკარეებმაც მიბაძეს.

ბერნჰარდ ტრაუტმანს არ უყვარს ომის ამბების გახსენება: „მაშინდელს არაფერს ვინახავ. არასოდეს მქონია სურვილი, ვყოფილიყავი გულადი ჯარისკაცი. გერმანიის არმიაში, ბრძანების შეუსრულებლობის გამო უბრალოდ ხვრეტდნენ".

2004 წელს პაპა ბერტი ბრიტანეთის იმპერიის ორდენით დააჯილდოვეს ინგლისგერმანიის მეგობრობის საქმეში შეტანილი წვლილისთვის.

ყოფილმა პარაშუტისტმა საფეხბურთო კარიერა იმით დაიწყო, რომ მანჩესტერში 20-ათასიანი საპროტესტო დემონსტრაცია გაიმართა „სიტიში" მისი გადაყვანის გამო.

მერე 60 ათასი კაცი იკრიბებოდა ბერტის თამაშის სანახავად.

ამ გზის გამვლელს ორდენზე მეტიც ეკუთვნის.

85 წლის ბერნჰარდ ტრაუტმანი მესამე ცოლთან ერთად ვალენსიაში ცხოვრობს.

**მაკა ხუციშვილი**

# ძვალი: ხორცსაკეპის დისკვალიფიკაცია




**„ნიუკასლი“** — „ევერტონის“ პირველი ტაიმის ბოლოს მასპინძელმა კევინ ნოლანმა სტუმარ ვიქტორ ანიჩებეს წვივში ქაცვები ისე ჩააზილა, კინალამ დაუფშვნა.

ნოლანი გააძევეს და სამმატჩიანი დისკვალიფიკაციაც დააწიეს.

ანიჩებე შეცვალეს — მოტეხილობას გადაურჩა.

„მსგავსი ტკივილი ცხოვრებაში არ განმიცდია — თქვა ანიჩებემ — იმ წამს გამიელვა, რომ ფეხი მომტყდა და შიშისგან ვერც დავხედე.

ბედად მსხვილი ძვალი და ძლიერი კუნთები მაქვს, თორემ სხვას ჩემ ადგილზე, ფეხს ორად გაუპობდა.

ადრე არასოდეს მიფიქრია, რომ შეიძლება დიდი ხნით გამოვაკლდე ფეხბურთს, მაგრამ ნოლანმა ისე ჩამცხო, კი გავიფიქრე: აი, ჩემი დროც მოვიდა. ახლა ტკივილი მაწუხებს, მაგრამ მთავარია, რომ ფეხი არ მომტყდა“.

ჩამრტყმელი ნოლანი ფეხნატკენს გასახდელისკენ მიმავალ გვირაბში დაელოდა და მოუბოდიშა.

**როგან თურქია**



# ზეპ ბლატერმა განსხვავებული მოითხოვა

**ფიფას** პრეზიდენტი ზეპ ბლატერი ჩეხეთის და ამჟამად ევროკავშირის პრეზიდენტ ვაცლავ კლაუსს დახმარებას სთხოვს.

ფიფას შეფს მიაჩნია, რომ ეროვნულ ჩემპიონატებში კლუბებს მოედანზე აუცილებლად უნდა ჰყავდეს სულ მცირე ექვსი ისეთი ფეხბურთელი, რომლებსაც ამ ქვეყნის ნაკრებში თამაშის უფლება ექნება.

მოედანზე ერთდროულად მყოფი უცხოელების ლიმიტი ხუთს არ უნდა ასცდეს, თუმც კლუბებს უცხოელების ოხრად ყიდვაში არ შეზღუდავენ.

ევროკავშირის შრომის ახლანდელი კანონით, მუშაობის უფლება შეზღუდული არაა და ამის შედეგია, რომ მაგალითად, ლონდონის „არსენალის“ ძირითად შემადგენლობაში ინგლისელს ვერ იპოვით.

„არ შეიძლება, რომ ფეხბურთი სხვა სამუშაოებს შევადაროთ. ეს სპეციფიური საქმეა და განსხვავებული მიდგომა სჭირდება“ — თქვა ბლატერმა კლაუსთან შეხვედრისას.

**ვაჟა ხუციშვილი**

# მინდა მე ადვოკატები?

**„სიტის“** უელსელმა ფორვარდმა კრეიგ ბელამიმ თქვა, რომ რობინიოსთან გასაყოფი არაფერი აქვს.




ბრიტანულ მედიაში დაწერეს, თითქოს „პორტსმუთთან“ წაგებული მატჩის მერე ბრაზილიელი და უელსელი წაკინკლავდნენ და მას აქეთ ერთმანეთთან უბრობენ.

გამოყონა სხვა ამბავმაც — სიტელები უკმაყოფილონი არიან კლუბის შეფებისგან რობინიოსადმი განსაკუთრებული დამოკიდებულებით: ბრაზილიელი საერთო წესებს არ ემორჩილება და თავის ნებაზე მიდი-მოდის.

ბელამიმ რობინიოსთან ჩხუბის ამბავს მონაჩმახი უწოდა, ჩემზე ეგეთები, სამწუხაროდ, არაერთხელ დაუწერიათო.

„ეს ხომ ძალიან ადვილია და ჩემთვის ახალი არ არის, ბელამის სახელს შარიან ამბავში რომ ურევენ. ბრაზილიელთან არანაირი პრობლემა არ მაქვს.

ასეთი ტყუილების გამო ერთი წლის განმავლობაში 14 გაზეთს ვუჩივლე. ამჯერადაც ის გაზეთი იქნებოდა, რომელიც სამჯერ მივიყვანე სასამართლოს კართან.

ახლაც შემიძლია იგივე გავაკეთო, მაგრამ მინდა მე ადვოკატებთან სირბილი? ეს უკვე ძალიან მომწყინდა და მივეჩვიე, რომ ჩემი კარიერის მანძილზე მსგავსი სისულელეები სულ თან უნდა მდევდეს“.

**ირაკლი ნინიძე**

# არტეტობა დამთავრდა



**„ევერტონის“** ესპანელი ლეგიონერი მიკელ არტეტა დაშავდა და სეზონი ნაადრევად დაასრულა.

„ნიუკასლთან“ მატჩში ნახევარმცველს მუხლის ჯვარედინი მყესები გაუწყდა და სულ მცირე, სამი თვე ბურთს ველარ გაეკარება.

არტეტას გარდა „ევერტონს“ ტრავმირებული ჰყავს ლუი საა და მარუან ფელაინი.

# აგირემ თავი გაწია



**მადრიდის** „ატლეტიკოს“ ყოფილმა მწვრთნელმა ხავიერ აგირემ მექსიკის ნაკრებისგან თავი შორს დაიჭირა.

მექსიკელებს სვენ გორან ერიკსონი თავკაცობს, რომლისგანაც ხეირი არ ჩანს და ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას შვედი აქანდაზზე უზის. „მექსიკელი ვარ და სამშობლოში შვებულებით ჩამოვედი. ნაკრებში მუშაობას არ ვაპირებ, რადგან მას საკმაოდ მცოდნე მწვრთნელი ჰყავს. მე კარიერის გაგრძელება კვლავ ევროპაში მსურს“ — თქვა აგირემ.

# ჩაწერე: შუმახერი 875 ევრო




**ფორმულა 1-ის** ლეგენდამ მიხაელ შუმახერმა 875 ევრო გაიმეტა ლუკაშ პოდოლსკის ტრანსფერისთვის.

პოდოლსკის „კიოლნი“ „ბაიერნიდან“ ყიდულობს და ამისთვის 10 მილიონი ევრო სჭირდება, რომელიც კლუბს არ გააჩნია.

„კიოლნის“ ვებგვერდზე აქციაა: ლუკაშ პოდოლსკის სურათი 40 ათას კვადრატადაა დაყოფილი და თითო კვადრატი 25 ევროდ იყიდება. ამ გზით 10 მილიონის შეგროვებას აპირებენ.

ამ დროისთვის 100 ათასი ევროს ღირებულების ფართი უკვე გაყიდულია.

„საკუთარი გულის თქმას უნდა მიჰყვე და ეს მუდამ კარგი იქნება — დაუწერა შუმახერმა პოდოლსკის — ამას ჩემი გამოცდილებიდან გეუბნები. ახლა უნდა დაამტკიცო, რომ „კიოლნი“ შენი გუნდია“.

პოდოლსკი „კიოლნიდან“ წაიყვანა „ბაიერნმა“, მაგრამ მიუნხენურ კლუბში ჩაიკარგა, მიხაელ შუმახერი კი „კიოლნის“ ფანია.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ფლეტჩერის სახლს დაესხნენ

**სამმა** შეიარაღებულმა ბანდიტმა დარენ ფლეტჩერის სახლი გაძარცვა.



ყაჩაღებმა „მანჩესტერის“ ფეხბურთელი იტალიაში დაიგულეს და ორშაბათს მის ბინას ესტუმრნენ. ალექს ფერგიუსონის გუნდი მილანში „ინტერთან“ სათამაშოდ იყო ჩასული.

მძარცველებმა კარი შეანგრიეს, ფლეტჩერის ცოლს დანის მუქარით ნიშნობის ბეჭედიც წაჰგლიჯეს და ძვირფასეულობის სამალავიც გაახსნევინეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მხარჩასმულის გალაობა



„გალათასარაის" მწვრთნელად ბულენთ ქორქმაზი დანიშნეს.

ფეხბურთელობისას ფანებისგან „დიდ კაპიტნად" მონათლულმა მცველმა მიხაელ სკიბეს ადგილი დაიკავა და მისავათებული „გალა" უნდა მოაფერიანოს.

ქორქმაზი გუნდს 2010 წლის ივნისამდე უთავკაცებს.

„დიდ კაპიტანს" რვაჯერ მოუგია თურქეთის ჩემპიონატი „გალათასარაის" ფორმით, ერთხელ უეფას თასი და ნაკრებში 102 მატჩი უთამაშია.

იგი 2006-დან მწვრთნელობს და უკვე გაიარა პრაქტიკა „ქაისერში", „ბურსაში" და „გენჩლერბირლიგში".

ბულენთ ქორმაზის გარდა კანდიდატი გეორგე ჰაჯიც იყო — ასევე „გალას" ლეგენდა — მაგრამ რუმინელმა გრძელვადიანი კონტრაქტი მოითხოვა და ამაზე ვერ მორიგდნენ.

2000 წელს „არსენალთან" უეფას თასის ფინალში ქორქმაზს მხარი ამოუვარდა, იქვე ექიმს ჩაასმევინა და თამაში გააგრძელა.

გერმანელი მიხაელ სკიბე კი შარშან ზაფხულს დანიშნეს სტამბოლური გუნდის მწვრთნელად. მან სუპერთასი მოიგო სეზონის დასაწყისში, მაგრამ ჩემპიონთა ლიგაში ვერ შევიდა, რადგან ბუქარესტის „სტიაუამ" აჯობა.

„გალათასარაის" საქმე თებერვლის დასაწყისიდან აირია და ზედიზედ ხუთ მატჩში ვერმოგების გამო, სკიბეს გერმანიაში გასამგზავრებლად ბილეთის შეკვეთა მოუწია.

ამჟამად „გალა" მეხუთე ადგილზეა და ლიდერ „სივასსფორს" რვა ქულით ჩამორჩება.

**რომან თურქია**

# კრიტიკულად მიბმული

**კარლო ანჩელოტიმ** მხრების აჩეჩვით უპასუხა ცნობას მისი შესაძლო ჟოხნის შესახებ.

დერბიში „მილანის" მარცხმა და „კალიარისთან" მკრთალი თამაშის ფონზე უფერულმა მოგებამ, კვლავ ამოატივტივა სერია A-ს ყველაზე „ცოცხალი" მწვრთნელის გათავისუფლების საკითხი.

იტალიის ჩემპიონატში მწვრთნელები მიდი-მოდიან, ანჩელოტი კი 2001 წლიდან უცვლელია.

მის ხელში მილანელებმა ჩემპიონთა ლიგა ორჯერ (2003, 2007) მოიგეს, მაგრამ იტალიის ჩემპიონობას მხოლოდ ერთხელ (2004) შესწვდნენ.

წინა სეზონში „მილანი" მეხუთე ადგილზე გავიდა და უეფას თასზე თამაშობს.

„ბუნებრივია, რომ როცა სათადარიგოთა საკამზე შვიდი წლის განმავლობაში ერთი და იგივე სახე ჩანს, კრიტიკაც ყოველი წაფორხილების შემდეგ მატულობს, მაგრამ მე ისე ვარ მიბმული ამ გუნდზე და მის ფანებზე, რომ კრიტიკას გაგებით და მშვიდად



ვხვდები. „მილანი" საუკეთესო ფეხბურთს ვერ აჩვენებს, თუმც ეს დროებითია და უკეთესობას უნდა ველოდოთ" — თქვა ანჩელოტიმ.

**ირაკლი ნინიძე**





მანსურ ბინ ზაიედ ალ ნაჰაიანი და მარინა ბერლუსკონი

# შეიხმა მანსურმა მარინასთან შეიხედა

**„მანჩესტერ სიტის"** პატრონი მანსურ ბინ ზაიედ ალ ნაჰაიანი „მილანის" აქციების 40 პროცენტის ყიდვას ლამობს.

არაბი შეიხი ამ ქაღალდების სანაცვლოდ 500 მილიონი ევროს გადამხდელია.

„კორიერე დელა სერა" წერს, რომ „სიტის" მფლობელს „მილანისთვის" ასეთი წინადადებით მას შემდეგ მიუმართავს, რაც კაკას ტრანსფერი ჩაეშალა.

იანვარში კაკაში ბინ ზაიედი 108 მილიონ ევროს აჩეჩებდა სილვიო ბერლუსკონის, მაგრამ გარიგება ბრაზილიელის უარის გამო არ შედგა.

იტალიური გაზეთის ვარაუდით, ბერლუსკონის ფირმა „ფინინვესტი" — „მილანის" ფაქტობრივი მფლობელი — არაბის შეთავაზების განსახილველად მზადაა.

„ფინინვესტს" კი სილვიო ბერლუსკონის შვილი მარინა ბერლუსკონი განაგებს, ვისაც არაერთხელ დაუწუწუნია, რომ ამხელა კლუბის შენახვა მისი კომპანიისთვის დიდი ტვირთია.

# ასაუერმა გადახაზა

**„შალკეს"** ყოფილმა გენერალურმა მენეჯერმა რუდი ასაუერმა კლუბთან მეგობრობას ხაზი გადაუსვა.



2006 წლის აგვისტოში თანამდებობიდან წასულმა, ადგილი ანდრეას მიულერს დაუტოვა, ვისთანაც კარგი ურთიერთობა ჰქონდა, მაგრამ ამ ურთიერთობისგან აღარაფერი დარჩა.

„ჩემთვის „შალკე" დასრულებული ამბავია. მათთვის რჩევის მიცემას აღარ ვაპირებ. მე საკმაოზე მეტი გავაკეთე ამ კლუბში მომუშავე ხალხისთვის და მათ აღარანაირი უფლება არ აქვთ, რომ კიდევ რამე საკითხზე მომმართონ. თუნდაც ანდრეას მიულერი, რომელიც ჩემი რეკომენდაციით დააწინაურეს".

ასაუერის ხელში გუნდმა უეფას (1997) და ორჯერ გერმანიის თასი მოიგო, მაგრამ ჩემპიონი ვერ გახდა.

მისი აზრით, მაშინდელი „შალკე" გაცილებით ძლიერი გუნდი იყო, ახლანდელი კი ძველთან შედარებით ძალიან სუსტია.

„მოედანზე რომ არაფერი გამოსდით და ვერაფერს იგებენ, უნიჭო მენეჯმენტის ბრალია. ფინანსურადაც უკვე უჭირთ. მე მათ ვაფრთხილებდი, მაგრამ ყური არავინ მიგდო. ევროთასებიდან შემოსავლები რომ არ აქვთ, ეს კიდევ უფრო ართულებს საქმეს.

გერმანიის ჩემპიონობას კიდევ კარგა ხანს ვერ შესწვდებიან, უეფას თასზე და ჩემპიონთა ლიგაში იღბლის წყალობით თუ მოხვდებიან და იქიდანაც მალე გავარდებიან.

მე „აუფ შალკეზეც" კი აღარ დავდივარ. კარგი ფეხბურთის ნახვა მსურს, მაგრამ „შალკესგან" მსგავსი ვერაფერი დავინახე. ამიტომაც გადავუსვი ხაზი. მხოლოდ ფანებს ვცემ პატივს, რომლებიც ასეთ ცუდ გუნდს ნამდვილად არ იმსახურებენ".

**მაჩა ხუციშვილი**



# გვიჩვენე შენი ხუთეული

ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალამდე მანჩესტერელებმა უეინ რუნიმ და რიო ფერდინანდმა, ასევე ლივერპულელმა ფერნანდო ტორესმა და ჩელსელმა ჯო კოულმა „ნაიკის" ახალ სარეკლამო კლიპში მიიღეს მონაწილეობა. სიუჟეტი ასეთია: მსაჯი (რიო ფერდინანდი) უეინ რუნის უყვირის, სად ხარ აქამდე, შენი გუნდი მარცხდებაო. მერე კი ფეხბურთი ჩაღდება. ამ სარეკლამო კლიპით „ნაიკი" თავისივე ორგანიზებულ ახალ ტურნირს წარმოგვიდგენს. ტურნირს „გვიჩვენე შენი ხუთეული" ჰქვია და მასში 16-24 წლის ასაკის ფეხბურთელები მიიღებენ მონაწილეობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მაინც რატომ უსწრებს მანჩესტერი ლივერპულს?

## მარტივი და გენიალური სისტემა

**ზოგჯერ მომხდარის ახსნა ბანალურად შეიძლება: პრინცესა დაიანა იმიტომ დაილუპა, რომ მძღოლი ნასვამი იყო და სიჩქარეს გადააჭარბა, ნიუ-იორკში „ტყუპები“ ტერორისტებმა ააფეთქეს და არა ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის აგენტებმა და ასე შემდეგ...
ამ სიას შეგვიძლია მივუმატოთ ისიც, თუ რატომ უსწრებს „მანჩესტერი“ „ლივერპულს“ . ახსნა მარტივია: „მანჩესტერი“ უფრო ძლიერია.**



**ეს სენტენცია** ევებ მოულოდნელი იყოს მათთვის, ვინც ამ სეზონში ელოდა ჩემპიონობისთვის დიდ ბრძოლას რამდენიმე გუნდს შორის, მაგრამ ყველამ ნახა, რომ მითი მალევე დაიმსხვრა.

„ლივერპული“ ცხრილის თავიდან გაქრა, რაც რამდენიმე ფაქტორის გამო მოხდა.

ალექს ფერგიუსონის ფსიქოლოგიურმა ომებმა ბენიტესის წინააღმდეგ, არეულობამ „ლივერპულის“ დირექტორთა საბჭოში და ბენიტესის ახალ კონტრაქტზე დაუსრულებელმა საუბარმა, მერსისაიდული კლუბის თამაშზე ცუდად იმოქმედა — ეს კარგი მასალაა ანალიტიკოსებისთვის, კომენტატორებისთვის და საგაზეთო სათაურების დამწერთათვის, მაგრამ არა ჩემთვის.

ჩამოთვლილ ხალხს მე სიამოვნებას არ წავართმევ, მაგრამ ყველაფერი გაცილებით მარტივად მიმაჩნია.

ავიღოთ „მანჩესტერის“ ოპტიმალური შემადგენლობა და შევადაროთ „ლივერპულისას“.

კითხვა: რაფაელ ბენიტესის რამდენი ფეხბურთელი მოხვდება ალექს ფერგიუსონის გუნდის ძირითად შემადგენლობაში? ალბათ, სამი ან ოთხი. ამის გათვალისწინებით, არანაირი პირობა არ არსებობს საიმისოდ, რომ „ლივერპულმა“ ასეთი შემადგენლობით ამ სეზონში, ან მომდევნოში, „მანჩესტერს“ აჯობოს.

ეს ჩემი სისტემა იდეალური არაა მომავალი ჩემპიონების გამოსაცნობად და ვერ ახსნის, მაგალითად იმას, თუ რატომ ვერ გახდა შარშან ინგლისის ნაკრები ევროპის ჩემპიონი.

ამ სისტემის გამოყენებით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ „ლივერპული“ „ჩელსიზე“ მაღლა იქნება, ოღონდ მცირე სხვაობით.

„მანჩესტერი“ კი „ჩელსის“ ბევრით გაუსწრებს, რადგან ფერგიუსონის ამჟამინდელ გუნდში ჰიდინკის გუნდიდან მხოლოდ ერთი კაცი, ფრენკ ლამპარდი თუ მოხვდება.

ძალიან რომ მოვინდომოთ, ეშლი კოულს და ჟოზე ბოსინგვასაც ჩავსვამთ.

ეს შეფასებები, ზოგადად, ფეხბურთელების კლასზე კი არა, საამსეზონო ფორმაზე დაყრდნობით კეთდება. ამიტომ, გამორიცხული არაა, რომ ოდესმე პეპე რეინა უფრო მაგარი მეკარე გახდეს, ვიდრე ვან დერ სარი, რომელიც ახლა რეკორდს რეკორდზე ამხობს.

მაგალითად, ხავიერ მასკერანო წინა სეზონში ისეთი კარგი იყო, რომ ნებისმიერი ძლიერი გუნდის ძირითად შემადგენლობაში უპრობლემოდ ითამაშებდა, ამჟამად კი საშინელებაა. ალბათ, შარშანდელმა ოლიმპიადამ ავნო.

ასე რომ, სულ ორი ლივერპულელი ფეხბურთელი რჩება, ვინც ფერგიუსონის გუნდში გაქჩავს — ჯერარდი და ტორესი.

რაფაელ ბენიტესმა ძალიან გაახბუქა ის ამბავი, რომ ალექს ფერგიუსონის საშობაო კომენტარებმა, „ლივერპული“ ცხრილის თავში დიდხანს ვერ გაძლებსო, ფსიქოლოგიურად დათრგუნა მისი გუნდი და ამიტომაც აეწეწათ საქმე.

მეორე მხრივ, მისი წუწუნი გასაგებია, „ლივერპულის“ სისუსტე ისეთივე აშკარაა, როგორც „მანჩესტერის“ სიმძლავრე.

„არსენალის“ მწვრთნელი არსენ ვენგერი აბსოლუტურად მართალია, როცა ამბობს, რომ 1996 წელს „ნიუკასლი“ დაცვის სისუსტის გამო ვერ გახდა ჩემპიონი და არა იმის გამო, რომ ალექს ფერგიუსონმა „ნიუკასლის“ მწვრთნელს კევინ კიგანს ნერვები მოუშალა. „მანჩესტერს“ უკეთესი დაცვა ჰყავდა და ჩემპიონატიც მოიგო.

„მანჩესტერში“ ალბათ, არასოდეს ყოფილა ისეთი შემადგენლობა, როგორიც ახლაა.

მარჯვენა მცველობაზე პრეტენზია აქვთ გარი ნევილს, უესლი ბრაუნს და რაფაელ და სილვას.

რუნის კონკურენტები არიან რონალდუ, ტევესი და ბერბატოვი.

ასეა ყველა პოზიციაზე, მაგრამ ამას თავი დავანებოთ და რაფაელ ბენიტესს დავუბრუნდეთ.

ბენიტესის კონტრაქტის განახლებაზე ატეხილმა ამბავმა ევებ ავნო კიდეც ესპანელის გუნდს, მაგრამ ეს არაფერს ცვლის იმ საკითხში, რომ „მანჩესტერი“ „ლივერპულზე“ ძლიერია.

ესპანელი მწვრთნელი ვერ ურიგდება აღმასრულებელ დირექტორ რიკ პერის და კლუბის თანამეპატრონე ჯორჯ ჯილეტთანაც დაძაბული ურთიერთობა აქვს.

ნაცვლად იმისა, რომ ეს პრობლემები მოეგვარებინა, „ლივერპულის“ მწვრთნელი ფერგიუსონს აჰყვა სიტყვიერ ომში და რაც მოიგო, ვნახეთ კიდეც.

რეალობა ისაა, რომ „მანჩესტერი“ „ლივერპულს“ ჯობია. მანჩესტერელთა შემადგენლობა იმდენად ძლიერი იყო, რომ სათადარიგოთა სათადარიგოც კი, მაგალითად, მიკაელ სილვესტრი, ძალიან კარგ გუნდში, „არსენალში“ გადავიდა.

ახალგაზრდა ბენ ფოსტერი და ჯონი ევანსიც უპრობლემოდ ეწრებიან „მანჩესტერში“.

ალექს ფერგიუსონს შეუძლია, მოედნის ცენტრში გიგზი და ფლეტჩერი ათამაშოს და „ჩელსის“ მოუგოს.

მომდევნო მატჩში ცენტრს კარიკი, სქოულზი ან ანდერსონი დაიკავებს და გუნდი მაინც იგებს.

რაფაელ ბენიტესს რომ ჰყავდეს ეს ფეხბურთელები, რაღა გაუჭირდებოდა, ჩემპიონი გახდებოდა.

„ლივერპულს“ კვლავაც აქვს პირველობის შანსი და „ოლდ ტრაფორდზე“ ბრძოლა ელის. შოკი ის იქნება, „მანჩესტერმა“ პრემიერლიგა რომ ვერ მოიგოს.

ასე თუ მოხდება, ახალი გამოკვლევის ჩატარება მომიწევს: კვლავ ერთგულია თუ არა რონალდუ „მანჩესტერის“, ბერბატოვის მისვლამ გუნდის იდილია ხომ არ დაარღვია და გასაგებად უხსნის თუ არა დავალებას ფერგიუსონი ტევესს.

**მარტინ სამუელი**

***დეილი მეილი***



**პრინცესა დაიანა მთვრალი მძღოლის გამო დაიღუპა**



**„ტყუპები“ ტერორისტებმა ააფეთქეს**



ადრიანოს გოლი მილანურ დერბიში



პიერლუიჯი კოლინა

# მელოტი არ არის ყველა თავი, რომელიც ბრწყინავს

**იტალიელ** მსაჯთუხუცესმა პიერლუიჯი კოლინამ არბიტრების ვექილობა იკისრა და თქვა, რომ ყოველთვის ჯარიმა არაა, როცა ბურთი ფეხბურთელს ხელზე ხვდება.

მილანურ დერბიში გოლი აშკარად ადრიანოს მკლავით გავიდა „მილანის" კარში და ერთი შეხედვით არჩასათვლელი, რობერტო როსეტიმ მაინც ჩათვალა. ადრიანომ ბურთს თავი დაჰკრა, მაგრამ მერე მკლავში მოხვდა.

ამას მოჰყვა გარჩევა.

გასულ შაბათს ადრიანომ ისევ უნებლიედ იხელმრუდა. „ბოლონიასთან" მატჩში დერბული სურათი გამეორდა. ბრაზილიელმა ბურთს თავი დაარტყა, ისევ მკლავში მოხვდა და კამბიასოს მიუვიდა, რომელმაც გაიტანა.

ზედიზედ ორი მსგავსი ამბის მერე პიერლუიჯი კოლინა სიტყვით გამოვიდა:

„ბოლო მატჩებში მომხდარის გამო აურზაურის ატეხვა არ ღირს. ნებისმიერი არბიტრი ასეთ შემთხვევებში თვითონ წყვეტს, ჯარიმაა თუ არა.

ზოგჯერ ფეხბურთელი შეგნებულად თამაშობს ხელით, ზოგჯერ კი უნებლიედ ხვდება.

მსგავს ვითარებაში მსაჯი უნდა დააკვირდეს მოთამაშის ხელის მოძრაობას, მაგრამ თანამედროვე ფეხბურთი ისეთი სწრაფია, რომ თვალის მიყოლება ჭირს.

ორივე ეპიზოდისას ადრიანოს ხელი განზრახ არ უხმარია, ამიტომ არასწორი იქნება მის დისკვალიფიკაციაზე საუბარი".

ვაჟა ხუციშვილი

# მარადონა დიდ ავიაციაში დაბრუნდა



მარადონა მეგობრებთან ერთად: უგო ჩავესი და ევო მორალესი

**დიეგო მარადონამ** ბოლივიასთან შეხვედრის წინ ფეხბურთელები შეაგულიანა — სიმაღლის არ შეგეშინდეთო.

აპრილში მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩს არგენტინელები ბოლივიის დედაქალაქ ლა პასში 3600 მეტრ სიმაღლეზე გამართავენ.

ფიფამ ერთი ხანობა აკრძალა კიდეც 2750 მეტრზე მაღლა ბურთის დევნა, მაგრამ ამას დიდი საპროტესტო ამბები მოჰყვა და მოგვიანებით ფიფელებმა სიტყვა უკან წაიღეს.

ამ პროტესტში მარადონაც გაერია და ბოლივიის პრეზიდენტ ევო მორალესთან ერთად ლა პასში საქველმოქმედო მატჩიც გაატარა.

„ჩვენ ამ რთული პირობების გათვალისწინებით მოვემზადებით, რაც ამხელა სიმაღლეზე გველის — თქვა მარადონამ — პროფესიონალ ფეხბურთელს ამის არ უნდა ეშინოდეს. ოდნავაც თუ შეგეშინდა, თავდაჯერებული ველარ იქნები".

არგენტინა 28 მარტს ვენესუელას უმასპინძლებს — ეს იქნება მარადონას პირველი ოფიციალური შესარჩევი მატჩი — და ოთხი დღის მერე ლა პასში ითამაშებს.

დიეგო მარადონას დანიშვნის დღიდან ნაკრებმა ორი ამხანაგური შეხვედრა მოიგო. ჯერ შოტლანდიასთან, მერე კი საფრანგეთთან.

„მე იმ ფეხბურთელებს დავეყრდნობი, რომელბიც ამხანაგურებში ვნახე. მათ შეიგნეს, რომ არგენტინის ნაკრების მაისურა ყველაფერზე მაღლა დგას" — ბრძანა დიეგო არმანდო მარადონამ.

ვაჟა ხუციშვილი



ბოლივია საშინაო მატჩებს, აი, აქ ატარებს

# ქორწილის დეჟავიუ

**ყოფილი** სფაის-გოგო ვიქტორია ადამსი და ინგლისის ნაკრების ყოფილი კაპიტანი დევიდ ბექემი საქორწინო ცერემონიის კიდევ ერთხელ მოწყობას აპირებენ.

რატომ?

ივნისში ათი წელი შესრულდება, რაც ბექემები ცოლ-ქმარი არიან და გადაწყვიტეს, ურიგო არ იქნება, მაშინ მიცემულ ფიცს ერთხელაც თუ დავუდასტურებთ ერთმანეთსო.

ოჯახის მავანმა მეგობარმა „დეილი ექსპრესს" უთხრა, დევიდი ვიქტორიას გრანდიოზულ და ექსტრავაგანტულ ქორწილს კიდევ ერთხელ დაპირდა და ეს ამბავი ივლისის დასაწყისში მოხდება, როცა ბექემს „მილანთან" კონტრაქტის ვადა გაუვაო.

ისიც ითქვა, ბექემები ამ ცერემონიისთვის დიდძალი ფულის დახარჯვას ფიქრობენო, მაგრამ ისიც ხომ ვიცით, რომ დანახარჯს ერთი ორად ამოიღებენ ექსკლუზიური ფოტოების გაყიდვით.

ეს ივლისში, იქამდე კი, წინა კვირას, ბექემების უმცროსი შვილის,



ვიქტორია და კრუზი

კრუზის დაბადების დღე იყო — 4 წლის გახდა.

ვიქტორიამ შვილის დაბადების დღეზე დაქალები მიიპატიჟა, შვილები კი სამასკარადოდ გამოაწყო: კრუზი სპაიდერმენი გახლდათ, რომეო — ბეტმენი, ბრუკლინს კი მოკრძალებულად, „ლოს ანჯელეს გალაქსის" მამისეული მაისურა ეცვა.

ქოთე ქექელია



# ინტერმა მანჩესტერს მუშტით მოუგო



**„ინტერი"** — „მანჩესტერის" მატჩის შემდეგ „ინტერის" და მუშტის ქნევის ოთხმა ფანმა სტუმართა სამი გულშემატკივარი მიბეგვა.

11x11-ზე რომ ყოფილიყვნენ, ეგებ, ფრე დამთავრებულიყო, როგორც მატჩი, მაგრამ „მანჩესტერის" ქომაგები კაცნაკლულნი აღმოჩნდნენ და იტალიელებთან დამარცხდნენ.

მეტროს სადგურისკენ მშვიდად მიმავალ ინგლისელებს მაკარონით კარგად ნაკვები ოთხი ბიჭი გადაეღობა.

შედეგად, 28, 48 და 49 წლის ინგლისელები მილანის „სან კარლოს" საავადმყოფოს ძირითად შემადგენლობაში მოხვდნენ.

ერთს ცხვირი გაუტეხეს, მეორეს თავი, მესამე იოლად გამოძვრა. სამივეს დახმარება აღმოუჩინეს და გაუშვეს.

ვაჟა ხუციშვილი







# ბოსმანის წესით დასახსნელი ტოპ-10

## ჩვენ ვიცით, რას ჩაიდენთ მომავალ ზაფხულს

**„სარბიელი" ინგლისური„ სანის" ტრადიციულ ათეულებს კვლავაც გაგაცნობთ. ამჯერად იმ ფეხბურთელთა ათეულს შემოგთავაზებთ, რომლებსაც ამ სეზონის ბოლოს უმთავრდებათ მოქმედი კონტრაქტები. ეს კი ნიშნავს, რომ ეგრეთ წოდებული „ბოსმანის წესის" თანახმად, ისინი თავისუფალი აგენტები ხდებიან და მათი ყოფილი კლუბები სანაცვლოდ ველარაფერს მიიღებენ**

### 10. ლუკას ნილი

ავსტრალიელ ლუკას ნილს „ვესტ ჰემთან" განშორება მტკიცედ გადაუწყვეტია. ბევრს აკრიტიკებდნენ, კვირაში 70 000 ათას გირვანქას არ იმსახურებსო, მაგრამ 30 წლის მცველმა მაინც მკაფიო კვალი დატოვა „აპტონ პარკზე".

### 9. სტივ ჰარპერი

„ნიუკასლს" უკვე გამოეცალა შეი გივენი, მეორე მეკარე სტივ ჰარპერს კი ჯერ არ გადაუწყვეტია, დარჩეს თუ არა. „თავის" გუნდს თუ იპოვის და მოერგება, შეიძლება პრემიერლიგის პირველი მეკარეც კი გახდეს.

### 8. შონ დევისი

„ფულემის" და „ტოტენჰემის" ყოფილმა ნახევარმცველმა ბოლო ხანს თითქოს სტიმული დაკარგა, მაგრამ ჯერ მხოლოდ 29 წლისაა და კიდევ შეუძლია სადმე გაბრძოლება. ვარსკვლავურ „პორტსმუთში" ამ „მუშა ცხენს" დიდი გაქანება არა აქვს.

### 7. რაიან გიგზი

ის დღეები წარსულს ჩაბარდა, როდესაც გიგზს ძირითადში ადგილი გარანტირებული ჰქონდა. ზორან ტოშიჩის მისვლით 35 წლის ვარსკვლავის თამაში მომავალში, ალბათ, კიდევ მეტად შეიზღუდება. რომელიმე გუნდმა ორწლიანი კონტრაქტი რომ შესთავაზოს, იქნებ დასრულდეს კიდეც გიგზისა და „იუნაიტედის" მრავალწლიანი ურთიერთობა.

### 6. კარლოს კამენი

აფრიკელი მეკარეები ხშირად კლოუნებს გვანან, მაგრამ კამერუნელმა „ასმა" მყარი რეპუტაცია შეიქმნა 2004 წელს „ესპანიოლში" ჩარიცხვის შემდეგ. ის მალე 25 წლის ხდება და მსოფლიოს პირველ ნომრებში ვარსკვლავად ყალიბდება.

### 5. გარი ნევილი

რაფაელ და სილვას გამოჩენამ „იუნაიტედში" გარი ნევილის მომავალი სერიოზულად დანისლა. ინგლისის ნაკრების 34 წლის მცველს ახალი კონტრაქტს კი შეჰპირდნენ, მაგრამ ის ვეს ბრაუნის კონკურენციასაც ეჯახება და დიდი შანსია, უმცროსი ძმის კვალად გაეცალოს მშობლიურ კლუბს.

### 4. ემილ ჰესკი

ემილ ჰესკიმ 2004 წელს დატოვა „ლივერპული" და მაშინ ნაღდად ვერავინ წარმოიდგენდა, იგივე კლუბი რომ მიიწვევდა. უკვე 31 წლისაა, მაგრამ „უიგანში" ისე იყოჩაღა, რომ ინგლისის ნაკრებში ისევ უხმეს, მძლავრმა კლუბებმა კი მის ხელში ჩასაგდებად ერთმანეთში ბრძოლა ატეხეს.

### 3. მარკ ვან ბომელი

ჰოლანდიელ ნახევარმცველს „ბაიერნის" ახალი შეთავაზება ჭკუაში არ დაუჯდა და თვალი გარეთ გაექცა. „ტოტენჰემს" სამი წლის წინაც სურდა, მაგრამ ვან ბომელი „ბარსელონამ" დაითრია. მას 32 წლის ასაკშიც არა ერთი მსურველი უწრიალებს ტელეფონს.

### 2. დანიელ სტარიჯი

„მანჩესტერ სიტის" ამ ჯეელთან საქმე იდეალურად არ აეწყო. ახალი კონტრაქტი კი შესთავაზა, მაგრამ შესაძლოა, სტარიჯმა მაინც სხვაგან ისურვოს თამაშის გაგრძელება. მისი სხვაგანგამხედაობა კლუბის შეფებს დღე-ღამ უფორიაქებს გონებას.

### 1. მაიკლ ოუენი

ტრავმებმა ბოლო წლებში ბევრით აზარალა ოუენი, თუმცა 29 წლის ასაკში მისი ჩამოწერა მაინც დიდი შეცდომაა. ის ალბათ გაეცლება „ნიუკასლს". მსურველი კი ნამდვილად არ აკლია — ვის არ მოუნდება მოთამაშე, რომელსაც კარიერაში ყოველ მეორე თამაშში გოლი გააქვს.







ეროვნული ბიბლიოთეკა



## ჩემპიონთა ლიგა 2008–2009
### მერვედფინალი. პირველი მატჩები

# ფეხბურთი უცნაური თამაშია



არსენალელთა მეკარე მანუელ ალმუნიამ რამდენიმე რთული ბურთი მოიგერია

**ატლეტიკო 2:2 პორტუ**

**1:0 მაქსი როდრიგესი (3), 1:1 ლ. ლოპესი (22), 2:1 ფორლანი (45), 2:2 ლ. ლოპესი (72)**
**ატლეტიკო: ლეო ფრანკო, სეიტარიდისი, ა. ლოპესი, ფორლანი, რაულ გარსია (მანიშე 67), უიფალუში, პაბლო, მაქსი როდრიგესი (მიგელი 80), ასუნსაო, სიმაო, აგუერო (სინამა-პონიოლი 56)**
**მწვრთნელი: აბელ რესინო**
**პორტუ: ჰელტონი, ბრუნო ალვეში, ქ. როდრიგესი, მალკი, სეპუნარუ (ემანუელი 79), ჟ. რონალდუ, რაულ მეირელეში (კოშტა 90), ლ. სისოკო, ფერნანდო, ლუჩო გონსალესი, ლ. ლოპესი (სექტიუი 90)**
**მწვრთნელი: ჟესუალდო ფერეირა**
**გაფრთხილება: რაულ გარსია, სეპუნარუ, ასუნსაო, ლ. ლოპესი**
**მსაჯი: უები (ინგლისი)**
**42 000 მაყურებელი**

**5 კარში დარტყმა 4**
**4 კარისკენ დარტყმა 7**
**2 გაფრთხილებები 2**
**25 ჯარიმები 18**
**2 კუთხურები 6**
**0 თამაშგარე 1**
**53 ბურთის ფლობა 47**

**აბელ რესინო:** „ძალიან მინდოდა ამ თამაშის მოგება, მაგრამ „პორტუს" ძალიან სწრაფი ფორვარდები ჰყოლია. ფრე ლოგიკურად მიმაჩნია და ჩვენთვის ურიგოს ვერ დავარქმევ, მით უმეტეს, რომ ბოლოს ჩემები დაიღალნენ.

სერხიო აგუეროს ცდა არ დაუკლია, თუმც მეტოქის ცენტრალური მცველები კარგად იდგნენ.

„პორტუმ" ფრე კი წაიღო, მაგრამ ორი კვირის შემდეგ „ატლეტიკო" უკეთეს ფიზიკურ ფორმაში იქნება."

**ჟესუალდო ფერეირა:** „მოგებას ჩვენ უფრო ვიმსახურებდით. ფეხბურთი უცნაური თამაშია. შესვენებამდე სახეირო ვერაფერი ვაჩვენეთ, მეორეში კი ბურთს ვაკონტროლებდით, თან ხშირად ვცდებოდით. რაღა თქმა უნდა, მეოთხედფინალში გასვლის უკეთესი შანსი „პორტუს" აქვს".

**ინტერი 0:0 მანჩესტერი**

**ინტერი: ჟულიო სეზარი, ხ. ძანეტი, რივასი (კორდობა 46), კივუ, სანტონი, მაიკონი, მუნტარი (კრუზი 76), კამბიასო, სტანკოვიჩი, ადრიანო (ბალოტელი 76), იბრაჰიმოვიჩი**
**მწვრთნელი: ჟოზე მოურინიუ**
**მანჩესტერი: ვან დერ სარი, ოში, რ. ფერდინანდი, ევანსი, ევრა, ქერიკი, ფლეტჩერი, პარკი (რუნი 84), გიგზი, რონალდუ, ბერბატოვი**
**მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი**
**გაფრთხილება: ტოლდო, კივუ, მაიკონი, ფლეტჩერი, რუნი, კორდობა**
**მსაჯი: მედინა კანტალეხო (ესპანეთი)**
**84 000 მაყურებელი**

**2 კარში დარტყმა 5**
**6 კარისკენ დარრტყმა 7**
**4 გაფრთხილებები 2**
**20 ჯარიმები 18**
**3 კუთხურები 6**
**2 თამაშგარე 2**
**50 ბურთის ფლობა 50**

**ჟოზე მოურინიუ:** „უგოლო ფრე ჩვენთვის კარგი შედეგია. იმ სეზონში, როცა ჩემპიონთა ლიგა მოვიგე, „პორტუმ" ნახევარფინალში შინ ფრე ითამაშა „დეპორტივოსთან", სტუმრად კი მოვიგეთ.

„მანჩესტერისგან" რომ არ გავუშვით, საპასუხო მატჩში მშვიდად ვიქნები, რადგან ფერგიუსონის გუნდი კონტრშეტევებზე ძალიან სახიფათოა. ნამდვილი სპრინტერები არიან.

კარგი ფეხბურთი გამოვიდა და ჩვენმა მეკარემ პირველ ტაიმში იყოჩაღა, შესვენების შემდეგ კი „ინტერმა" საგრძნობლად უკეთ ითამაშა. ორივე გუნდს მეოთხედფინალში გასვლის თანაბარი შანსი აქვს".

**ალექს ფერგიუსონი:** „შესანიშნავად ვითამაშეთ, ბევრი საგოლე მომენტი გვქონდა და სამწუხაროა, რომ ვერ მოვიგეთ.

„ოლდ ტრაფორდზე" დიდი ხანია არ წაგვიგია და იქ „ინტერს" უფრო გაუჭირდება, მიუხედავად იმისა, რომ დაცვაში ჩადგება. „მანჩესტერი" მაინც გარისკავს და საკუთარ სტადიონზე შეუტევს".

**ლიონი 1:1 ბარსელონა**

**1:0 ჟუნინიო (7), 1:1 ანრი (67)**
**ლიონი: ლორისი, მენსა, კრისი, ბუნსონგი, გროსო, მაკუნი, ტულალანი, ჟუნინიო (კალსტრიომი 80), ედერსონი (დელგადო 65), კეიტა (პიანიჩი 88), ბენზემა**
**მწვრთნელი: კლოდ პუელი**
**ბარსელონა: ვალდესი, დანი ალვეში, პუიოლი, მარკესი, პიკე, ხავი, ბუსკეტსი (კეიტა 77), იაია ტურე, ანრი, მესი, ეტოო**
**მწვრთნელი: ხოსეპ გვარდიოლა**
**გაფრთხილება: ტულალანი, გროსო, დანი ალვეში, პუიოლი, ბუსკეტსი**
**მსაჯი: შტარკი (გერმანია)**
**40 000 მაყურებელი**

**4 კარში დარტყმა 5**
**6 კარისკენ დარტყმა 5**
**3 გაფრთხილებები 3**
**19 ჯარიმები 16**
**4 კუთხურები 8**
**6 თამაშგარე 2**
**40 ბურთის ფლობა 60**

**კლოდ პუელი:** „გულგატეხილი არ ვარ, მაგრამ დაუკმაყოფილებლობის გრძნობა მაქვს. საწყენია, რომ პირველ ტაიმში მეორე ვერ გავიტანეთ. თუ საგოლე მომენტების რაოდენობას გავითვალისწინებთ, კიდევ ერთის გატანა გვმართებდა.

ამ თამაშით „ბარსელონაზე" ახალი ვერაფერი ვერ გავიგე. უმაღლესი კლასის შემსრულებლები ჰყავთ, რომლებიც გუნდურად თამაშობენ.

რომ მოგვეგო, საპასუხო მატჩში დაცვაში მაინც ვერ დავდგებოდით, რადგან „ბარსელონასთან" შედეგის შენარჩუნებაზე ვერ იფიქრებ".

**ხოსეპ გვარდიოლა:** „ძლიერ გუნდთად კარგად ვითამაშეთ და შედეგიც ურიგო არაა. როცა იგებ და ბევრი გოლი გაგაქვს, კითხვებიც ბევრი არ გიჩნდება, ამ შემთხვევაში კი პირიქითაა.

ბარსელონაში მეტი აგრესიულობა დაგვჭირდება. ჟუნინიომ საუცხოო გოლი გაიტანა და ვიქტორ ვალდესს ვერ დავადანაშაულებ. ასეთი დარტყმულის მოგერიება თითქმის შეუძლებელია".

**არსენალი 1:0 რომა**

**1:0 ვან პერსი (37პ)**
**არსენალი: ალმუნია, სანია, გალასი, კოლო ტურე, კლიში, ებუე (რამსი 81), დენილსონი, დიაბი (სონგი 62), ნასრი, ბენდტნერი (ველა 68), ვან პერსი**
**მწვრთნელი: არსენ ვენგერი**
**რომა: დონი, მოტა, ლორია (დიამუტენი 71), მექსეში, რიისე, დე როსი, ტადეი, ბრიგი (დ. პიზარო 57), პეროტა, ბაპტისტა (ვუჩინიჩი 81), ტოტი**
**მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი**
**გაფრთხილება: მექსეში, ბრიგი, კოლო ტურე, დე როსი, ნასრი**
**მსაჯი: ლარსენი (დანია)**
**60 003 მაყურებელი**

**3 კარში დარტყმა 1**
**10 კარისკენ დარტყმა 4**
**2 გაფრთხილებები 3**
**16 ჯარიმები 12**
**1 კუთხურები 2**
**5 თამაშგარე 4**
**54 ბურთის ფლობა 46**

**არსენ ვენგერი:** „გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ, მაგრამ ცუდია, რომ აურაცხელი საგოლე ეპიზოდი ვერ გამოვიყენეთ და მხოლოდ პენალტს დავჯერდით.

ჩვენებური მოკლე პასებით მეტოქეს დიდი პრობლემები შევუქმენით და მომენტი მომენტზე გვქონდა.

არ ვიცი, კარგია თუ არა ეს ანგარიში, მაგრამ ის კი ვიცი, რომ რომში შეტევას შევძლებთ და თან შევეცდებით, რომ გოლი ისევ არ გავუშვათ".

**ლუჩანო სპალეტი:** „დარწმუნებული ვარ, საპასუხო მატჩი სხვანაირი იქნება. პირველ ტაიმში არაფერი გამოგვივიდა, „არსენალს" კი კრიზისისა არაფერი ეტყობოდა, რაზეც მანამდე წერდა ბრიტანული მედია.

„მეთოფეებმა" კარგად ითამაშეს და გამარჯვება დაიმსახურეს. ისინი ძალიან სწრაფები არიან, ჩვენთვის კი ეს მატჩი გაკვეთილი უნდა იყოს".


ტიერი ანრის გოლი „ლიონის" კარში



ინტერელ ჟულიო სეზარს უეინ რუნის შეტევის ფეხით მოგერიებაც მოუხდა

აქეთურ-იქითური

# ჩემპიონთა ლიგა 2008-2009
## მეოთხედფინალი. პირველი მატჩები

**რეალი 0:1 ლივერპული**

0:1 ბენაიუნი (82)
რეალი: კასილიასი, პეპე, კანავარო, ჰაინცე, რამოსი, გაგო, დიარა, მარსელო (გუტი 46), რობენი, იგუაინი, რაული
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
ლივერპული: რეინა, შკრტელი, კარაგერი, აურელიო, არბელოა, მასკერანო, ალონსო, რიერა (ჯერარდი 88), ბენაიუნი, ტორესი (ბაბელი 62), კუიტი
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
გაფრთხილება: კანავარო (47), ტორესი (56), მასკერანო (67), რიერა (83), გაგო (87)
მსაჯი: რობერტო როსეტი (იტალია)
85 000 მაყურებელი

5 კარში დარტყმა 4
10 კარისკენ დარტყმა 6
2 გაფრთხილებები 3
13 ჯარიმები 19
7 კუთხურები 2
2 თამაშგარე 3
59 ბურთის ფლობა 41

**ვილიარეალი 1:1 პანათინაიკოსი**

0:1 კარაგუნისი (59), 1:1 როსი (67პ)
ვილიარეალი: ლოპესი, გოდინი, ფუნტესი, ბრუნო, ანხელ ლოპესი, ეგურენი (პირესი 62), სენა, იბაგასა (კანი 70), კასორლა, ლიორენტე (ნიჰატი 62), როსი
მწვრთნელი: მანუელ პელეგრინი
პანათინაიკოსი: გალინოვიჩი, გუმასი (გაბრიელი 46), სარიეგი, ვინტრა, სპიროპულოსი, ნილსონი, სიმაო, ჟილბერტო სილვა, კარაგუნისი (სალპინგიდისი 85), ვარჟინიაკი, მანციოსი
მწვრთნელი: ჰენკ ტენ კატე
გაფრთხილება: გუმასი (38), ჟილბერტო სილვა (68), სენა (89), ანხელი (89)
მსაჯი: კონრად პლაუცი (ავსტრია)
25 500 მაყურებელი

7 კარში დარტყმა 3
16 კარისკენ დარტყმა 3
2 გაფრთხილებები 2
18 ჯარიმები 26
10 კუთხურები 2
2 თამაშგარე 3
66 ბურთის ფლობა 34

**ჩელსი 1:0 იუვენტუსი**

1:0 დროგბა (12)
ჩელსი: ჩეხი, ტერი, ალექსი, ე. კოული, ბოსინგვა, ობი, ბალაკი (მაწიენე 81), ლამპარდი, ანელკა, დროგბა, კალუ (მალუდა 72)
მწვრთნელი: გუს ჰიდინკი
იუვენტუსი: ბუფონი, ლეგროტალიე, კიელინი, მოლინარო, მელბერგი, ტიაგო (მარკიზიო 62), სისოკო (ტრეზეგე 86), ნედვედი, კამორანეზი (მარკიონი 52), ამაური, დელ პიერო
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
გაფრთხილება: მოლინარო (52), ბალაკი (58), სისოკო (82)
მსაჯი: ოლეგარიო ბენკერეცა (პორტუგალია)
38 074 მაყურებელი

3 კარში დარტყმა 4
10 კარისკენ დარტყმა 11
1 გაფრთხილებები 3
18 ჯარიმები 13
5 კუთხურები 9
4 თამაშგარე 1
49 ბურთის ფლობა 51

**სპორტინგი 0:5 ბაიერნი**

0:1 რიბერი (42), 0:2 კლოზე (57), 0:3 რიბერი (63პ), 0:4, 0:5 ტონი (84, 90)
სპორტინგი: ტიაგო, ტონელი, პოლგა, ოშემბაკი, კანეირა, აბელი (პერეირინია 61), რომანოვი, მოტინიუ, იზმაილოვი (ვუკჩევიჩი 61), დერლეი (ჟალო 71), ლიდსონი
მწვრთნელი: პაულუ ბენტუ
ბაიერნი: რენსინგი, დემიკელისი, ლუსიო (ვან ბუიტენი 78), ლამი, ოდო (ლელი 67), ზე რობერტო, ვან ბომელი, რიბერი, შვაინშტაიგერი (ჰამით ალტინთოფი 71), კლოზე, ტონი
მწვრთნელი: იურგენ კლინსმანი
გაფრთხილება: ვან ბომელი (31), ტონელი (45), პერეირინია (80)
მსაჯი: ბერტრან ლაიეკი (საფრანგეთი)
35 163 მაყურებელი

1 კარში დარტყმა 8
12 კარისკენ დარტყმა 9
2 გაფრთხილებები 1
18 ჯარიმები 22
5 კუთხურები 6
1 თამაშგარე 1
49 ბურთის ფლობა 51



არიენ რობენის „რეალმა“ „ლივერპულთან“ ვერაფერი გააწყო



ფრანკ რიბერის „ბაიერნმა“ „სპორტინგს“ გადაუარბინა

### გერმანია

ჩრდ. რეგიონალლიგა
ვოლფსბურგი (მ) 1:2 ჰერტა (მ)
სამხ. რეგიონალლიგა
პფულენდორფი — ჰაიდენჰაიმი
გადაიდო

### ამხანაგური მატჩები

გერმანია 1:1 ჩინეთი (ქალები)
მონარკასი 1:3 ჩიკაგო
როსტოვი 2:1 სატურნი

### კვიპროსი

თასი
ომონია 0:0 კინირასი
ეთნიკოსი 1:1 ლიმასოლი

### სამხრეთ ამერიკა

კოპა ლიბერტადორესი
კუენკა 4:0 გუარანი
მედელინი 0:0 დეფენსორი

### აზია

ჩემპიონთა ლიგა
სინგაპური 2:1 დ.დ. (1:1) მედანი
შარჯაჰი 3:0 დემპო

### საბერძნეთი

თასი
აეკ 1:0 ქსანთი

### უელსი

პრემიერლიგა
დრუიდსი 0:1 კერნარფონი

### ჩრდ. ირლანდია

პრემიერლიგა
ლისბურნი 2:0 კრუზეიდერსი

### კონკაკაფი

ჩემპიონთა ლიგა
ჰიუსტონი 1:1 ატლანტე

### ჩილე

კლაუსურა
კობრელოა 4:0 პალისტინო

### ინგლისი

ჩემპიონატი
კარდიფი 0:0 ქუინზ პარკი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვულვზი | 34 | 19 | 7 | 8 | 66:45 | 64 |
| ბირმინგემი | 34 | 17 | 10 | 7 | 40:29 | 61 |
| რედინგი | 32 | 17 | 8 | 7 | 58:28 | 59 |
| კარდიფი | 31 | 13 | 14 | 4 | 43:28 | 53 |
| ბრისტოლი | 33 | 14 | 11 | 8 | 44:36 | 53 |
| პრესტონი | 34 | 15 | 8 | 11 | 45:42 | 53 |
| შეფილდი | 33 | 14 | 10 | 9 | 45:31 | 52 |
| სუონსი | 32 | 12 | 15 | 5 | 49:34 | 51 |
| ბარნლი | 33 | 14 | 9 | 10 | 46:45 | 51 |
| იფსვიჩი | 34 | 13 | 11 | 10 | 48:37 | 50 |
| ქუინზ პარკი | 33 | 12 | 12 | 9 | 34:32 | 48 |
| უენსდი | 33 | 12 | 9 | 12 | 36:44 | 45 |
| ქოვენთრი | 32 | 11 | 10 | 11 | 36:38 | 43 |
| კრ. პალასი | 31 | 11 | 8 | 12 | 39:36 | 41 |
| დერბი | 32 | 11 | 8 | 13 | 40:43 | 41 |
| ბლექპული | 34 | 9 | 11 | 14 | 34:48 | 38 |
| დონკასტერი | 32 | 10 | 7 | 15 | 26:38 | 37 |
| პლიმუთი | 33 | 9 | 9 | 15 | 30:41 | 36 |
| ნოტინგემი | 34 | 8 | 10 | 16 | 36:50 | 34 |
| უოტფორდი | 31 | 9 | 6 | 16 | 44:53 | 33 |
| ნორვიჩი | 34 | 8 | 9 | 17 | 44:53 | 33 |
| ბარნსლი | 31 | 9 | 6 | 16 | 29:41 | 33 |
| საუთჰემპტონი | 33 | 7 | 10 | 16 | 32:51 | 31 |
| ჩარლტონი | 33 | 6 | 8 | 19 | 34:55 | 26 |

II ლიგა
მაკლსფილდი 0:2 პორტ ვეილი
ასოციაციის თასი
მიდლსბრო 2:0 ვესტ ჰემი

### უნგრეთი

სოპრონი ლიგა
ზალაეგერზეგი — დებრეცენი
გადაიდო

### სამხრეთ აფრიკა

პრემიერლიგა
აიაქსი 4:1 ბაი
ამაზულუ 2:1 სუპერსპორტი
მამელოდი 0:0 ფრისტეიტი
მოროკა 0:1 სანტოსი

ფიგურული სრიალი

# უიმედო სრიალი

ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში სამშაბათს დაიწყო ფიგურულ სრიალში მსოფლიოს იუნიორთა ჩემპიონატი.

ეს უეჭველი ჩვენთვის ბექა შანყულაშვილისა და ელენე გედევანიშვილის მონაწილეობით არის განსაკუთრებით საინტერესო. შეგახსენებთ, რომ ახლახანს ორივემ ევროპის ჩემპიონატზე მიიღო მონაწილეობა და ძალიან ცუდადაც. თუკი დებიუტანტი შანყულაშვილის ბოლოსწინა ადგილი ასე თუ ისე, ახსნადია, ელენეს ჩავარდნა მოულოდნელიც იყო და დამაფიქრებელიც. ევროპის ჩემპიონატზე ელენე 24 საუკეთესოშიც ვერ მოხვდა.

მსოფლიოს იუნიორთა ჩემპიონატზე კი ელენე მოკლე პროგრამით ხვალ გავა, თავისუფალით კი — ზეგ.

ბექა შანყულაშვილმა კი მოკლე პროგრამის მერე 30.74 ქულით 38-ე ადგილი დაიკავა 41 მონაწილეს შორის. შედეგი კვლავაც უიმედოა.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს

გამომცემელი ზურაბ უოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე

ქართული ფეხბურთი: ილია ნანობაშვილი, ნუკრი ლოლაძე
უცხოური ფეხბურთი: გიო ახვლედიანი, ვაჟა ხუციშვილი
სპორტი: ლექსო მაისურაძე, ირაკლი ფირაშვილი
ოპერატორი: თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge